




**EVER
UPWARD**

წლიური ანგარიში 2017



**ბაზისბანკი
BASISBANK**

პუბლიკ ჯგუფის წევრი

სარჩევი

მმართველობითი ანგარიშგება

მიმოხილვა

გენერალური დირექტორის მიმართვა	3
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა	5
ბაზისბანკის შესახებ	6
ჰუალინგ ჯგუფის შესახებ	9

მიღწეული შედეგები

ძირითადი მაჩვენებლები	13
ბაზისბანკის სტრატეგია	14
2017 წლის ძირითადი მაჩვენებლები	15
ბაზისბანკის ბიზნეს სეგმენტი	17

ბაზრის მიმოხილვა

საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა	24
ბაზრის მიმოხილვა	24
საბანკო სექტორი	27
ბაზისბანკის მიმოხილვა	30

კორპორაციული და რისკების მართვის სტრატეგია

კორპორაციული მართვა	38
რისკების მართვა	42

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიში და აუდიტორული დასკვნა

მიმოხილვა



გენერალური დირექტორის მიმართვა

დავით სააკაძე

გენერალური დირექტორი
ბაზისბანკში

მოხარული ვარ, რომ 2017 წელი შეგვიძლია შევაფასოთ, როგორც ბაზისბანკისთვის ახალი მიღწევებისა და წარმატებების მომტანი წელი.

განვლილი წელი, შეიძლება ითქვას, ერთგვარად გარდამტეხი და განსაკუთრებული იყო ბაზისბანკის ისტორიაში, სტაბილურად ზრდაზე ორიენტაციამ სწორი და დამსახურებული შედეგი გამოიღო: ბაზისბანკი უმსხვილესი ბანკების ექვსეულში შევიდა! აქტივებმა ჩვენს ისტორიულ მაქსიმუმს, მილიარდ ლარს გადააჭარბა!

აღსანიშნავია, რომ ამ წარმატების უკან პროფესიონალთა შეკრული გუნდის დაუღალავი შრომა, ძლიერი ინვესტორის მხარდაჭერა და გონივრული მენეჯმენტი დგას.

ნებისმიერი ბანკის წარმატების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საფუძველი, მომხმარებლის მოთხოვნათა სრული დაკმაყოფილებაა, რისი მიღწევაც ქართულ საბანკო ბაზარზე გამძაფრებული კონკურენციის პირობებში შეუძლებელია, მუდმივ განვითარებაზე ორიენტაციის გარეშე. ბაზისბანკი კი, სწორედ ისეთი ფინანსური ინსტიტუტია, რომელიც მუდმივად პროგრესზეა ორიენტირებული და მიღწეულს არასოდეს ჯერდება.

ბაზისბანკმა, როგორც სანდო, სტაბილურად მზარდმა, ფინანსურად გამჭვირვალე ინსტიტუტმა განვლილი წლების განმავლობაში არაერთი საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტის აღიარება მოიპოვა. მხოლოდ 2017 წლის განმავლობაში გაფორმდა რამდენიმე ხელშეკრულება მსოფლიო მნიშვნელობის ისეთ მოთამაშეებთან, როგორიცაა ჩინეთის განვითარების ბანკი, რომელმაც უკვე მეორე საკრედიტო ხაზი გამოგვიყო მცირე და საშუალო ბიზნესის დაფინანსებისთვის. საამაყოა, რომ ეს იყო უპრეცედენტო შემთხვევა, როდესაც ჩინურმა ფინანსურმა ინსტიტუტმა საქართველოში ამ მიმართულებით დაიწყო თანამშრომლობა ადგილობრივ ბანკთან.

ასევე, აღსანიშნავია, 2017 წლის განმავლობაში სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი ჩვენს ბანკს “B” დან “B+” გაუზარდა.

რა თქმა უნდა, საერთაშორისო აღიარება ძალიან მნიშვნელოვანია, მაგრამ არანაკლებ სასიხარულო და საამაყოა, როდესაც ჩვენი ბანკის საქმიანობა ადგილობრივ ბაზარზე ჯილდოს იმსახურებს. გასულ წელს, უკვე მესამედ, ბაზისბანკს „ბიზნესის ეროვნული ჯილდო“ გადაეცა, ადგილობრივი წარმოებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისათვის.

ბოლო რამოდენიმე წლის მანძილზე ბანკი საკმაოდ სწრაფად ვითარდებოდა. ამჟამად კი, ბანკი ქვეყნის წამყვან რეგიონებს მოიცავს, რომლებსაც 2017 წელს ქალაქ ზუგდიდში გახსნილი, მაღალკვალიფიციური თანამშრომლებით დაკომლევებული უნივერსალური სერვისცენტრიც შეემატა.

სერვისცენტრების ქსელის გაფართოების გარდა, წარმატებით ვაგრძელებთ არსებული სერვისცენტრების განახლებას თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისობაში, რათა როგორც ბაზისბანკის მომხმარებელს, ასევე ჩვენს თანამშრომლებს შევუქმნათ კომფორტული გარემო.

როდესაც ჩვენი მომხმარებლის მომსახურებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნაზე ვსაუბრობთ, არ შეიძლება ხაზი არ გავუსვათ ჩვენს მიღწევებს დისტანციური საბანკო მომსახურების არხებისა და შესაბამისი პროდუქტების მიმართულებით.

სწორედ ბაზისბანკის მომხმარებელს, პირველს ქართულ საბანკო ბაზარზე, მიეცა საშუალება მარტივად, ფაქტობრივად 1 წუთში, მიეღო სესხი ან განეცადებია ნებისმიერი საბარათე ტრანზაქცია მარტივად, ბანკში ვიზიტის გარეშე ჩვენი მობაილბანკის აპლიკაციის მეშვეობით.

ასევე, განახლდა ინტერნეტბანკინგი – დისტანციური არხების მეშვეობით შევთავაზეთ ჩვენს კლიენტებს პირადი დილერის მომსახურება.

ბაზისბანკი დღიდან დაარსებისა გამოირჩეოდა კლიენტებთან ინდივიდუალური მიდგომით.

ჩვენთვის თითოეული მათგანი იყო უნიკალური და ალბათ სწორედ ეს გახლავთ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი იმისა, რომ მომხმარებელთან გრძელვადიანი, სტაბილური ურთიერთობა ჩვენთვის უკვე ჩვეული ტრადიციაა.

სწორედ კლიენტების უნიკალურობა იყო, ჩვენი ახალი მიმართულების - იუნიქ ბანკინგის, როგორც დასახელების, ასევე შინაარსის შთაგონება. გასული წლის განმავლობაში, ჩვენ ფაქტობრივად შევქმენით სრულიად ახალი ბრენდი, რომელიც გვაძლევს საშუალებას ჩვენს უნიკალურ კლიენტებს შევთავაზოთ პრემიუმ მომსახურება, შესაბამისი პროდუქტებითა და დისტანციური არხით.

მომხმარებლის ჯეროვანი მომსახურებით, ახალი პროდუქტებისა და მომსახურების შეთავაზებით, ახალი მომხმარებლის მოზიდვით, მნიშვნელოვნად გაიზარდა ბაზისბანკის ცნობადობა.

როდესაც ვსაუბრობთ ბაზისბანკის წარმატებაზე, რა თქმა უნდა, აღსანიშნავია ის, რომ ამ წარმატების მიღწევაში უკვე მე-6 წელია ზურგს გვიმაგრებს ჩვენი აქციონერი – უმსხვილესი ჩინური კონკგლომერატი – ჰუალინგ ჯგუფი, რომლის წარმატებული მოღვაწეობაც საქართველოში, ცალკე აღნიშვნას იმსახურებს.

ჩვენთვის ძალიან საამაყოა, ვიყოთ იმ ჯგუფის წევრი, რომელიც ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი უმსხვილესი ინვესტორია. უკვე განახორციელა და კიდევ აგრძელებს საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი და სასარგებლო პროექტების განხორციელებას. ამ ეტაპისთვის ჰუალინგ ჯგუფის საინვესტიციო კაპიტალი 550 მილიონ აშშ დოლარს აღემატება.

2017 წლის ბოლოს, ჰუალინგ ჯგუფმა საქართველოში, საფინანსო სექტორში ინვესტიცია გააფართოვა და ბაზისბანკის ჰოლდინგს შეემატა ახალი შვილობილი კომპანიები – „ჰუალინგ დაზღვევა“ და სალიზინგო კომპანია „ბი ეიჩ ელ ლიზინგი“.

ბანკის ჰოლდინგური განვითარება მოგვცემს საშუალებას მომხმარებელს შევთავაზოთ ფინანსური მომსახურების სრული სპექტრი.

2018 წელი საიუბილეოა - ბაზისბანკი 25 წლის ხდება.

საუკუნის მეოთხედი – ეს უკვე სერიოზული განაცხადია! შესაბამისად, ბანკის ისტორიაში ეს წელი უნდა შევიდეს, როგორც განსაკუთრებული წარმატების, ზრდისა და წინსვლის წელი.

გასაკეთებელი ნამდვილად ბევრია, თუმცა ბაზისბანკის თანამშრომლების მაღალი კვალიფიკაცია, კომპეტენტურობა, საერთო საქმისადმი ერთგულება და პროფესიული სრულყოფისკენ სწრაფვა გვაძლევს საფუძველს დარწმუნებული ვიყოთ დასახული მიზნების წარმატებით მიღწევაში!

2018 წლის განმავლობაში არსებულ შედეგებს კიდევ უფრო მეტად გავაუმჯობესებთ და მომხმარებლის ცნობიერებაში სწრაფი, მოქნილი და ხარისხიანი ფინანსური ინსტიტუტის სინონიმად ვიქცევით.



სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიმართვა

ჭან კუნი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე
ბაზისბანკი

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და სამეთვალყურეო საბჭოს თითოეული წევრის სახელით მადლობა გადავუხადო ბანკის მენეჯმენტსა თანამშრომლებს თავდაუზოგავი შრომისა და ერთგულებისათვის, კლიენტებსა და პარტნიორებს - მუდმივი ნდობისა და ლოიალობისათვის.

2017 წელი ბაზისბანკისათვის წარმატებული იყო არა მხოლოდ იმით, რომ გააუმჯობესა ფინანსური შედეგები, არამედ იმითაც, რომ გადადგა ქმედითი ნაბიჯები კლიენტებისთვის საუკეთესო მომსახურებისა და პროდუქტების შესათავაზებლად.

მოხარული ვარ, რომ გასული წლის განმავლობაში საგრძნობლად გაიზარდა ბანკის კლიენტების რაოდენობა. საერთაშორისო პარტნიორებთან წარმატებული თანამშრომლობის შედეგად კი, მოვიზიდეთ რესურსები, რომლებიც მიმართულია ჩვენი კლიენტების დაკრედიტებისაკენ და შესაბამისად მათი ბიზნესის განვითარებას შევუწყეთ ხელი.

სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ 2017 წლის განმავლობაში ბანკების რეიტინგში 2 პოზიციით წავინიეთ წინ და ქვეყანაში სიდიდით მეორე ბანკის პოზიციიდან გადავინაცვლეთ მეექვსეზე. რითიც კიდევ ერთხელ გავამყარეთ ბაზისბანკის, როგორც ყველაზე სწრაფად მზარდი ბანკის იმიჯი.

ასევე სასიხარულოა ბაზისბანკის წარმატებული საქმიანობის საერთაშორისო აღიარებაც. გასული წლის განმავლობაში საერთაშორისო სააგენტო Fitch-მა გაგვიუმჯობესა გრძელვადიანი რეიტინგი B დან B+ მდე.

2017 წელს მიღწეულ წარმატებაში აღსანიშნავია მთელი გუნდის წვლილი და დაუღალავი შრომა. ჩემთვის დიდი პატივია ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეობა. დიდი გამოწვევებისა და მძაფრი კონკურენციის მიუხედავად, დარწმუნებული ვარ, ბაზისბანკი ერთგული და პროფესიონალი თანამშრომლების გუნდით და ძლიერი აქციონერის „ჰუალინგ ჯგუფის“ მხარდაჭერით კიდევ უფრო გაძლიერდება და მეტ წარმატებას მიაღწევს.

სს ბაზისბანკი

ჩვენი პროფილი

ბანკის სათაო ოფისი მდებარეობს თბილისში. ჩვენ წარმოვადგენთ ქვეყნის მე-6 უმსხვილეს კომერციულ ბანკს და ბაზრის მოთამაშეს. საქმიანობას ვაწარმოებთ 5 რეგიონში 22 სერვისცენტრის მეშვეობით და გვყავს 400-მდე პროფესიონალი თანამშრომელი. ბაზისბანკი მომხმარებლებთან მუდმივად ინდივიდუალური მიდგომით გამოირჩევა და პროდუქტებს მათ ინტერესებს არგებს. ჩვენი პრიორიტეტია ჩვენი მომხმარებლებისთვის მაქსიმალური კომფორტის შექმნა, ამიტომაც განსაკუთრებული აქცენტი კეთდება დისტანციურ საბანკო მომსახურებაზე, როგორცაა ინტერნეტ და მობაილ ბანკი და პირველი ქართულ საბანკო სივრცეში, პირადი დილერის მომსახურება.

ჩვენი რესურსები

ჩვენი ბიზნეს მოდელი და სტრატეგია ემყარება ჩვენი შესაძლებლობების ეფექტურ გამოყენებას, რომლებიც ჩადებულია ჩვენთვის დამახასიათებელ უნიკალურ თვისებებში კლიენტებთან მჭიდრო გრძელვადიანი კავშირის დამყარებით ადგილობრივ ბაზარზე.

აღამიანური რესურსი

ჩვენი თანამშრომლების ძლიერი გუნდი ჩვენი უდიდესი აქტივია. ბაზისბანკი დაკომპლექტებულია კვალიფიციური, კრეატიული, პროდუქტიული და ერთგული კადრებით.



399 თანამშრომელი




66% ქალი

კლიური ბრანდი

ჩვენ ვართ წამყვანი ადგილობრივი საბანკო ჯგუფი 25-წლიანი ისტორიითა და დიდი გამოცდილებით. ძლიერი ინვესტორის მხარდაჭერით ბანკს აქვს საშუალება განავითაროს საქმიანობა როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო ბაზარზე.

1993
წლიდან





რისკების ეფექტური მართვა

რისკების ეფექტური მართვა მდგრადი ბიზნეს საქმიანობის განვითარების და გრძელვადიანი წარმატების საშუალებას გვაძლევს.

საერთაშორისო ქსელი

ჩვენი წარმატებული თანამშრომლობა ცნობილ საერთაშორისო პარტნიორ ფინანსურ ინსტიტუტებთან ჩვენი აშკარა უპირატესობის საწინდარია.

ჩვენ მრავალი მაღალ-რეიტინგული საერთაშორისო ფინანსური ორგანიზაციის, კომერციული ბანკისა თუ საინვესტიციო ფონდის ძლიერი და სანდო პარტნიორი ვართ.

\$91მლნ საერთაშორისო პარტნიორებისგან

ჩვენი პოლიტიკა

ჩვენ კარგად ვიცნობთ ადგილობრივ ბიზნესს და იდეალურად ვერგებით ჩვენი კლიენტების მოთხოვნებს. ჩვენი აქტივები 1.2 მილიარდ ლარს აჭარბებს.

Fitch რეიტინგი

გრძელვადიანი: "B" - დან "B+"-კენ
მოკლევადიანი: "B"
პროგნოზი: სტაბილური

რას გთავაზობთ

მომხმარებელს ვთავაზობთ მათ ინტერესებსა და მოთხოვნებზე მორგებულ მრავალფეროვან პროდუქტებსა და მომსახურებას.

ფიზიკური პირები – **117,965**

კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესი – **5,097**

კლიენტების სეგმენტაცია

საბალო
მოქმედი საკრედიტო პორტფალის 20%

იუნიტი – მაღალშემოსავლიანი მომხმარებლები
სახელფასო პროექტის კლიენტები
საშუალო შემოსავლის მქონე მომხმარებლები

მსიჩა და საშუალო ზომის საწარმოები

მოქმედი საკრედიტო პორტფალის 16%
მიჩა, მსიჩა – 200 000 აშშ დოლარამდე სასხავი
საშუალო – 1 000 000 აშშ დოლარამდე სასხავი

კორპორატიული

მოქმედი საკრედიტო პორტფალის 64%

მსხვილი კომპანიები – 1 000 000 აშშ დოლარზე მეტი სასხავი

შვილობილი კომპანიები

ბაზისბანკი ფლობს სამ შვილობილ კომპანიას.

სს “გამ პოლდინგი”

დაარსების თარიღი: 2012 წლის 27 თებერვალი

სააქციო კაპიტალი: 3.8 მილიონი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

აღნიშნული პოლდინგი უზრუნველყოფს ბანკის მიერ დასაკუთრებული ქონების მართვას. მისი ძირითადი მიმართულებებია გრძელვადიანი წარმატებისთვის განვითარება, რეალიზაცია, ლიზინგი

სს “ჰუალინგ დაზღვევა”

დაარსების თარიღი: 2017 წლის 12 დეკემბერი

სააქციო კაპიტალი: 4.3 მილიონი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ჰუალინგ დაზღვევა უზრუნველყოფს ფიზიკურ პირებს, მცირე, საშუალო და მსხვილ კომპანიებს სადაზღვევო პროდუქტებით.

სს “ბი-ეიჩ-ელ ლიზინგი”

დაარსების თარიღი: 2017 წლის 27 დეკემბერი

“ბი-ეიჩ-ელ ლიზინგი” შესთავაზებს კლიენტებს კვალიფიციურ სტანდარტულ სალიზინგო პროდუქტებსა და კვალიფიციურ მომსახურებას.

ჩვენი ძირითადი აქციონერი

“ჰუალინგ ჰუალინგ ინფრასტრუქტურა ჯგუფი” (ჯგუფი)



უმსხვილესი ჩინური ინვესტიცია საქართველოში

„ჰუალინგ ჯგუფი“ წარმოადგენს კერძო ჩინურ კორპორაციას. მისი მთავარი საქმიანობაა: სავაჭრო ცენტრებისა და საბითუმო ბაზრების მშენებლობა, გაქირავება, მართვა; საგარეო ვაჭრობა, სასტუმროების ქსელის მშენებლობა/მართვა; დეველოპერული პროექტების განხორციელება; იგი ჩართულია ენერგეტიკულ და წიაღისეულის მოპოვების საქმიანობაში, მეცხოველეობასა და ხორცის გადამამუშავებელ ბიზნესებში. კომპანია ასევე ახორციელებს ფინანსურ და საავიაციო საქმიანობას.

საქართველოში



\$ 550 მლნ
ინვესტიცია

2012 წლიდან ჯგუფი ფლობს “ბაზისბანკის” აქციების 90 %-ზე მეტს, რაც გვადლევს შესაძლებლობას მნიშვნელოვნად გავზარდოთ კლიენტების რაოდენობა. ასევე, გავაფართოვოთ ბიზნესი როგორც ადგილობრივ ბაზრებზე, ასევე ცენტრალურ ევროპასა და აზიაში.



ჰუალინგ ჯგუფის
მფლობელი
მი ანგუა

ჰუალინგ ჯგუფის პრეზიდენტი

ბატონმა მიმ კომპანია მცირე სასაზღვრო ბაზრიდან ერთ-ერთ უმსხვილეს სამშენებლო მასალებით ვაჭრობის ცენტრად აქცია ჩინეთის ჩრდილო-დასავლეთით.

ფორბსის მიხედვით:

#1970 მსოფლიო მილიარდერების სიაში

#344 ჩინეთის უმდიდრეს ადამიანთა სიაში

ჰუალინგ ჯგუფის მთავარი მიზანი განხორციელებინა ინვესტიცია საქართველოში, ემყარებოდა ქვეყნის სტრატეგიულ გეოგრაფიულ მდებარეობის მნიშვნელობას და “აბრეშუმის გზის ეკონომიკური სარტყელის” განვითარების პერსპექტივებს.

საქართველოსთვის, ჩინეთი მესამე უდიდესი სავაჭრო პარტნიორია (თურქეთისა და რუსეთის შემდეგ).

ორ ქვეყანას შორის ვაჭრობა მნიშვნელოვნად გაიზარდა გასული 10 წლის განმავლობაში. 2002 წელს, ორმხრივი ვაჭრობა დაახლოებით 10 მილიონ აშშ დოლარს შეადგენდა, 2007 წელს ჩინეთთან ვაჭრობა 214 მილიონ აშშ დოლარამდე გაიზარდა და შედგომი წლების მანძილზე ზრდას განაგრძობდა, ხოლო 2017 წელს 935 მილიონ აშშ დოლარი შეადგინა.

2017 წელს საქართველომ და ჩინეთმა ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას თავისუფალი ვაჭრობის შესახებ (ეს ჩინეთის მიერ სამხრეთ კავკასიაში ხელმოწერილი პირველი დოკუმენტია) რითიც სამომავლო თანამშრომლობის ახალი შესაძლებლობები შეიქმნა. საქართველოსთვის ჩინეთთან ურთიერთობების გაღრმავებას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მასშტაბით. შესაძლებლობები იქმნება ინფრასტრუქტურული პროექტების, სავაჭრო და საინვესტიციო არხების, ტურისტული საქმიანობისა და ფინანსური თანამშრომლობის მზარდი მოთხოვნიდან გამომდინარე, რომელიც მოიტანა “ერთი სარტყელი-ერთი გზა” ინიციატივის განვითარებამ.

რატომ საქართველო?



სტრატეგიული ადგილმდებარეობა – შუა აღმოსავლეთისა და აღმოსავლეთ ევროპის გასაყარზე მდებარე საქართველო მოიაზრება ევროპაში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან სატრანსპორტო და ლოგისტიკის ცენტრად. სტაბილური პოლიტიკური და ეკონომიკური გარემოს გამო, კავკასიის კორიდორი სულ უფრო მიმზიდველი ხდება კომპანიებისათვის



საბრუნოვო ინფრასტრუქტურა – “შავი ზღვის” პორტები ბათუმი, ფოთი და მიმდინარე ანაკლიის საზღვაო პორტის მშენებლობა, ბაქო-თბილისი-ყარსის სარკინიგზო პროექტი და ქვეყნის აღმოსავლეთ-დასავლეთ გზის გაფართოება გადააქცევს მას ლოგისტიკურ ცენტრად მთელი რეგიონისათვის, განსაკუთრებით კი, ჩინეთის “შავი ზღვის” რეგიონის ინიციატივისათვის”



ღია ორგანიზი საგარეო პოლიტიკა – საქართველოს გამოიყენებს ევროპასა და ჩინეთთან გაფორმებული ვაჭრობის ხელშეკრულებების უპირატესობებს (ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის შესახებ; ჩინეთთან გაფორმებული ხელშეკრულება თავისუფალი ვაჭრობის შესახებ) უპირატესობათა მართვა რაც თავის მხრივ შექმნის ხელსაყრელ ბიზნეს გარემოს და ქვეყანას მნიშვნელოვან სატრანზიტო ცენტრად აქცევს სამხრეთ კავკასიის რეგიონსა და მის გარეთ



ხელსაყრელი საინვესტიციო გარემო – საქართველოს გლობალური საინვესტიციო შეფასების მიხედვით ყველაზე მაღალი რეიტინგი უკავია.


ესენია:

- ყველაზე მეგობრული საგადასახადო სისტემა გლობალურად
- მე-9 ადგილი “ბიზნესის კეთების სიმარტივის” თვალსაზრისით
- მე-4 ადგილი “ბიზნესის დანაშაულებში”
- მე-13 ადგილი “ეკონომიკური თავისუფლების ინდექსში”
- მე-2 ადგილი ინვესტორთა დაცვის თვალსაზრისით
- მე-7 ადგილი კონტრაქტების ძალაში შესვლის კუთხით

ჰუალინგ ჯგუფის პროექტები საქართველოში

- ჰუალინგი. თბილისის ზღვის პლაზა
- ქუთაისის ჰუალინგის თავისუფალი ინდუსტრიული ზონა
- ჰუალინგი. ჰოტელ ენდ პრეფერენს, თბილისი
- ჰუალინგის სასტუმრო "ფანდი"
- ჰუალინგის სასტუმრო ქუთაისში
- ჰუალინგის ხე-ტყის გადამამუშავებელი ქარხანა
- ბაზისბანკი. ჰუალინგ ჯგუფის წევრი
- ჰუალინგი. თბილისის ზღვის ახალი ქალაქი
- ავია-კომპანია "მაი ვეი"

ძირითადი ფინანსური მაჩვენებლები
მილიონ აშშ დოლარში



2017 წლის ივლისში, ჰუალინგ ჯგუფმა შემოიყვანა ჩინური ავია-კომპანია შპს "მაი-ვეი" და მომხმარებელს შესთავაზა საერთაშორისო რეისები ევროპაში, აზიაში, შუა აღმოსავლეთსა და დსთ-ში.

"მაი ვეი"-ს გააჩნია გრძელვადიანი განვითარების სტრატეგია, რომელშიც დაგეგმილია ფრენები მსოფლიოს გარშემო სხვადასხვა მიმართულებებით, აშშ-ს ჩათვლით. ავია-რეისების ქსელის განვითარების პირველ ეტაპში კომპანია იწყებს ფრენებს შუა აღმოსავლეთის მიმართულებით და დსთ-ში, ხოლო მეორე ეტაპზე მას განზრახული აქვს ახალი მარშრუტების გახსნა ევროპის მიმართულებით.

მათივე

საინჟინრო

ავიაკომპანია

ავიაკომპანია

ავიაკომპანია


მიღწეული შედეგები



მთლიანი აქტივები

მლნ. ლარში


36%↑



მთლიანი სესხები

მლნ. ლარში


27%↑



კლიენტების დეპოზიტები

მლნ. ლარში


21%↑



აქტივებთან კავშირული


მლნ. ლარში

15%↑



წმინდა მოგება

ათას ლარში



ROAA




ROAE




სარეზერვო/ზომოსავლები


35% 35% 36%



საპროდუქტო რისკის ხარჯი



ზომოსავლო სესხები



აღსაქმებელი

მთავარი სამსახური

აღსაქმებელი უსაზღვრო

საინჟინერო სამსახური

საინჟინერო სამსახური

ბაზისბანკის სტრატეგია

ბაზისბანკს გააჩნია უნიკალური პოზიცია მისი საბანკო სფეროში დაგროვილი გამოცდილების, მდგრადი განვითარების და აზიისა და ევროპის წამყვან საფინანსო ინსტიტუტებსა და კომპანიებთან პატრნიორობის/შერწყმის წყალობით.

ბაზისბანკის მიზანს წარმოადგენს გახდეს წამყვანი საბანკო დაწესებულება ადგილობრივ ბაზარზე; ჩვენ ნათლად დავისახეთ გავაძლიეროთ ჩვენი პოზიციონირება და შევქმნათ საუკეთესო ბრენდი – ბანკი კიდევ უფრო თვალსაჩინო და წარმატებული გავხადოთ. ბაზისბანკს გააჩნია მრავალწლიანი სტრატეგია, სადაც ნათლად ჩანს მისი მიზანი, ჰქონდეს საუკეთესო პროდუქტები და მომსახურება.

ბრენდი ძლიერდება შემდეგი სამი მიმართულებით:

სისწრაფი – ჩვენი ძალისხმევა მიმართულია კლიენტების სწრაფი მომსახურებისკენ და საბანკო ოპერაციებზე დახარჯული დრო მინიმუმადეა დაყვანილი.

ხარისხი – კლიენტებისთვის საუკეთესო მომსახურების უზრუნველსაყოფად კომფორტული გარემოს შეთავაზება, პროდუქტსა და მომსახურებაში ნებისმიერი ხარვეზის აღმოფხვრა და აქცენტი დისტანციური მომსახურების არხების განვითარებაზე.

მოქნილობა – ჩვენს სავიზიტო ბარათს კლიენტთან ინდივიდუალური მიდგომა წარმოადგენს. ბიუროკრატიის მინიმუმამდე დაყვანა და მომხმარებლისთვის ხელსაყრელ ადგილზე მომსახურების განევა კლიენტთა ჩვენს მიმართ ლოიალობას განაპირობებს.

ჩვენ უზრუნველყოფთ ჩვენი განახლებული სტრატეგიის სრულ თანხვედრას ჩვენს ბიზნეს მოდელთან, ხოლო ხედვა უკავშირდება ხარისხს, სწრაფ და მოქნილ საბანკო მომსახურების მიწოდებას მომხმარებლებისთვის.



სამომავლო მიზანს წარმოადგენს ბანკის გაძლიერება და მისი დაწინაურება უკეთეს პოზიციაზე:

- ჩვენი კონკურენტუნარიანი პოზიციის გაძლიერება და განვითარება – ჩვენი უმთავრესი მიზანია გავხდეთ ერთ-ერთი საუკეთესო და დიდი მოთამაშე ადგილობრივ საბანკო ინდუსტრიაში. ეს მიზანი მიღწეულად ჩაითვლება, თუ ბაზისბანკი გახდება სიდიდით მე-4 ბანკი აქტივებისა და სესხების პორტფელის მოცულობის მიხედვით.
- იმიჯის პოზიციონირება – მიზნად დასახული გვაქვს მოვახდინოთ ჩვენი პოზიციონირება ღირებულ ბრენდად მომხმარებლის თვალში, რომელიც კარგად განასხვავებს ბანკს მისი კონკურენტებისაგან მომსახურების სისწრაფის, ხარისხისა და მოქნილობის თვალსაზრისით. ვაპირებთ შევქმნათ კიდევ უფრო დახვეწილი ბრენდი და ავამაღლოთ ცნობადობა, ამავე დროს, მოვახდინოთ ჩვენი, როგორც წარმატებული კომერციული ბანკის პოზიციონირება, რომელიც ემსახურება კორპორატიულ, მცირე და საშუალო საწარმოებსა და საცალო სეგმენტებს.
- გაყიდვების ქსელის განვითარება – დისტანციური მომსახურების არხები კლიენტებთან კომუნიკაციის მნიშვნელოვანი საშუალებებია. ჩვენი მიზანია გადავიდეთ უფრო ავტომატიზირებულ ბიზნეს მოდელზე. გვაქვს კონკრეტული მიზანი გამოვიყენოთ თანამედროვე ტექნოლოგია იმისთვის, რომ მომხმარებლებთან კიდევ უფრო გავაღრმავოთ ურთიერთობები და გავამარტივოთ ჩვენს საბანკო პროდუქტებსა და მომსახურებაზე ხელმისაწვდომობა.
- ბიზნესის ზრდა – სამომავლოდ, ბაზისბანკს ბაზარზე არსებული წილის სწრაფი ზრდის საკმაოდ ამბიციური გეგმა გააჩნია, რაც სასესხო პორტფელის ზრდითა და სტრატეგიულ რეგიონებში კლიენტების მოზიდვის ხარჯზე განხორციელდება.

2017 წლის ძირითადი მოვლენები

პოზიციის გაზარდა - დაინაშნა მე-8 პოზიციიდან მე-6 ჯგ

2012 წლიდან სტაბილურად ზრდაზე ორიენტირებამ სწორი და დამსახურებული შედეგი გამოიღო:

2017 წლის ბოლოს აქტივების მოცულობამ 1,2 მილიარდი ლარი შეადგინა, რამაც უზრუნველყო საქართველოს საბანკო სექტორში მე-8 პოზიციიდან მე-6 პოზიციამდე გადასვლა, რითიც გაამყარა ბანკის მდგრადი განვითარება მაღალი მაჩვენებლებითა და განსაკუთრებული ფინანსური შედეგებით.

აქტივები - პაქტით ჩვენი მილიონები მილიარდად

გასულ წელს ბაზისბანკმა დააფიქსირა აქტივების 1.2 მილიარდი ლარის ნიშნულამდე ზრდა, რაც მეტწილად სასესხო პორტფელის 31%-იანი ზრდის ხარჯზე განხორციელდა.

Fitch-ის 2017 წლის ფაქტობრივი შეფასების მიხედვით, ბაზისბანკის რეიტინგი B-დან B+-მდე გაიზარდა.

სარეიტინგო სააგენტო Fitch-მა ბაზისბანკს საერთაშორისო საკრედიტო რეიტინგი გაუზარდა. გრძელვადიანი რეიტინგი (Long Term Issuer Default Rating) "B" დან „B+“ მდე, გრძელვადიანი რეიტინგის პროგნოზი კი დაუდასტურა, როგორც "სტაბილური".

სააგენტომ ბანკს ასევე გაუზარდა მდგრადობის რეიტინგი (VR) "B" დან „B+“ მდე.

Fitch-ის თანახმად, ბაზისბანკის რეიტინგის ზრდა მისმა ფინანსურმა მაჩვენებლებმა, კერძოდ - კაპიტალიზაციის და ლიკვიდობის მაღალმა მაჩვენებელმა და საკრედიტო პორტფელის მაღალმა ხარისხმა განაპირობა.

ალიანსი საერთაშორისო პარტნიორობის მხრიდან - მოწოდება სასესხო 91 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა.

2017 წელს ბანკმა დაამყარა და გააღრმავა თანამშრომლობა ისეთ არსებულ და ახალ საერთაშორისო პარტნიორებთან, როგორებიცაა: ჩინეთის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი, BlueOrchard, ურუმჩის ბანკი, კომერცბანკი, შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკი.

2017 წელს მოზიდული საკრედიტო ხაზების მნიშვნელოვანი ნაწილი მიმართული იქნა საერთაშორისო ვაჭრობასა და ენერგოეფექტურობაზე ორიენტირებული პროექტების დასაგრედიტებლად.

ჩვენ კვლავ ვაგრძელებთ აქტიურ თანამშრომლობას საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტებთან ფინანსური რესურსის მოსაზიდად, ბანკის კლიენტებისთვის საუკეთესო პირობებით კრედიტების შეთავაზების მიზნით მათი ბიზნესების შემდგომი განვითარების უზრუნველსაყოფად.

ბანკი ინარჩუნებს ხარისხიან საპარდიტო პორტფელს - ჩვენ ვაერთიანებთ ბიზნესს და ვგრძნობთ საკრედიტო დაზანაობას რისკების მართვის პრინციპებისა და დაპირებების მაღალი სტანდარტების შენარჩუნების გზით.

პორტფელის ხარისხი განაპირობებს იმას, რომ ბანკი ინარჩუნებს მომგებიანობის მაღალ მაჩვენებლებს, რასაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ბანკში დანერგილი რისკების მართვის და მიზნობრივი დაფინანსების მაღალი სტანდარტები, რაც ბანკის პოლიტიკით არის განსაზღვრული. წლის განმავლობაში ბანკმა შეინარჩუნა ჯანსაღი ხარისხის საკრედიტო პორტფელი - არამუშა სესხების წილმა მთლიან¹ პორტფელში შეადგია 2%, ხოლო საზედამხებელო სტანდარტით დადგენილი გაუფასურებული სესხების² წილმა (საკრედიტო პორტფელის ხარისხის ამსახველი ბოლო სამი კატეგორიის სესხები) 4%, რაც უკეთესი შედეგია, ვიდრე წლის ბოლოს საბანკო სექტორში საშუალოდ დაფიქსირებული იგივე მონაცემები - 2,8% და 5,9%. ბანკის არამუშა სესხები სრულად არის გადაფარული დანაკარგების რეზერვით და შესაბამისად არის ასახული ბანკის კაპიტალში. ამასთან, ფასს-ის სტანდარტების მიხედვით გაუფასურებული სესხების რეზერვის 2016 წლის ბოლოს დაფიქსირებული 2,43% -იდან ჩამოვიდა 2,12%-მდე, რაც ასევე პორტფელის ხარისხის გაუმჯობესების მაჩვენებელია.

გაყიდვების ძალის ოპტიმიზაცია და მოდერნიზაცია

2017 წელს გავაგრძელებთ სერვისცენტრების მოდერნიზება და არსებული ქსელის კარგად გამართვა. გავხსენით ახალი სერვისცენტრები, მათ შორის სამეგრელოში, როგორც ეკონომიკურად აქტიურ რეგიონში. ასევე, გავაგრძელებთ დისტანციური საბანკო მომსახურების დახვეწა და განვითარება.

ჩვენი სერვისცენტრები აღჭურვილია უახლესი აპარატურით, რაც კიდევ უფრო მეტი მომხმარებლის კომფორტულად მომსახურების საშუალებას იძლევა.

2016 წელს დაწყებული ქსელის ოპტიმიზაცია და მომსახურების კონცეფცია მიზნად ისახავს მომხმარებლების საჭიროებებზე სწრაფ რეაგირებას და პროდუქტების კიდევ უფრო ფართო ასორტიმენტის შეთავაზებას.

¹უმოქმედო სესხები 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით
²გაუფასურებული სესხები სებ-ის მეთოდოლოგიით

საინფორმაციო ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურის განვითარება – ჩვენ გავაუმჯობესეთ ჩვენი საინფორმაციო სისტემების ინფრასტრუქტურა, დავხვეწეთ და განვავითარეთ ჩვენი მობილური და ონლაინ საბანკო სერვისები; დავასრულეთ ძირითადი და სათადარიგო სერვერების ოპტიმიზაცია, განვავითარეთ ახალი და გავაუმჯობესეთ არსებული სისტემები და პროგრამები, კერძოდ: განვახორციელეთ მიგრაცია ძირითად საბანკო სისტემებზე, შევიმუშავეთ კადრების მართვის პორტალი, დავნერგეთ BLS-სისტემა, რომელიც ხელს უწყობს საექვო ტრანზაქციების და ფიზიკური პირების გამოვლენას, შევქმენით სახაზინო დისტანციური ვაჭრობის სისტემა "პირადი დილერი" და უნიკალური საბანკო მობილური აპლიკაცია. აპლიკაცია სთავაზობს თავის მომხმარებლებს დროის დაზოგვას, მოქნილ საბანკო მომსახურებებს და საბანკო ოპერაციების შესრულებას მსოფლიოს ნებისმიერი წერტილიდან კერძო ბანკირის დახმარებით, იქნება ეს ფულადი გადარიცხვა თუ დეპოზიტის გახსნა, ხოლო სახაზინო დისტანციური მომსახურების სისტემა სთავაზობს მომხმარებელს კერძო დილერის მომსახურებას ბაზარზე არსებულ საუკეთესო კონვერსიის პირობებით.

გარდა ამისა, ჩვენ განვახორციელეთ ბანკის ინფორმაციული უსაფრთხოების ტესტირება, ე.წ. "შელწევადობის ტესტირება" ანუ „პენ ტესტი“. ამ მიზნით ბანკმა მოიწვია სპეციალური კომპანია, რომლის მეშვეობით კვალიფიციური ინჟინრები ახდენდნენ შეტევას ბანკის სხვადასხვა ინფორმაციულ რესურსზე: დისტანციური ბანკის არხებზე, საინფორმაციო საიტზე, ბანკის ინფრასტრუქტურაზე.

ტესტები ტარდებოდა, როგორც გარედან (ინტერნეტიდან), ასევე შიგნიდან, უშუალოდ ბანკის ქსელის შიდა პერიმეტრიდან. ჩატარებული ტესტირებების შედეგების კვალდაკვალ, კომპანიამ გაგვინია ნაპოვნი სისუსტეების აღმოფხვრის რეკომენდაციები. რეკომენდაციების მიხედვით დაიგეგმა და დაიწყო შესაბამისი ცვლილებების განხორციელება. ცვლილებები ეხება როგორც პროგრამულ მხარეს, ასევე ინფრასტრუქტურულ და მონიტორინგის საკითხებს.

ახალი გიგანს მიმართულება

ბაზარზე ჩვენი პოზიციის შემდგომი გაძლიერების მიზნით, 2017 წლის ბოლოს დაიწერა მნიშვნელოვანი მიმართულებები სადაზღვევო და სალიზინგო მიმართულებით: შეიქმნა ორი შვილობილი კომპანია – სადაზღვევო და სალიზინგო კომპანიები.



"Hualing Insurance"-მა მოიპოვა დაზღვევის ლიცენზია და ბაზარზე ოპერირებას დაიწყო 2018 წლის მეორე კვარტალში. ამ მომენტისთვის, კომპანია აქტიურად ავითარებს სადაზღვევო პროდუქტებს „Hualing Insurance“-ის სტრატეგიის შესაბამისად. კომპანიის მთავარი მიზანია შეიქმნას სპეციალური მომსახურების სტანდარტები კლიენტებთან ინდივიდუალური მიდგომისა და ინდივიდუალური სადაზღვევო პროდუქტების საშუალებით. აღნიშნული სტრატეგია უზრუნველყოფს კლიენტებთან გრძელვადიან ურთიერთსასარგებლო თანამშრომლობას.



ლიზინგი
LEASING

ახალი შვილობილი კომპანია, სალიზინგო კომპანია "BHL Leasing", დაფუძნდა 2017 წლის დეკემბერში და საქმიანობას 2018 წლის მეორე კვარტალიდან დაიწყო.

გარტ რა უნივერსალური ბანკი, მღვწეველი და ლიზინგის მომსახურებების პროვაიდერი, შესაძლებლობა გვაქვს გავიდეთ ბაზარზე როგორც ინტეგრირებული და გამართული ფინანსური ინსტიტუტი, რაც საშუალებას გვაძლევს საბანკო, სადაზღვევო და ლიზინგის პროდუქტების შეთავაზებით გავუწიოთ კლიენტებს სრული ფინანსური მომსახურება.

ჩვენი გიჟი სპონსორი

კომერციული დაპარტამენტი / მიზნები და პრიორიტეტები

2017 წელს, ბანკმა წარმატებით გაართვა თავი კლიენტების გაზრდილი მოთხოვნებისა და მოლოდინების შედეგად წარმოქმნილ გამოწვევებს და გააგრძელა თავისი გრძელვადიანი სტრატეგიის განხორციელება.

კომერციული დეპარტამენტი შედგება სამი ბიზნეს მიმართულებისგან: კორპორატიული, SME და იუნიქ ბანკინგის განყოფილებები. 2017 წლის განმავლობაში, ჩვენ კიდევ უფრო გავამყარეთ ჩვენი ბიზნეს მიმართულებები 2016 წელს ინიცირებული მთავარი სტრუქტურული ცვლილებების და შექმნილი ახალი ერთეულების, ჯგუფებისა და განყოფილებების საშუალებით.

SME-ისა და კორპორატიული განყოფილების ინიციატივა მოიცავდა:

- რეგიონული ჯგუფების შექმნასა და დანერგვას
- იუნიქ ბანკინგის საქმიანობის დაწყებას
- ცალკე დოკუმენტური ოპერაციებისა და ფაქტორინგის განყოფილების საქმიანობის დაწყებას
- აგრო ბანკირთა ჯგუფის შექმნას

ძირითადი ეტაპების მიღწევა მოხდა იუნიქ ბანკინგის, დოკუმენტური ოპერაციებისა და ფაქტორინგის განყოფილების შექმნით, SME-ისა და აგრო ბანკირთა ჯგუფის გაძლიერებით რეგიონებში.

დავინყეთ რეგიონული გაფართოება სამ მთავარ ლოკაციაზე: აჭარა, კახეთი და სამეგრელო. ადგილზე წარმოვადგინეთ სხვადასხვა ინიციატივა, მათ შორის საკრედიტო და სადაზღვევო მიმართულებით, დაგვეგმეთ ჯგუფის კვალიფიკაციის ამაღლება საიმისოდ, რომ გავხადოთ უფრო კონკურენტუნარიანი გაყიდვებისა და მომსახურების კუთხით.

სრული რეორგანიზაცია ჩავატარეთ კომერციულ დეპარტამენტში; შევექმნით ახალი განყოფილებები. ჩვენი სტრატეგიის განხორციელების მიმართულებით პროგრესული ნაბიჯი იყო რეგიონული ჯგუფების შექმნა (ალმოსავლეთი და დასავლეთი), დარგისთვის დამახასიათებელი გამოცდილების მქონე აგრო ბანკირთა ერთეულების შექმნა. ასევე იუნიქ ბანკინგის და ცალკე დოკუმენტური ოპერაციებისა და ფაქტორინგის განყოფილებების საქმიანობის დაწყება ბიზნესის დაკრედიტების გასააქტიურებლად.

ბანკის ზრდასთან ერთად, გამოიკვეთა დოკუმენტური ოპერაციების მიმართულების განვითარების აუცილებლობა, ფაქტორინგისა და საერთაშორისო ვაჭრობაში ჩართული კლიენტებისთვის უფრო მოქნილი, მოხერხებული და დაცული მომსახურებების შესაძლებლობად.

2016 წლის ბოლოსთვის, ბაზისბანკმა მიიღო გადაწყვეტილება და შექმნა ცალკე, VIP კლიენტების სეგმენტზე ორიენტირებული ახალი ერთეული, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალურ და მაღალი დონის მომსახურებებს. მათთვის პერსონალურად ნებისმიერი ტიპის ყოვლისმომცველი საბანკო მომსახურებების შეთავაზებით.

ბიზნეს (კორპორატიული და მცირე და საშუალო ბიზნესი) ბანკინგი

საქართველოს ყველა ეკონომიკურად აქტიურ რეგიონში ბიზნეს ბანკინგი 5000-ზე მეტ მცირე, საშუალო და დიდ კომპანიას ემსახურება. ჩვენი ეფექტური მრავალარხიანი გაყიდვების ქსელი, სეგმენტზე ორიენტირებული და გამოცდილება, კლიენტებზე მორგებული პროდუქტისა და მომსახურებების საშუალებით გვაძლევს მცირე და საშუალო საწარმოების და კორპორატიული კლიენტების დაკრედიტების შესაძლებლობას.

SME ბანკინგი უზრუნველყოფს ფინანსური მომსახურებების სრულ პაკეტს, რაც განპირობებულია მცირე და საშუალო საწარმოებთან თანამშრომლობის დიდი გამოცდილებით. ბანკი ემსახურება ამ სეგმენტს როგორც კარგად გამართული სერვისცენტრების ქსელის, ასევე დისტანციური არხებისა და სპეციალიზებული გაყიდვების ჯგუფების საშუალებით.

კორპორატიული ბანკინგი, სთავაზობს რა, ინდივიდუალური პროდუქტებისა და მომსახურებების ფართო დიაპაზონს, ემსახურება მსხვილ ქართულ საწარმოებს ფინანსური, საინვესტიციო, ფულადი სახსრების მართვის, საერთაშორისო ვაჭრობისა და ყოველდღიური საბანკო მოთხოვნების დაკმაყოფილებაში.

კორპორატიული და მცირე და საშუალო საწარმოების სეგმენტები ბაზისბანკის მთავარ პრიორიტეტად რჩება. დარწმუნებული ვართ, რომ გვაქვს რესურსი ამ კუთხით, გავხდეთ ერთერთი წამყვანი მოთამაშე ბაზარზე.

ბიზნეს დაკრედიტების მოცულობამ 2017 წელს შეადგინა 141 მილიონი ლარი, წლიური 30%-იანი ზრდა, მოიზიდა იურიდიული პირების 62 მილიონი ლარის დეპოზიტები, დაფიქსირდა წლიური 15%-იანი ზრდა. პორტფელის ზრდა განაპირობა ინდივიდუალური პროდუქტებისა და მომსახურებების კომპლექტმა. კორპორატიული და მცირე და საშუალო საწარმოების ბიზნეს განყოფილებები/დეპარტამენტები კიდევ უფრო განვითარდა გამოცდილი პერსონალის დამატებით, რაც ორიენტირებული იყო ბანკის მიერ განსაზღვრული ამბიციური მიზნების შესრულებაზე.

პორტფელის ზრდა ძირითადად განხორციელდა ისეთი პრიორიტეტული სექტორების დაკრედიტების საშუალებით, როგორიცაა ტურიზმი, ჯანდაცვა, ენერგეტიკა, მშენებლობა. ჩვენ კვლავაც გავაგრძელებთ ეკონომიკის პროგრესულ სექტორზე ფოკუსირებას, რათა მოვიცვათ განვითარების აქტუალური მიმართულებები. ასეთი სექტორების დაკრედიტება გაიზარდა 2018 წელსაც.

2017 წლის განმავლობაში ბანკის რეგიონული და აგრო ბანკინგის სფეროები მნიშვნელოვნად გაფართოვდა სტრატეგიული თვალსაზრისით შერჩეულ რეგიონებში.

აგრო ბანკირები წარმოდგენილი არიან თითოეულ რეგიონულ ოფისში და მუშაობენ კონკრეტულად აგრობიზნესის დაკრედიტების გაზრდაზე, ახალი აგრო კლიენტების მოზიდვაზე და არსებული ოფისების მომსახურების ხარისხის გაუმჯობესებაზე. ეს ბოლოდროინდელი ცვლილებები ხელს შეუწყობს ბანკის აგრო კრედიტის პორტფელის ზრდას, და გაზრდის შემოთავაზებული ახალი კონკრეტული პროდუქტების წარმატების შანსებს.

50-ზე მეტი კომპანია და ფერმერი დაფინანსდა შეღავათიანი აგრო-კრედიტის პროგრამის ფარგლებში.

წარმატებული ფარგლის ამბავი

თამაზ ნასიდაშვილი

წნორში, კახეთის რეგიონში, თამაზ ნასიდაშვილი აგრობიზნესში ჩართულია 10 წელზე მეტი სხნის განმავლობაში. 500-მდე ჰექტარის სასოფლო-სამეურნეო მიწის ნაკვეთზე მას მოჰყავს სხვადასხვა სახის აგროპროდუქტი, მათ შორის: ხორბალი, სიმინდი და ქერი. თამაზი ყოველწლიური იღებს დაახლოებით 1800-2000 ტონა მოსავალს. წლების მანძილზე ის სირთულეს აწყდება იმასთან დაკავშირებით, რომ კახეთში არ არსებობს დიდი რაოდენობის მოსავლის შესანახი სათავსოები და მოსავლის შენახვა უხდება რეგიონის ფარგლებში არსებულ სხვადასხვა საწყობში. ასევე პრობლემას წარმოადგენს მოსავლის ტრანსპორტირება და ლოჯისტიკა. ტრანსპორტირების გაზრდილი ხარჯები გავლენას ახდენს ფერმერის მიერ მარცვლეულზე შეთავაზებულ საბაზრო ფასზე.

თამაზისთვის დახმარების გაწევისა და მოსავლის შენახვასთან დაკავშირებული და სხვა შესაბამისი პრობლემების გადაწყვეტის მიზნით, ბაზისბანკმა უზრუნველყო მისთვის 1800 კვ.მ პროდუქციის შესანახი ობიექტის აშენება, აგრო პროექტის ფარგლებში.

ბაზისბანკის დახმარებით და კლიენტებთან ნაყოფიერი ურთიერთობით, დღესდღეობით თამაზს შეუძლია შეინახოს 4000 ტონამდე მოსავალი.



პირადი საწყობი ფერმერს შესაძლებლობას აძლევს დაზოგოს ტრანსპორტირების და ლოჯისტიკის ხარჯები, ასევე საიჯარო თანხა.

შედგად, ბიზნესი გახდა უფრო ხარჯეფექტიანი და რენტაბელური ფერმერისთვის.

უნდა აღინიშნოს, რომ აგრო სექტორში ბაზისბანკი არ წარმოადგენს მხოლოდ ფინანსურ საშუალებას, ის ასევე არის ახალი ამბების საინფორმაციო წყარო. ბაზისბანკი უშვებს თემატურ ჟურნალს "აგრო ბაზისს", რომელიც საკმაოდ პოპულარულია, როგორც სოფლის მეურნეობის სფეროში, ასევე მკითხველებს შორის. ყოველკვარტალურად გამოიცემა ჟურნალის 5000 ასლი. მომხმარებლებისთვის ასევე ხელმისაწვდომია ჟურნალის ელექტრონული ვერსია.



საქალაქო ბიზნესის განვითარების მიმართულება

საქალაქო ბიზნესის განვითარების მიმართულების მიზანია კლიენტებისთვის პროდუქტების და მომსახურებების სრული სპექტრის უზრუნველყოფა გაყიდვების ინსტრუმენტების ფართო ასორტიმენტისა და სერვისცენტრების ქსელის თანამედროვე სისტემის მეშვეობით,

საქალაქო საბანკო მომსახურება კლიენტებს სთავაზობს ყველა ტიპის საბანკო მომსახურებას და მარტივ და გამჭვირვალე პროდუქტების ფართო სპექტრს: მიმდინარე ანგარიშებს, დეპოზიტებს, იპოთეკურ და სამომხმარებლო სესხებს, სახელფასო პროექტებს და განვადებებს, საბარათე მომსახურებებს გადახდის სამი სისტემისთვის: VISA, MasterCard და Union Pay.



გასულ წელს ცვლილებები შეეხო და განახლდა საქალაქო საბანკო მომსახურების ორგანიზაციული სტრუქტურა იმისთვის, რომ უკეთესად მომსახურებოდა საქალაქო სეგმენტს. განახლებულმა საქალაქო ბიზნესის მართვის დეპარტამენტმა ფუნქციონირება დაიწყო ოთხი ძირითადი დეპარტამენტის მეშვეობით: სერვისცენტრების ქსელის განვითარების დეპარტამენტი, ალტერნატიული არხების მართვის დეპარტამენტი, საქალაქო გაყიდვებისა და საქალაქო დაკრედიტების დეპარტამენტები, რომლებიც აკმაყოფილებენ საქალაქო ბაზრის საბანკო საჭიროებებს.

2017 წელს ჩატარებული აქტიური კამპანიებით ბაზისბანკმა საქალაქო კლიენტებს შესთავაზა მათზე მორგებული პროდუქტები და მომსახურებები. შედეგად, საქალაქო სესხები წინა წელთან შედარებით გაიზარდა 19%-ით და 2017 წლის ბოლოს მიაღწია 157 მილიონ ლარს. საქალაქო სესხების სეგმენტი შეადგენს ბანკის საკრედიტო პორტფელის მთლიანი მოცულობის 20%-ს.

ბოლო ორი წლის განმავლობაში ბანკმა მნიშვნელოვანი პროგრესი განიცადა საქალაქო საბანკო მომსახურების მიმართულებით, გაუმჯობესდა სერვისი.

2017 წელს განხორციელებული მნიშვნელოვანი ცვლილებები და ინვესტიციები მოიცავდა:

- სერვისცენტრების განახლებას
- რეგიონებში გაფართოვებას
- გაუმჯობესებულ ციფრული ინოვაციებს

მთელი წლის განმავლობაში, რეგიონული მასშტაბით ჩვენი მომსახურებების არეალი გაფართოვდა და მოიცვა დასავლეთ საქართველოს ყველა მნიშვნელოვანი ლოკაცია და ასევე, ყველაზე აქტიური ტურისტული ზონა. აგვისტოდან, ქალაქ ზუგდიდში ფუნქციონირება დაიწყო ახალმა სერვისცენტრმა. პუნქტები დაემატა მესტიაში, სვანეთში. გარდა ამისა, ბანკმა ორ მთავარ კომერციულ სავაჭრო წერტილში - თბილისის პლაზასა და მალაზია სმაილიში გახსნა განყოფილებები, რომელიც მოემსახურება განვადების პროექტებს.



უკვე მიმდინარეობს საქალაქო ბიზნესის მართვის დეპარტამენტის ტრანსფორმაციის პროცესი, რომლის მიზანია უმაღლესი ხარისხის მომსახურების მიწოდება მომხმარებლის საჭიროებებისა და საბაზრო ინოვაციების გათვალისწინებით. კლიენტებისთვის მომსახურებების დროულად გაწევის მიზნით, ჩვენს სერვისცენტრებში დასაქმდნენ ახალი თანამშრომლები.

2017 წელს ბაზისბანკმა აამოქმედა აქტიური ქოლ-ცენტრი, როგორც გაყიდვების ალტერნატიული არხი, რომელიც ორიენტირებულია კლიენტების მოზიდვაზე და არსებულ და პოტენციურ მომხმარებელთან აქტიური კომუნიკაციების განხორციელებაზე სხვადასხვა პროდუქტისა და



მომსახურების შეთავაზების გზით.

საცალო ბიზნესის გაყიდვების ზრდას ხელი შეუწყო გაყიდვების ჯგუფის სახელფასო და არასახელფასო ჯგუფებად დაყოფამ. სახელფასო გაყიდვების ჯგუფმა გაზარდა არსებული და ახალი სახელფასო კლიენტების დაკრედიტება.

მეორე ჯგუფი ემსახურება საცალო კლიენტებისთვის იპოთეკური და სამომხმარებლო დაკრედიტების გაზრდას. გაყიდვების ჯგუფები აქტიურად მუშაობენ რამდენიმე დეველოპერთან პოტენციური ბინის მყიდველებისთვის სხვადასხვა შეთავაზების შესამუშავებლად.

დეველოპერებთან დამყარებული იქნა მთელი რიგი პარტნიორული ურთიერთობები საბაზრო მოთხოვნის შესაბამისი იპოთეკური დაფინანსების მხარდასაჭერად, რომელიც პოტენციურ მომხმარებელს სთავაზობს საინტერესო და ღირებულ წინადადებებს საცხოვრებელი სახლების შეძენასთან დაკავშირებით.

2017 წელს ამოქმედდა ახალი აპლიკაციები. აღნიშნული მომსახურება შესაძლებელს ხდის, რომ სტანდარტული საბანკო მომსახურება მარტივად მივიღოთ ციფრული ტექნოლოგიით, დისტანციურად. 50%-ზე მეტი საცალო ტრანზაქცია უკვე დამუშავდა ციფრულად მობაილბანკის გამოყენებით, რომელიც წარმოადგენს ყველაზე სწრაფად მზარდ გაყიდვების არხს. ბანკის ვებგვერდი და მობილური აპლიკაციები მომხმარებელს შესაძლებლობას აძლევს მარტივად ჰქონდეს წვდომა ბაზისბანკის პროდუქტებსა და მომსახურებებზე იმის მიუხედავად, იქნება სახლში, სამსახურსა თუ გზაში. ბაზისბანკის ონლაინ პლატფორმა საცალო კლიენტებს შესაძლებლობას აძლევს საკუთარ პირად ანგარიშებზე მიიღონ სწრაფი სესხები წინასწარ დამტკიცებული ლიმიტით, ასევე განვადებები და ინსტრუმენტების სხვა მრავალი მოქნილი პაკეტი, რომელიც მორგებულია მომხმარებლების კომფორტზე.

ინფორმაცია

მომსახურების
საბანკო

საბანკო
ინფორმაცია

საბანკო
ინფორმაცია

საბანკო
ინფორმაცია

ადამიანური რესურსები

ადამიანური რესურსების და ადმინისტრაციული პარტნიოზის განყოფილება

ადამიანური რესურსებისა და ადმინისტრაციული მართვის განყოფილების მისიაა საუკეთესო სამუშაო გარემოს შეთავაზება საკუთარი თანამშრომლებისთვის. იმისთვის, რომ აღიარებული იყო, როგორც კლიენტების მომსახურების თვალსაზრისით წამყვანი ბანკი, ვაცნობიერებთ, რომ აუცილებელია მუდმივი ადაპტირება დასაქმებულების კმაყოფილებისა და მოტივაციის ცვლილებებისადმი, ასევე კლიენტების ქცევაზე და მათ ფინანსურ საჭიროებებზე მორგება.

ჩვენი კოლეგები ამაყობენ ბაზისბანკში მუშაობით, ხოლო მათი მხარდაჭერით ჩვენ ვვმნიტ კულტურას, სადაც ისინი ინსპირირებული არიან იმით, რომ მთელი გულით აკეთებენ კლიენტებისთვის სასარგებლო და საჭირო საქმეს. გვსურს, რომ კოლეგები ჩაერთონ და ერთუზიანობით განეწყონ ჩვენი სტრატეგიის მიმართ. ჩვენ სისტემატურად ვაწვდით მათ უახლეს ინფორმაციებს ბანკის ეფექტიანობის მაჩვენებლების შესახებ, ასევე ისეთ საკითხებთან დაკავშირებით, რომელიც ეხება ბანკში მათ ფუნქციებს. გარდა ამისა, დაინტერესებულნი ვართ ჩვენი თანამშრომლებისგან მივიღოთ უკუკავშირი, რაც გვეხმარება საერთო მომავლის ფორმირებაში. 2017 წელს როგორც წინა წლებში, ბაზისბანკმა ბორჯომში ჩაატარა ღონისძიება, სადაც სპეციალურად მოწვევნი იყვნენ საშუალო და მაღალი რგოლის ხელმძღვანელობა იმისთვის, რომ შეეცადებინათ ბანკის გასული პერიოდის შედეგები და მონაწილეობა მიეღოთ ბანკის 5 წლიანი სტრატეგიის შემუშავების პროცესში.



2017 წელს, ბაზისბანკმა გააგრძელა ორგანიზაციის რესტრუქტურირება ახალი ბიზნეს სტრატეგიის შესაბამისად, ხოლო ადამიანური კაპიტალი კორექტირებული იქნა იმგვარად, რომ შექმნილიყო საქმიანობის ეფექტიანობაზე ორიენტირებული გარემო.

პირველ ეტაპზე, წარმატებული სამუშაო ადგილის და კარიერის ზრდის შესაძლებლობის შექმნით, ბანკმა დაწერა ადამიანური რესურსების მართვის პორტალი - ინტრანეტი. პორტალი ხელს უწყობს სამუშაო პროცესის უწყვეტად წარმართვას და მთლიანი ორგანიზაციის ფარგლებში ინფორმაციის სწრაფად გაცვლას. გავაუმჯობესეთ ციფრული ურთიერთქმედება ჩვენი კოლეგებისთვის კომფორტის შექმნის მიზნით. დიდი ყურადღება დაეთმო ბანკის ადამიანური რესურსის კვალიფიკაციის ამაღლებას, სწავლებას და უნარების გაუმჯობესებას, ამავედროულად მნიშვნელოვანი ინვესტიციები განხორციელდა ჩვენი პერსონალის პროდუქტიულობის ამაღლების მიმართულებით. 2017 წლის განმავლობაში, 24 ტრენინგი ჩატარდა სპეციალურ მიზნობრივ ჯგუფებსა და პირებს. ჩვენი ვიდეო პასუხისმგებლობას, წარმატებული კარიერის შექმნაში დავეხმარეთ, როგორც ახლად აყვანილ სპეციალისტს, ასევე ჩვენს უკვე პროფესიონალ და გამოცდილ პერსონალს. ჩვენთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს პერსონალის ლოიალობას და კარიერულ ზრდას.

2017 წელს ბანკმა ასევე დაამატა ახალი ვებ-გვერდი კადრების გამარტივებულად და გამჭვირვალედ დაკომპლექტების მიზნით. ახალი ვებგვერდი აღიჭურვა ადამიანური რესურსების მენეჯერებისთვის საჭირო ყველა აუცილებელი ინსტრუმენტით, რაც დაეხმარება ბანკს საუკეთესო პერსონალის შერჩევისა და დაქირავებაში, ხოლო მეორე მხრივ, მნიშვნელოვანია სამუშაო ადგილის მსურველი პრეტენდენტებისთვის - მოქნილი და სამართლიანი მოპყრობის თვალსაზრისით.

და ბოლოს, ჩვენი სამუშაო გამოცდილება და წლიური შედეგები აჩვენებს თუ რა მნიშვნელოვანი ადგილი გვიკავია თითოეული ჩვენი კოლეგის პოზიტიურ და კრეატიულ განვითარებაში, რაც საბოლოოდ ითვალისწინებს ჩვენი კლიენტებისთვის და მომხმარებლებისთვის უკეთესი მომსახურების გაწევას და ჩვენს საქმიანობაში ნდობის და პატივისცემის გამყარებას აბსოლუტური ერთიანობით და გუნდური მუშაობით.


გაზრდის ვიმონილვა



საოპერაციო და ფინანსური მიმოხილვა

ეკონომიკის მიმოხილვა

2017 წელს, მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) წლიურმა ზრდამ 5,0% შეადგინა, მაშინ, როცა 2016 წელს ამ მიმართულებით 2,8%-ანი ზრდა დაფიქსირდა. აღნიშნული ზრდა უმეტესწილად განპირობებული იყო რეგიონალური ეკონომიკური პროცესების გაჯანსაღებითა და გაუმჯობესებული შიდა ფაქტორებით.



წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი, ოქტომბერი 2017წ


საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ მედეგი აღმოჩნდა ბოლო პერიოდში წარმოქმნილი ეკონომიკური შოკების მიმართ, რომლებმაც ზეგავლენა მოახდინეს რეგიონის ქვეყნების ეკონომიკებზე.

მიუხედავად 2014 წლიდან ეკონომიკურ ზრდაზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორებისა, საქართველოს ეკონომიკამ შეძლო ზომიერი და სტაბილური ზრდის მიღწევა, რაშიც დიდი წილი მიუძღოდა მცურავი გაცვლითი კურსის რეჟიმისა და ურთიერთშეთანხმებულ მონეტარულ და ფისკალურ პოლიტიკას.

შედეგად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, GDP-ს ზრდის საშუალო მაჩვენებელმა 4% შეადგინა. (1,8%-ს CIS-ის ქვეყნებში)¹.

2017 წელს მშპ-ს წლიური ზრდის ტემპი გაიზარდა და 5,0%-ს მიაღწია, რაც ძირითადად განპირობებული იყო საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორების (ევროზონის ქვეყნები, თურქეთი და რუსეთი) ეკონომიკების გაჯანსაღებითა და გაზრდილი ერთობლივი მოთხოვნით, რომელზეც დიდი ზეგავლენა მოახდინა საბიუჯეტო ხარჯების ზრდამ, ფისკალურმა სტიმულირებამ და წლის განმავლობაში აქტიურად დაფინანსებულმა ინფრასტრუქტურულმა პროექტებმა.

ჩვენი შეფასებით, 2018 წლის მშპ-ს წლიური ზრდა მიაღწევს 4,5%-ს. დამატებით, მიმდინარე სტრუქტურული რეფორმები, გაუმჯობესებული მომხმარებლისა და ბიზნესის განწყობის ინდექსები, თავის მხრივ დადებითად იმოქმედებს შემდგომი წლების ეკონომიკური პროცესების მიმდინარეობაზე.




¹წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი (მსოფლიო ეკონომიკის პერსპექტივების მონაცემთა ბაზა, ოქტომბერი 2017წ)

წლიური ანგარიში 2017

ზრდის განმაპირობებელი ფაქტორები - ძირითადი სავაჭრო პარტნიორების გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა მაჩვენებლებმა ხელი შეუწყო ექსპორტის, ფულადი გზავნილების და ტურიზმის ზრდას. ამავდროულად, გაუმჯობესებულმა მომხმარებლისა და ბიზნესის განწყობამ დადებითად იმოქმედა შიდა მოხმარებასა და ინვესტიციებზე რაც თავის მხრივ პოზიტიურად აისახა ეკონომიკურ ზრდაზე.

ზრდა დაფიქსირდა ეკონომიკის ყველა ძირითად სექტორში. სავაჭრო სექტორის წლიურმა რეალურმა ზრდამ 6,6% შეადგინა, სამშენებლო სექტორი გაიზარდა 11,2%-ით ნ/ნ, ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორმა აჩვენა 6.2% ნ/ნ ზრდა, მრეწველობის სექტორი +5.0% ნ/ნ; სასტუმროების და რესტორნების სექტორში ორნიშნა ზრდა დაფიქსირდა 11.2% ნ/ნ, რასაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ტურისტული ნაკადების მკვეთრმა მატებამ².

2014 წლიდან რეგიონში შენელებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა გავლენა იქონია საქართველოში ფულადი ნაკადების შემოდინებებზე. რაც, თავის მხრივ, უარყოფითად მოქმედებდა ერთობლივ მოთხოვნაზე. თუმცა 2017 წელს, გზავნილების სახით განხორციელებული გარე შემოდინებები მკვეთრად გაიზარდა (+19.8% ნ/ნ) და 1.4 აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 9,1%). ფულადი გზავნილები გაიზარდა ყველა ძირითადი დონორი ქვეყნიდან³.




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ტურიზმიდან მიღებული შემოსავლები კვლავ წარმოადგენს უცხოური ვალუტის შემოდინების მთავარ წყაროს. 2017 წელს ტურიზმიდან მიღებულმა ფულადმა ნაკადებმა აჩვენა 27.0% -ანი წლიური ზრდა და შეადგინა 2.8 მილიარდი აშშ დოლარი, მშპ-ს 18.2%. საერთაშორისო მოგზაურების რაოდენობა წინა წელთან შედარებით 17.6%-ით გაიზარდა და 7.9 მილიონი ვიზიტორი შეადგინა. მათ შორის ტურისტების რაოდენობამ 63% შეადგინა, +23.4% ნ/ნ.⁴

საქართველოს ეკონომიკის კონკურენტუნარიანობა გლობალურ ბაზარზე მზარდი ტრენდით ხასიათდება, რასაც ხელს უწყობს ვაჭრობის დივერსიფიკაციის და საინვესტიციო მიმართულებით მიმდინარე პროცესები. მათ შორის, ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება (AA), ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება (DCFTA) და ჩინეთთან გაფორმებული თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება. აღნიშნული ფაქტორები საქართველოსთვის წარმოადგენს დამატებითი ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის მიღების შესაძლებლობას, რაც ხელს შეუწყობს პოლიტიკური და ეკონომიკური ურთიერთობების კიდევ უფრო განვითარებას.

გემოთ აღნიშნულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა უკვე მოახდინა დადებითი ზეგავლენა საქონლითა და მომსახურებებით საგარეო სავაჭრო ბრუნვაზე; გასულ წელთან შედარებით ექსპორტი გაიზარდა 29.1% -ით და შეადგინა 2.7 მილიარდი აშშ დოლარი, ხოლო იმპორტის მაჩვენებელი გასულ წელთან შედარებით გაიზარდა 9.4% -ით და შეადგინა 8 მილიარდი აშშ დოლარი, რაც ძირითადად განპირობებული იყო გაზრდილი გარე შემოდინებების შედეგად ნახალისებული შიდა მოთხოვნით.

აღნიშნულმა ეკონომიკურმა პროცესებმა დადებითად იმოქმედა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის შემცირებაზე, რომელიც კვლავ რჩება ეკონომიკისთვის მთავარ გამოწვევად. 2017 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 4,3 პპ-ით შემცირდა და მშპ-ს 8,6% შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

²წყარო: საქსტატი

³წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი


⁴წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, GNTA.

მაღალი ეკონომიკური ზრდა დაბალანსებულ ეკონომიკურ პოლიტიკასთან ერთად ხელს უწყობს ქვეყანაში მიმზიდველი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას. მსოფლიო ბანკის უახლესი კვლევის მიხედვით, ბიზნესის კეთების სიმარტივის კუთხით საქართველომ მე-9 ადგილი დაიკავა.

საქართველოს ეკონომიკის მდგრადობა ძირითადად უკავშირდებოდა კოორდინირებულ ფისკალურ და მონეტარულ პოლიტიკას და ადევკატურ საბანკო ზედამხედველობას, რამაც ხელი შეუწყო კომერციული ბანკების მხრიდან ეკონომიკის აქტიურ და პასუხისმგებლიან დაფინანსებას. შედეგად, ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, საკრედიტო დაბანდების მშპ-სთან თანაფარდობის კოეფიციენტი 32.4% -დან 56.2%-მდე გაიზარდა.

საქართველოს ეროვნული ბანკი განაგრძობს ინფლაციის თარგეტირების პოლიტიკის განხორციელებას, რომელიც საჭიროებს მოქნილი სავალუტო კურსის რეჟიმის შენარჩუნებას, იმისათვის რომ პარალელურად მოხდეს ეკონომიკური ზრდის მხარდაჭერა.


წლიური ინფლაცია შედარებით მაღალი იყო 2017 წელს, და წლის ბოლოსთვის მიაღწია 6,7%-ს. ინფლაციამ დაგეგმილ მაჩვენებელს (4,0%) გადააჭარბა ბენზინსა და თამბაქოზე სააქციზო გადასახადების ერთჯერადი ზრდისა და ავტომობილებზე გაზრდილი საბაჟო გადასახადების გამო. ინფლაციის განაკვეთის მიზნობრივ მაჩვენებელთან ახლოს შესანარჩუნებლად საქართველოს ეროვნულმა ბანკმა რეფინანსირების (მონეტარული პოლიტიკის) განაკვეთი წლის განმავლობაში სამჯერ გაზარდა. რეფინანსირების განაკვეთმა წლის ბოლოს 7,25% შეადგინა.



საქართველოს ეროვნული ბანკის უახლესი შეფასების მიხედვით, 2018 წლიდან, ერთჯერადი ფაქტორების ამოწურვასთან ერთად, ინფლაცია განახლებულ მიზნობრივ მაჩვენებელს (3,0%) დაუახლოვდება.

საერთაშორისო ასპარეზზე ეკონომიკური პოზიციების გამყარების მიუხედავად, საკვანძო საკითხად რჩება კვლავ საგარეო დაფინანსების მოზიდვის საკითხი. 2017 წელს, მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი წინა წელთან შედარებით 4,3 კპ-ით შემცირდა და მშპ-ს 8,6% შეადგინა. რაც გამოწვეული იყო გაუმჯობესებული სავაჭრო ბალანსით, მომსახურებებით ვაჭრობიდან მიღებული გაზრდილი შემოსავლებით (დიდი წილად გაზრდილი ტურისტული შემოსვლების ხარჯზე, რომელმაც აჩვენა 27% წ/წ ზრდა), და გაზრდილი ფულადი გზავნილებით. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები კვლავ რჩება მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების არსებით წყაროდ. 2017 წელს, შიდა კაპიტალში განხორციელებულმა პირდაპირმა უხოურმა ინვესტიციებმა შეადგინა დაახლოებით 1,8 მილიარდი აშშ დოლარი (12,3% GDP).

2017 წელს, პირდაპირი უცხოური ინვესტიციები გასულ წელთან შედარებით 16,2%-ით გაიზარდა, ინვესტიციები ძირითადად მიმართული იყო ტრანსპორტისა და კომუნიკაციების სექტორში 28,3%-იანი წილით, და ფინანსურ სექტორში 16,3%-იანი წილით.



**წლიური ანგარიში
2017**

საქართველოს მთავრობის ოთხპუნქტიანი რეფორმების გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ახალ საგადასახადო სარგებლებს კორპორატიული სექტორისთვის (ამოქმედდა 2017 წლის იანვრიდან), ინფრასტრუქტურული ხარჯების გაზრდას, სამთავრობო რეფორმებს საინვესტიციო მასტიმულირებელ ღონისძიებებთან ერთად, სავარაუდოდ კიდევ უფრო ხელს შეუწყობს უცხოური ინვესტიციების ზრდას.

საქართველოს ეკონომიკისთვის კიდევ ერთ გამომწვევას დოლარიზაციის მაღალი დონე წარმოადგენს, რომელიც 2017 წლის განმავლობაში საკმაოდ დარეგულირდა. 2017 წლის დასაწყისში, საქართველოს მთავრობამ, საქართველოს ეროვნულ ბანკთან თანამშრომლობით, განახორციელა ეგრეთწოდებული "ლარიზაციის" პოლიტიკა, რომლის საფუძველზეც აიკრძალა 100 000 ლარზე ნაკლები მოცულობის უცხოურ ვალუტაში დენომინირებული საცალო სესხების გაცემა. შედეგად, 2017 წელს სესხების დოლარიზაცია შემცირდა 8,5 პროცენტული პუნქტით 56.9%-მდე, ხოლო დეპოზიტების დოლარიზაცია წინა წელთან შედარებით შემცირდა 5,8 პროცენტული პუნქტით 65.6%-მდე. დოლარიზაციის დონის შემცირება ხელს უწყობს მონეტარული პოლიტიკის ეფექტიანობის გაძლიერებას, ამცირებს გაცვლითი კურსის მერყევობას და მთლიანობაში, ამცირებს სავალუტო რისკს, რაც ეკონომიკას გარე შოკების მიმართ უფრო მდგრადს ხდის.


გაუმჯობესებულმა ეკონომიკურმა პროცესებმა, თავის მხრივ, დადებითად იმოქმედა ქვეყნის საკრედიტო რეიტინგზე. 2017 წელს "Moody's"-მა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი Ba2-დან Ba3-მდე გაზარდა, ხოლო ეკონომიკური პერსპექტივები სტაბილურად შეაფასა. Fitch-მა ასევე დაადასტურა საქართველოს საკრედიტო რეიტინგი BB- დონეზე. რეიტინგის გაუმჯობესება ღირსშესაძლოდ განპირობებული იყო ბოლო სამი წლის განმავლობაში გარე ფინანსური და სავალუტო შოკების მიმართ საქართველოს ეკონომიკის მდგრადობით.

2017 წელს დაფიქსირებული სტაბილური ეკონომიკური მაჩვენებლების ფონზე, ზრდის პროგნოზი კიდევ უფრო ოპტიმისტურია. IMF-ის კვლევის მიხედვით, 2018 წლის წლიური ეკონომიკური ზრდა შეფასებულია 4,5%-ზე, რომელიც ბევრად აღემატება რეგიონის ეკონომიკური ზრდის საშუალო მაჩვენებელს.

გაუმჯობესებული ზრდის პროგნოზი უკავშირდება მიმდინარე სტრუქტურულ რეფორმებს, რომელიც ხელს უწყობს უფრო მაღალ, მდგრად და ჯანსაღ ეკონომიკურ ზრდას. შესაბამისმა უწყებებმა მიიღეს ზომები ფინანსური უზრუნველყოფის სისტემის გაუმჯობესების, კაპიტალის ბაზრის განვითარების უზრუნველყოფის მიზნით და პარლამენტს წარუდგინეს კანონპროექტები საჯარო-კერძო საკუთრების და საპენსიო რეფორმების შესახებ. აღნიშნული პროექტი წარმოადგენს მოსახლეობის დანაზოგის დაგროვების გარანტიას, რომელიც გამოყენებული იქნება ინვესტიციების დასაფინანსებლად, რაც, თავის მხრივ, შეამცირებს ეკონომიკისთვის გარე დაფინანსების საჭიროებას, გრძელვადიან პერიოდში.

საბანკო სექტორი

საქართველოს საბანკო სექტორი წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე განვითარებულ და სწრაფად მზარდ სექტორს ეკონომიკაში, ჯანსაღი რეპუტაციით, სოლიდური კაპიტალიზაციით და ლიკვიდობით. საბანკო სექტორის ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ზრდაში. ბოლო 5 წლის მანძილზე საბანკო სექტორის საშუალო წლიურმა ზრდამ 19% შეადგინა და მიაღწია მშპ-ს 91%-ს აქტივების ნაწილში და 56.2%-ს სესხების ნაწილში. ხოლო დეპოზიტების მოცულობა 2,5-ჯერ გაიზარდა და 19,8 მილიარდი ლარი შეადგინა.



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის ბოლოს მთლიანი პორტფელის მოცულობამ შეადგინა 22 მილიარდი ლარი, +18%/წ. ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების წლიურმა ზრდამ გადააჭარბა ბიზნესებზე (კორპორატიული პირები და მცირე და საშუალო საწარმოები) გაცემულის სესხების წლიურ ზრდას. სამომხმარებლო დაკრედიტება გაიზარდა 955 მილიონი ლარით, +20% წ/წ, ხოლო იპოთეკის სექტორი - 738 მილიონი ლარით, +24% წ/წ. 2016 წელს არსებული გარკვეული სტაგნაციის შემდეგ, მცირე და საშუალო საწარმოების დაკრედიტება 2017 წლის განმავლობაში გაიზარდა 1 მილიარდი ლარით +30% წ/წ. კორპორატიული სესხების წილი მთლიან საკრედიტო პორტფელში შემცირდა 31%-მდე (2015 წელს დაფიქსირებული 37%-დან), რაც ნაწილობრივ გამოწვეული იყო კორპორატიული ობლიგაციების გამოშვებით. კორპორატიული კრედიტები ძირითადად მიმართულია ვაჭრობის, მრეწველობის და სამშენებლო სექტორებში.


2017 წელს, საბანკო სექტორის მიერ მოზიდული დეპოზიტების მოცულობა წლიურად 16.6%-ით გაიზარდა. კორპორატიულ და საცალო დეპოზიტების სტრუქტურაში ადგილი არ ჰქონია ზრდის ტემპიდან გადახვევას; უცხოურ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებამ ზეგავლენა მოახდინა დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელზე, კერძოდ დეპოზიტების დოლარიზაცია 2017 წელს 71%-დან 66%-მდე შემცირდა.

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კორპორატიულმა დეპოზიტებმა და საცალო დეპოზიტებმა შეადგინეს მთლიანი დეპოზიტების, შესაბამისად 46% და 54%.

საქართველოს საბანკო სექტორის მომგებიანობა საკმაოდ მიმზიდველია. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, კონსოლიდირებული მოგების საბანკო სისტემის კაპიტალზე შეფარდებამ (ROAE) 20,7% შეადგინა, რაც აჭარბებს წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს (19.2%). მოგების მნიშვნელოვანი ზრდა დაბალანსდა მთლიანი აქტივების წლიური სტაბილური ზრდით +14.7%, რის შედეგადაც უმნიშვნელოდ გაუმჯობესდა კონსოლიდირებული მოგების ჯამურ აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი (ROAA) და 2.78% შეადგინა, 2016 წელს საქართველოს საბანკო სექტორში გაზრდილი კონკურენცია ნეგატიურად აისახა საპროცენტო მარჟებზე და მომგებიანობაზე, რადგან წმინდა საპროცენტო შემოსავალი წარმოადგენს საბანკო შემოსავლების მთავარ წყაროს. უნდა აღინიშნოს, რომ საპროცენტო მარჟებზე ზეწოლა წარმოიშა ჯანსაღი საბაზრო სტრუქტურისა და გაზრდილი კონკურენციის შედეგად.

საბანკო სისტემის მაღალი მომგებიანობის დამატებით გამომწვევ ფაქტორებს წარმოადგენს საკრედიტო პორტფელის საკმაოდ მაღალი ხარისხი და მაღალი საოპერაციო ეფექტიანობა. საოპერაციო ხარჯების შეფარდებამ შემოსავლებთან საბანკო სისტემის დონეზე შეადგინა 47%. მაღალი ზრდის ტემპისა და მომგებიანობის მიუხედავად, საქართველოს საბანკო სექტორი კვლავ რჩება ადეკვატურად დარეგულირებულ და საკმარისად კაპიტალიზირებულ სექტორად.

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, პირველადი კაპიტალის თანაფარდობამ რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან შეადგინა 14,0%-ს (საშუალო საბაზრო მაჩვენებელი), ხოლო მთლიანი საზედამხედველო კაპიტალის შეფარდებამ რისკის მიხედვით შეწონილ აქტივებთან 19.1% შეადგინა, ბაზელ III-ის ჩარჩოს შესაბამისად (ძველმა რეგულაციამ მოქმედება შეწყვიტა 2018 წლის იანვრიდან). საბანკო სექტორი ინარჩუნებს მნიშვნელოვან სარეზერვო მარაგს მიღებული საოპერაციო მოგების საფუძველზე პოტენციური საკრედიტო ზარალების დასაფარად, რომელსაც შესაძლოა ადგილი ჰქონდეს აქტივების ხარისხზე ზეწოლის შემთხვევაში.



სავალუტო ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაში – საბანკო სექტორის მყარი კაპიტალის ადეკვატურობა განპირობებულია აქციონერების სტაბილური და ძლიერი მხარდაჭერით, სოლიდური შიდა კაპიტალის დაგროვებით და რისკების გონივრული მართვით. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, უიმედო სესხები (საქართველოს ეროვნული ბანკის მეთოდოლოგიით) ბაზრის სესხების მთლიან მოცულობასთან მიმართებაში შეადგენდა 5.9%-ს (2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით 7.3%). სესხების დანაკარგების რეზერვები (LLR) სესხების მთლიან მოცულობასთან მიმართებაში შეადგენდა 5.2%-ს (2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით 6.2%) და უიმედო სესხებთან მიმართებით უზრუნველყოფდა რეზერვების საიმედო წყაროს.

დოლარიზაციის მაღალი დონე კვლავ რჩება მნიშვნელოვან საკითხად, რის გამოც საბანკო სექტორი მოწყვლადია სავალუტო კურსის მერყეობის მიმართ.

დაკრედიტების დოლარიზაციის განაკვეთი მაღალია და შეადგენს 57% 2017 წლის ბოლოსთვის, რაც უმეტესწილად გამოწვეულია მოზიდული რესურსების სავალუტო სტრუქტურით. მთავრობის და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ბოლოდროინდელი ღონისძიებების მიზანია დოლარიზაციის შემცირება ეკონომიკაში და შედეგად სექტორის მდგომარეობის გაძლიერება გაცვლითი კურსის მერყეობის მიმართ.


სავალუტო ნორმატიულ-სამართლებრივ ბაზაში - ფაქტორიკის ღონისძიებები

ფინანსური სექტორის დოლარიზაციის მაღალი დონე წარმოადგენს მაკროეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობის მთავარ გამონეგვას. დოლარიზაციის დონის შემცირების მიზნით, მთავრობამ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა შეიმუშავეს შესაბამისი ზომები და მიიღეს გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივ ეკონომიკურ საქმიანობებში ეროვნული ვალუტის გამოყენების ხელშეწყობას. ღონისძიებები, რომელიც მოიცავდა 2015 წლის 1-ლ იანვრამდე გაცემული უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ნებაყოფლობით კონვერტაციას, განხორციელდა 2017 წლის პირველ კვარტალში და ეს იყო ერთგვარადი ღონისძიება, რომელმაც უზრუნველყო სამომხმარებლო სესხების გარკვეული ნაწილის ადგილობრივ ვალუტაში კონვერტაცია სუბსიდირებული განაკვეთით. სხვა ღონისძიებები მიმართული იყო საბაზრო ქცევის ჩამოყალიბებისკენ საკანონმდებლო ცვლილებების გზით: 1. შეზღუდვები დაუწესდა ფიზიკურ პირებს, რომელთაც 2017 წლის 1 იანვრიდან აეკრძალათ 100 000 ლარამდე სესხების უცხოურ ვალუტაში აღება. 2. ბანკებზე დაწესებული სავალდებულო რეზერვები 15%-დან 20%-მდე გაიზარდა უცხოურ ვალუტაში მოზიდული რესურსისთვის (ხოლო ლარში მოზიდული რესურსის რეზერვების მოთხოვნები შენარჩუნდა 7%-ზე). აგრეთვე, გაიზარდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული თანხებისთვის ბაზელ III-ის ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) გათვალისწინებული გადაფარვის მოთხოვნები. 3. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხებისთვის გამოიყენება 175% რისკების მიხედვით შეწონვა, რაც ზრდის კაპიტალზე მოთხოვნას უცხოურ ვალუტაში წარმოშობილ რისკებთან დაკავშირებით.

კომერციულ ბანკებს სჭირდებათ საკმარისი ლიკვიდობა ლარში იმისთვის, რომ უზრუნველყონ ეკონომიკის დაფინანსება. საქართველოს ეროვნული ბანკი და მთავრობა ერთობლივად მუშაობენ გეგმებზე, რომელიც ითვალისწინებს ბაზარზე ლარის ლიკვიდობის გაზრდას. კაპიტალის ბაზრის განვითარება წარმოადგენს ნაციონალური ვალუტის ხელშეწყობის მნიშვნელოვან ინსტრუმენტს და ქმნის ლარის გრძელვადიან რესურსს. საქართველოს ეროვნულმა ბანკმა და მთავრობამ შეიმუშავეს საქართველოს კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგია. აღნიშნული სტრატეგიის ფარგლებში გათვალისწინებულია საპენსიო რეფორმის განხორციელება და საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომერციული ბანკებიდან მისაღები უზრუნველყოფის ჩამონათვლის გაზრდა ლარის რესურსების მიღების მიზნით.

აღნიშნულმა ღონისძიებებმა უკვე იქონია გავლენა პორტფელის სტრუქტურაზე, რაც გამოიხატა საცალო პორტფელში უცხოური ვალუტის კონცენტრაციის 52%-დან 42%-მდე შემცირებაში.

ლიკვიდობა, საბანკო სისტემა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მთლიან აქტივებში ლიკვიდური აქტივების წილი (ლიკვიდური აქტივების კოეფიციენტი) შეადგენდა 21.3%-ს (22.8% 2016 წლის დეკემბერში) კონსოლიდირებულ დონეზე.

2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, საბანკო სისტემის დეპოზიტების მთლიანი მოცულობა გაიზარდა 16,6%-ით წ/წ და შეადგინა 19,8 მილიარდი ლარი, რაც წარმოადგენს ზრდის საკმარისად მაღალ ტემპს GDP-ს წლიურ 5%-იან ზრდასთან შედარებით. დეპოზიტების ზრდის 27.9% უკავშირდებოდა ვადიანი დეპოზიტების ზრდას, ხოლო დანარჩენი ნაწილის ზრდა განპირობებული იყო მოკლევადიანი დეპოზიტებით. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, ინდივიდუალური პირების დეპოზიტების წილი შეადგენდა მომხმარებელთა მთლიანი ფინანსების 53.7%-ს.

საბანკო სისტემის აქტივების მნიშვნელოვანი ნაწილი ფინანსდება დეპოზიტების საშუალებით. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი აქტივების 57% დაფინანსებული იყო დეპოზიტების გზით კონსოლიდირებულ დონეზე, ხოლო 55% - ბაზისბანკის დონეზე.

2017 წლის 1-ლი სექტემბრიდან, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა დაასრულა ბაზელ III-ის ლიკვიდობის ჩარჩო და მისი ინტეგრაცია საბანკო სექტორში. LCR წარმოადგენს თანამედროვე მიდგომას მოკლევადიან (30 დღემდე) ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებით და ითვალისწინებს ლიკვიდობის რისკების დადგენას, შეფასებას, მონიტორინგსა და კონტროლს. კომერციული ბანკები ვალდებული არიან უზრუნველყონ ლიკვიდური აქტივების სათანადო დონე 30 დღიანი (LCR) ლიკვიდობის გადინებების გადასაფარად.

საქართველოს ეროვნული ბანკი მუშაობს რეგულაციებზე, რომელიც ითვალისწინებს საბანკო სექტორში გამჭვირვალობის, ანგარიშგების, მართვის და ზედამხედველობის გაუმჯობესებას.

ბაზისბანკის სამოქმედო გეგმის აღწერა

2017 წელს ბაზისბანკმა წარმატებით დაასრულა ბიზნეს-სტრატეგიის 5 წლიანი ციკლი. 2012-2017 წლებში ბანკმა შეინარჩუნა კაპიტალიზაციის მაღალი დონე, ლიკვიდობის მყარი პოზიციები და მნიშვნელოვანი წარმატებას მიაღწია ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლების თვალსაზრისით.

- წელს „ბაზისბანკმა“ გაიმჯობესა თავისი პოზიცია და საქართველოში მე-8 უმსხვილესი ბანკის პოზიციიდან აქტივების მიხედვით მე-6 უმსხვილესი ბანკის პოზიციაზე, ხოლო კაპიტალის მიხედვით მე-5 უმსხვილესი ბანკის პოზიციაზე გადაინაცვლა.
- ბანკის საქმიანობა მთლიან აქტივებში დაახლოებით დამატებითი 300 მილიონი ლარით გაფართოვდა;
- ურთიერთობების გაღრმავების გზით 90 მილიონ აშშ დოლარზე მეტი იქნა მოზიდული როგორც ახალი, ასევე ისეთი გრძელვადიანი პარტნიორებისგან, როგორიცაა: საერთაშორისო ფინანსური კორპორაცია (IFC), ჩინეთის განვითარების ბანკი, აზიის განვითარების ბანკი, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკი (EBRD), „BlueOrchard“, „ურუმქის ბანკი“, „კომერცბანკი“ და „Banca Popolare di Sondrio“.
- გაიხსნა სადაზღვევო და სალიზინგო შვილობილი კომპანიები, რომლებიც ხელს შეუწყობენ ჯგუფს და ბანკს, ფინანსურ ბაზრებზე ახალი შესაძლებლობების ასათვისებლად.
- ბანკის რეგიონული განვითარების ხელშესაწყობად და სამიზნე კლიენტებთან დასაკავშირებლად მოხდა გეოგრაფიული არეალის გაფართოება და ახალი რეგიონების ათვისება. ასევე შეიქმნა ახალი რეგიონული სტრუქტურული ერთეულები.
- გაუმჯობესდა ონლაინ პლატფორმები - ონლაინ საბანკო საქმიანობა, ონლაინ საკრედიტო განაცხადები, მობილური საბანკო საქმიანობა; ვალუტით ვაჭრობისთვის შეიქმნა უნიკალური სავაჭრო მოდულები და ა. შ.;
- ბანკის გრძელვადიანი რეიტინგი FITCH-ის მიხედვით გაუმჯობესდა და „სტაბილური“ პერსპექტივით „B“-დან „B+“-ზე გადავიდა.

„ბაზისბანკის“ ეფექტურობის ძირითადი მაჩვენებლები (მილიონი ლარი)

	2017	2016
წმინდა საოპერაციო შემოსავალი	53.1	47.6
წმინდა მოგება დარეზერვებამდე	33.8	31.1
მოგება გადასახადის გადახდამდე	31.6	26.4
წმინდა მოგება (ზარალი)	29.9	25.5

მომგებიანობა

წმინდა მოგება დარეზერვებამდე საშუალო კაპიტალთან	17%	18%
წმინდა მოგება დარეზერვებამდე საშუალო აქტივებთან	3.2%	4.0%
მოგება გადასახადის გადახდამდე საშუალო კაპიტალთან	15.8%	15.3%
საოპერაციო ხარჯები	(19.3)	(16.5)
ხარჯ-შემოსავლიანობის კოეფიციენტი	36%	35%
უკუგება საშუალო კაპიტალზე (ROE)	14.9%	14.7%
უკუგება საშუალო აქტივებზე (ROA)	2.8%	3.6%

წყარო: შიდა გაანგარიშებები

- ზრდისა და მომგებიანობის თვალსაზრისით „ბაზისბანკმა“ 2017 წელს შთამბეჭდავ შედეგებს მიაღწია: აქტივებში +31%-იანი, სესხებში +27%-იანი ხოლო კლიენტთა დეპოზიტებში +21%-იანი ზრდა დაფიქსირდა. სუფთა მოგება 29,9 მილიონი ლარს გაუტოლდა, რაც 2016 წელთან შედარებით +17%-იანი ზრდაა.
- სტაბილურია მომგებიანობის მაჩვენებლები: ROAE მაჩვენებელი ოდნავ გაუმჯობესდა 14,7%-დან 14,9%-მდე, ხოლო 2017 წელს გაზრდილი საკუთარი და ნასესხები სახსრების გამო, ROAA-მ 3,6%-2,8%-ის ფარგლებში მერყეობდა 2016-2017 წლებში.
- სასესხო პორტფელის უკეთესი ხარისხის პარალელურად, ბაზისბანკმა შეძლო გაზრდილი მომგებიანობის უზრუნველყოფა. რისკების ხარჯი, რაც პორტფელის 0,3%-ს შეადგენდა, მიუთითებს სასესხო პორტფელის ხარისხის გაუმჯობესებაზე, რამაც შედეგად მოიტანა სესხების შესაძლო გაუფასურების რეგერვის შემცირება 2016 წლის ბოლოს არსებული 2,43%-დან 2017 წლის ბოლოს დაფიქსირებულ 2,12%-მდე. ხარჯების შემოსავლებთან თანაფარდობის კოეფიციენტი დაბალი დარჩა და ამ მაჩვენებელმა 2016 და 2017 წლებში შესაბამისად 35% და 36% შეადგინა.

ბაზისბანკის სამომავლო პროგნოზი

შემოსავლიანი კონსოლიდირებული მოგება-ზარალის ანგარიშგება

ცვლილება 2016-2017

მილიონი ლარი	2017	2016	მლნ. ლარი	in%
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	46.0	40.9	5.1	13%
სხვა არასაპროცენტო შემოსავალი (წმინდა)	7.1	6.7	0.4	6%
მთლიანი წმინდა შემოსავლები	53.1	47.6	5.6	12%
მთლიანი არასაპროცენტო ხარჯები	(19.3)	(16.5)	(2.8)	17%
საოპერაციო მოგება დარეგულირებამდე	33.8	31.1	2.7	9%
სესხის შესაძლო დანაკარგების რეგერვი	(2.2)	(4.6)	2.5	-53%
შემოსავალი (ზარალი) გადასახადებამდე	31.6	26.4	5.2	20%
საშემოსავლო გადასახადების ხარჯი	(1.7)	(1.0)	(0.8)	79%
წმინდა მოგება	29.9	25.5	4.4	17%
წმინდა საპროცენტო მარჟა (NIM)	5.6%	6.7%		

წყარო: შიდა გაანგარიშებები

შენიშვნა: ზემოთ მითითებული მონაცემები დაახლოებით უდრის ბანკის არაკონსოლიდირებულ მოგება-ზარალის უწყისის მონაცემებს. ზუსტი მონაცემებისთვის, გთხოვთ, იხილოთ ბაზისბანკის ჯგუფის კონსოლიდირებული და არაკონსოლიდირებული მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლების უწყისები.

2017 წელს სულ წმინდა საოპერაციო შემოსავლებმა 2016 წელს დაფიქსირებული 47,6 მილიონი ლართან შედარებით 53,1 მილიონ ლარს მიაღწია, რაც ძირითადად განპირობებული იყო შემოსავლების ნაწილში სესხებიდან მიღებულ შემოსავლებში +20%-იანი ზრდით და ფასიანი ქაღალდების პორტფელში +6%-იანი ზრდით, რომლებიც ამაჟამად მთლიანი საპროცენტო შემოსავლების შესაბამისად დაახლოებით 85%-ს და 13%-ს შეადგენს. მეორეს მხრივ, წმინდა საპროცენტო შემოსავალზე (NII) გავლენა ჰქონდა საპროცენტო ხარჯებთან დაკავშირებულ ხარჯებს, რომლებიც 2017 წელს საგრძნობლად (30%-ით) გაიზარდა. ეს კი 2017 წლის ბოლოსთვის დამატებითი 149 მილიონი ლარით გაზრდილ ნასესხებ სახსრებზე მომატებულმა საპროცენტო ხარჯებმა განაპირობა.

მთლიანობაში, ამ ცვლილებების შედეგად მომგებიანობის მაჩვენებლების სტაბილური ზრდა დაფიქსირდა. მომგებიანობის ზრდას თავის მხრივ ხელი შეუწყო საპროცენტო შემოსავლების (წლიური ზრდის 13%-იანი მაჩვენებელი) ზრდამ, ისევე სხვა დადებითმა ფაქტორებმა. წმინდა საპროცენტო შემოსავლების 13%-იანი ზრდის შედეგად მთლიან წმინდა საოპერაციო შემოსავლებში 12%-იანი მატება (ეს მაჩვენებელი წლიდან წლამდე 5,6 მილიონი ლარით გაიზარდა) აღინიშნება. საოპერაციო ხარჯების (არასაპროცენტო ხარჯების) და სესხის შესაძლო გაუფასურების რეგერვის გამოკლებით, „ბაზისბანკის“ 2017 წლის გადასახადების გადახდამდე მოგებამ 31,6 მილიონი ლარი შეადგინა. ეს 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელს 5,2 მილიონი ლარით (ე.ი., წლიური +20%-ით) აღემატება.

კონკურენციის ზრდის და ლარი-დოლარის დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთების ზრდის ფონზე წმინდა საპროცენტო მარჟა 2017 წლისთვის მცირდება. ლარში მოზიდულ სახსრებზე გავლენა იქონია წლის განმავლობაში რეფინანსირების განაკვეთის 6,75%-დან 7,25%-მდე გაზრდამ, რომელიც სესხ-ის მიერ ორჯერ შეიცვალა მზარდი ინფლაციური პროცენტების გამო. მეორეს მხრივ, საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხებ სახსრებზე ასევე გავლენა აქვს ლონდონის ბანკთაშორის დეპოზიტების საპროცენტო განაკვეთის (LIBOR) ზრდასაც - ეს განაკვეთი 1,32%-დან 1,85%-მდე (6M LIBOR) გაიზარდა. ამით, წინა წელთან შედარებით 2017 წელს წმინდა საპროცენტო სპრედიც და წმინდა საპროცენტო მარჟაც შესაბამისად 0,8 და 1,2 საბაზისო პუნქტებით გაუარესდა. ამ პროცესს თან ახლავს დეპოზიტებზე საბაზრო განაკვეთების ცვლილებები; კერძოდ, შემცირდა უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების განაკვეთები.

„ბაზისბანკმა“ ამ ცვლილებების ასახვა განახორციელა აქტივ-პასივების მართვის (ALM) პროცედურის მიხედვით - სესხების განაკვეთებში და პირობებში ცვლილებებზე მონიტორინგი მუდმივად ხორციელდება და აისახება მცურავი საპროცენტო განაკვეთის მქონე გასაცემ სესხებში. ამ პროცესს ხელს უწყობს ის ფაქტიც, რომ 2017 წელს „ბაზისბანკის“ საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების შემდეგ საერთაშორისო ფინანსური ინსტიტუტების მხრიდან ახალი პირობები დაწესდა. წმინდა საპროცენტო მარჟაზე ზეწოლა სავარაუდოდ 2018 წელსაც გაგრძელდება და ამ ზეწოლის შედეგები შესაძლოა მოცულობის ზრდით განეიტრალებს.

წინა წელთან შედარებით არასაპროცენტო ხარჯები 2017 წელს 2,8 მილიონი ლარით გაიზარდა. ეს ძირითადად გამოწვეული იყო პერსონალის შრომის ანაზღაურებისა და განვითარების ხარჯებით. 2016 წელს დაფიქსირებულ 25,5 მილიონ ლართან შედარებით, წმინდა შემოსავალმა გადასახადების გადახდის შემდეგ 2017 წელს 29,9 მილიონი ლარი შეადგინა (17%-იანი წლიური ზრდა).

ბაზისბანკის პორტფელის ხარისხი ჯანსაღი რჩება - სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვებმა 2017 წელს 2,2 მილიონი ლარი შეადგინა (ეს მაჩვენებელი 2016 წელს 4,7 მილიონი ლარით განისაზღვრებოდა), რაც განპირობებული იყო 2016 წლის 1%-იან მაჩვენებელთან შედარებით რისკის უფრო დაბალი, კერძოდ, 0,3%-იანი ხარჯით (გაუფასურების საშუალო წლიური ხარჯების შეფარდება საშუალო მთლიან სესხებთან). ამან კი საბოლოო ჯამში ხელი შეუწყო მომგებიანობას იმით, რომ პერიოდის გაუფასურებამდელი საოპერაციო მოგება 6%-ით შთაინთქა. სესხების ზრდის კვალობაზე აქტივების ხარისხის შენარჩუნება ბანკის ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანა იქნება ბანკის საქმიანობის ეფექტურობის ხელშეწყობისთვის.

ფინანსური პოზიცია

შემაჯავრობელი კონსოლიდირებული საბალანსო უწყისი

მილიონი ლარი	ცვლილება 2017-2016 წწ.			
	2017	2016	მლნ ლარი	in %
ფასიანი ქაღალდები	144	128	15	12%
მთლიანი სასესხო პორტფელი (GLP)	774	609	165	27%
ბიზნეს-სესხები	617	477	140	29%
საცალო სესხები	157	132	25	19%
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვი (LIP)	(16)	(15)		
სესხების შესაძლო დანაკარგების რეზერვის კოეფიციენტი (LIPR)	2.12%	2.43%		
წმინდა სესხები	758	594	164	28%
მთლიანი აქტივები	1,231	940	291	31%
მთლიანი კლიენტთა დეპოზიტები	678	562	116	21%
მიმდინარე ანგარიშები	192	141	51	36%
მოთხოვნამდე დეპოზიტები	186	95	91	95%
ვადიანი დეპოზიტები	287	326	(40)	-12%
ნასესხები სახსრები	270	122	149	122%
მთლიანი ვალდებულებები	1,018	754	264	35%
მთლიანი კაპიტალი	213	186	27	15%

შენიშვნა: ცხრილში მოცემული მთლიანი კონსოლიდირებული საბალანსო მონაცემებიდან, ბანკის არაკონსოლიდირებული წილი შეადგენს: მთლიანი აქტივები: 1 236 მილიონი ლარი (2016: 940 მილიონი ლარი), მთლიანი ვალდებულებები: 1 022 მილიონი ლარი (2016: 754 მილიონი ლარი) და მთლიანი კაპიტალი: 213 მილიონი ლარი (2016: 185 მილიონი ლარი)


აქტივებში დაფიქსირებული ცვლილებები - 2017 წელს „ბაზისბანკის“ მთლიან აქტივებში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა. წინა წლის ანალოგიური მონაცემთან შედარებით მთლიანი აქტივები 31%-ით გაიზარდა და ცვლილებამ 291 მილიონი ლარი შეადგინა, რის შედეგადაც მთლიანი აქტივები 1231 მილიონ ლარს გაუტოლდა. მთლიანი აქტივების ზრდაში 57% სასესხო პორტფელზე მოდის.

2017 წელს „ბაზისბანკმა“ თავისი პოზიცია გააუმჯობესა როგორც სასესხო პორტფელის, ასევე კლიენტთა დეპოზიტების პარამეტრებით. „ბაზისბანკი“ წარმოადგენს ბიზნესზე ერთ-ერთ ყველაზე მეტად ორიენტირებულ ინსტიტუტს. „ბაზისბანკის“ სასესხო პორტფელი ძირითადად შედგება ბიზნეს-სესხებისგან. შესაბამისად, ბაზრის საშუალო მაჩვენებელთან (47% 2017 წლის ბოლოსთვის) შედარებით საცალო სექტორი მთლიან სასესხო პორტფელში შედარებით პატარა წილს იკავებს.

„ბაზისბანკის“ მთლიანი სასესხო პორტფელის (GLP) წლიური ზრდა 2017 წელს 27%-ით განისაზღვრა. 2017 წელს მთლიან სასესხო პორტფელში ბიზნესის სეგმენტს 80%, ხოლო საცალო სეგმენტს 20% უკავია (2016 წელს შესაბამისად 78%-თან და 22%-თან შედარებით). წინა წლების მსგავსად, ბიზნეს-სეგმენტი მთლიანი სასესხო პორტფელის ზრდის მთავარი წარმმართველი ძალაა. 27%-იანი ზრდა მიღწეულ იქნა ბიზნეს-დაკრედიტებაზე ინტენსიური +29%-იანი კონცენტრაციით, ხოლო საცალო სექტორზე +19%-იანი კონცენტრაციით (სეგმენტაციაში მხოლოდ უმნიშვნელო ცვლილებები დაფიქსირდა).

„ბაზისბანკის“ ბიზნეს-სესხების პორტფელი კარგად არის დივერსიფიცირებული. „ბაზისბანკისთვის“ პრიორიტეტული დაკრედიტების მიმართულებებია ტურიზმთან დაკავშირებული სექტორები, ჯანდაცვა, სხვა მომსახურება, ენერგეტიკა, მშენებლობა და ა. შ. ამ სექტორების დაფინანსება გაიზარდა 2018 წელს და შემდგომშიც. მაღალი სექტორული კონცენტრაციის რისკი დაბალია, სექტორებში კონცენტრაცია შესაბამისობაშია „ბაზისბანკის“ პოლიტიკასთან - თითოეულ სექტორის დაკრედიტების კონცენტრაციამ არ უნდა გადააჭარბოს მთლიანი პორტფელის 15%-ს, ხოლო სოფლის მეურნეობის დაკრედიტების კონცენტრაციამ არ უნდა გადააჭარბოს მთლიანი პორტფელის 5%-ს. ამ ეტაპზე ეს რისკები ამ ლიმიტებამდე საკმაოდ შორს არის.

სასხავის ბიზნეს-საქმრობათან მიმართება (პროცენტუადა)



წყარო: შიდა გაანგარიშებები

საცალო პორტფელი (RP) – 2017 წელი საცალო პორტფელში წლიური 19%-იანი ზრდით დასრულდა. ბაზარზე მზარდი მოთხოვნის დაკმაყოფილების ხელშეწყობის მიზნით სტრუქტურულ ერთეულებში და პროცედურებში გატარებული ცვლილებების შედეგად დაკრედიტება გაუმჯობესდა. 2017 წლის განმავლობაში „ბაზისბანკმა“ შიდა პროცედურებში კორექტირებები შეიტანა და გააძლიერა ფრონტ-პერსონალი, აგრეთვე ინვესტიციები ჩადო ლარში დენომინირებულ სესხებში. ტარიფებისა და პირობების თვალსაზრისით ჩვენი წინადადებები ბაზარზე კონკურენტუნარიანი იყო; და ეს ზომები ეფექტური აღმოჩნდა – „ბაზისბანკი“ ბაზარზე განახლებული წინადადებებით გავიდა.

საცალო ბიზნესის დაკრედიტების გაუმჯობესების პროცესი 2018 წელსაც გაგრძელდება. აღნიშნული პროცესი გააძლიერებს ჩვენს ბიზნესს და გაზრდის ჩვენს პორტფელს სამიზნე 30%-იან მაჩვენებელამდე. ფრონტ- და ბექ-ოფისებში პროცედურების შემდგომი ოპტიმიზაცია, პერსონალის ტრენინგი და საკადრო ბაზისა და ტექნიკური მხარდაჭერის გაუმჯობესება, ონლაინ გაყიდვების პლატფორმების განვითარება და ა. შ. ის ზომებია, რომლებმაც უნდა უზრუნველყოს ჩვენი ინტენსიური საქმიანობა საცალო სექტორში.

„ბაზისბანკმა“ მომხმარებლებს მათ მოთხოვნებზე ორიენტირებული ახალი პროდუქტები შესთავაზა, რასაც თან ახლდა აქტიური კამპანიები. შედეგად, საცალო სესხები 2016 წლის შესაბამის მაჩვენებელთან შედარებით 24 მილიონი ლარით გაიზარდა და 2017 წლის ბოლოს 157 მილიონი ლარით განისაზღვრა. 2017 წელს ისევ აღინიშნა იპოთეკური სასესხო პორტფელის ინტენსიური ზრდა - 2016 წლის შედეგებთან შედარებით აღნიშნული პორტფელი 11%-ით გაიზარდა (წლის განმავლობაში გაიჭა 55 მილიონი ლარის იპოთეკური სესხი). ასევე, სამომხმარებლო სესხები გაიზარდა მნიშვნელოვნად, კერძოდ +35%-ით (+47 მილიონი ლარით).

კონკურენტული სატარიფო პოლიტიკისა და აქტიური მარკეტინგის განხორციელების გზით სასესხო პორტფელის დივერსიფიკაციის სტრატეგია მიზანად ისახავს საცალო სექტორისა და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გაძლიერებას. საცალო სექტორისა და მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების გაძლიერება ხელს შეუწყობს მთლიანობაში ჯანსაღ ზრდას და ბიზნესის დივერსიფიკაციას.

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების გაცემის მაღალი მაჩვენებელი, რაც ძირითადად გამოწვეულია არაპეჭირებული მსესხებლების არსებობით, გამოწვევაა როგორც „ბაზისბანკისთვის“, ისე ზოგადად საქართველოს საბანკო სექტორისთვის. სასესხო პორტფელი ძირითადად შედგება აშშ დოლარში და ლარში დენომინირებული სესხებისგან. გასულ წელს მთავრობის მიერ დაწყებული ლარიზაციის ინიციატივებს უშუალო გავლენა აქვს როგორც დაკრედიტების, აგრეთვე დაფინანსების მხარეებზე: ლარში დენომინირებული სესხების მთლიანი კონცენტრაცია 2016 წლის ბოლოს დაფიქსირებული 26%-იანი მაჩვენებლიდან 2017 წლის ბოლოს 28%-მდე გაიზარდა და კვლავაც უმჯობესდება. საცალო სექტორში ეს გავლენა კიდევ უფრო შესამჩნევია: ლარში დენომინირებული სესხების მთლიანი კონცენტრაცია 2016 წლის ბოლოს 31%-იანი მაჩვენებლიდან 2017 წლის ბოლოს 52%-მდე გაიზარდა.

დაფინანსების თვალსაზრისით, „ბაზისბანკის“ სადეპოზიტო ბაზაში ლარში დენომინირებული რესურსების წილი 2016 წლის ბოლოს 21%-იანი მაჩვენებლიდან 25%-მდე გაიზარდა. ლარში დენომინირებული დეპოზიტების შემთხვევაში დაფინანსების ხარჯი შეიცვალა, მაგრამ არა მნიშვნელოვნად - საშუალოდ 5,9%-დან 6,2%-მდე; უფრო სერიოზული გავლენა დაფიქსირდა კორპორატიულ დეპოზიტებზე, რაც გამოწვეული იყო ლარში დენომინირებულ რესურსებზე მოთხოვნის გაზრდით. „ბაზისბანკს“ უფიქსირდება მნიშვნელოვანი რისკები სახელმწიფო ფასიან ქაღალდებში ლარში განთავსებულ რესურსებში, რომლებიც გამოიყენება „რეპო“ ოპერაციებში და შეადგენს მთლიანი ლიკვიდური აქტივების 35%-ს და წარმოადგენს სეზ-ის რეფინანსირების ინსტრუმენტის სრულად კვალიფიციურ აქტივებს. სეზ-მა ასევე გააუმჯობესა ლარში დენომინირებული პორტფელის გამოყენება იმისათვის, რომ ბანკებმა შეძლონ სეზ-ისგან დაფინანსების ლარში მიღება „რეპო“ ოპერაციებში და უცხოურ ვალუტაში დენომინირებული პორტფელის კონცენტრაციის შემცირება.

ვალდებულებებში დაფიქსირებული ცვლილებები - დაფინანსების მხარეს, 2017 წელს „ბაზისბანკის“ მთლიანი ვალდებულებები 264 მილიონი ლარით გაიზარდა. ეს ზრდა კლიენტთა დეპოზიტების 116 მილიონი ლარით (+21%-იანი წლიური ზრდა) და ნასესხები სახსრების 149 მილიონი ლარით (+122%-იანი ზრდა) ზრდაზე ნაწილდება. კლიენტთა დეპოზიტების ზრდის პროცესი კვლავაც გრძელდება. კლიენტთა დეპოზიტების წლიური ზრდის მაჩვენებელმა 2016 წელს 17%, ხოლო 2017 წელს 21% შეადგინა.

„ბაზისბანკი“ სახსრებს იზიდავს სხვადასხვა სექტორიდან. კორპორატიული სეგმენტი თვით დეპოზიტების განაწილებაშიც დომინირება - დეპოზიტების 70% კორპორატიულ სეგმენტზე, ხოლო 30% - კერძო პირებზე. კორპორატიული სეგმენტიდან 2017 წელს ყველაზე აქტიური სექტორებს წარმოადგენდა წარმოება, ენერგეტიკა, მომსახურება და მშენებლობა. სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციების წილი სადეპოზიტო ბაზის 24%-ს შეადგენს.

ლიკვიდობა - „ბაზისბანკი“ ინარჩუნებს ლიკვიდობის სოლიდურ პოზიციებს. სესხების დეპოზიტებთან თანაფარდობა მცირედით გაიზარდა - 108%-დან 114%-მდე. ლიკვიდური აქტივების მთლიან ვალდებულებებთან შეფარდება და ლიკვიდური აქტივების მთლიან აქტივებთან შეფარდება თითქმის ერთსა და იმავე დონეზე დარჩა (41% ლიკვიდური აქტივების მთლიან ვალდებულებებთან შეფარდების შემთხვევაში და 33%-35% ლიკვიდური აქტივების მთლიან აქტივებთან შეფარდების შემთხვევაში); ლიკვიდური აქტივები (ძირითადად ფული და ფულადი ეკვივალენტები, მაგრამ დაუტკირთავი ანუ თავისუფალი ფასიანი ქაღალდების ნაწილიც) კლიენტთა ანგარიშების 45%-ს შეადგენდა.

„ბაზისბანკი“ ლიკვიდობის კოეფიციენტების გაანგარიშებას ყოველდღიურად ახორციელებს სებ-ის მოთხოვნის შესაბამისად. კოეფიციენტი განისაზღვრება, როგორც ლიკვიდური აქტივების ექვს თვემდე დასაფარ ვალდებულებებთან, ნასესხებ სახსრებთან და გარესაბალანსო ვალდებულებებთან თანაფარდობის საშუალო თვიური მაჩვენებელი, რომელიც მინიმუმ 30%-ზეა ლიმიტირებული. 2017 წლის 31 დეკემბრის ლიკვიდობის საშუალო კოეფიციენტი 57% შეადგინა (2016 წელს ეს მაჩვენებელი 55%-ს შეადგენდა).

დაფინანსება	2017	2016
სესხები/დეპოზიტები	114%	108%
ლიკვიდური აქტივები/მთლიან ვალდებულებები	41%	41%
ლიკვიდური აქტივები/მთლიან აქტივები	34%	33%

წყარო: შიდა გაანგარიშებები

მოკლევადიანი ლიკვიდობის რისკის მართვის მიზნით სექტემბრიდან „ბაზელ III“-ის თანახმად სებ-მა ლიკვიდობის ახალი მოთხოვნები კერძოდ, ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) შემოიღო. შესაბამისად, ბანკებს მოეთხოვებათ 30 დღეში დასაფარი ვალდებულებებისთვის LCR 100%-ის დონეზე შეინარჩუნონ.

მილიონ ლარში	2017 წლის ბოლო	2016 წლის ბოლო
მაღალხარისხიანი ლიკვიდური აქტივები	364	192
მთლიანი შემოსულობები	7	111
მთლიანი გასავლები	264	272
ფულის წმინდა გადინება	257	161
ლიკვიდობის გადაფარვის კოეფიციენტი (LCR) %	142	119

რეგულარული სტრეს-ტესტის ანალიზების მიზანია პოტენციური დეფიციტის შესავსებად საკმარისი ნაღდი ფულის და ლიკვიდური საშუალებების უზრუნველყოფა. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ლიკვიდობის სტრესის დადებითი შედეგი შენარჩუნებულია.

კაპიტალი და საკაპიტალურო ლიკვიდობის დაცვა

„კომერციული ბანკების კაპიტალის ადეკვატურობის მოთხოვნების შესახებ დებულებით“ განსაზღვრული მინიმალური კაპიტალის მოთხოვნებით ბანკებისთვის დადგენილია შემდეგი სამი მინიმალური მოთხოვნა: მარეგულირებელი ჩარჩოს „პილარ 1-ში“ ყურადღება გამახვილებულია რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების განსაზღვრაზე და საკრედიტო რისკის, კრედიტით გამოწვეული საბაზრო რისკის და საოპერაციო რისკების კაპიტალის მოთხოვნების გაანგარიშებებზე.

აღნიშნული დებულების მიხედვით, „პილარ 1-ის“ ჩარჩოში შემავალი კაპიტალის მინიმალური მოთხოვნები შემდეგია:

- ძირითადი პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი (CET1) უნდა შეადგენდეს მინიმუმ 4,5%-ს;
- პირველადი კაპიტალის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს 6%-ს;
- საზედამხებელო კაპიტალის კოეფიციენტი უნდა შეადგენდეს 8%-ს.

დაგეგმვითი კაპიტალის ბუფერები

„პილარ 1“-ით გათვალისწინებულ კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად, სებ-ი ადგენს კაპიტალის ბუფერის მოთხოვნებს „პილარ 1“ და „პილარ 2“ ჩარჩოში.

„პილარ 1“-ის მიხედვით, კომერციულ ბანკებს მოეთხოვებათ დაიცვან კაპიტალის რამდენიმე ბუფერი, რომლებიც სამი კომპონენტისგან შედგება:

- კაპიტალის კონსერვაციის ბუფერი შეადგენს რისკის მიხედვით შეწონილი აქტივების 2,5%-ს და მისი მიზანია სტრესის დროს დამდგარი ზარალის დაფარვა;
- კონტრაციული კაპიტალის ბუფერი დადგენილია „ბაზელ III“, ჩარჩოს ფარგლებში და წარმოადგენს პოლიტიკის ერთ-ერთ ძირითად მაკრო-პრუდენციულ ინსტრუმენტს. მისი მიზანია ჭარბი დაკრედიტების ზრდის შეზღუდვა, რაც იწვევს სისტემური რისკების წარმოშობას. კონტრაციული კაპიტალის ბუფერის განსაზღვრისას რამდენიმე ფაქტორი ანალიზდება, მათ შორის, ისეთი ფაქტორების ანალიზი, როგორიცაა: სესხების მშპ-სთან ფარდობის კოეფიციენტი და მისი გრძელვადიანი ტრენდიდან გადახრის ინდიკატორები, საკრედიტო ტენდენციები, ქვეყნის შიდა და საგარეო მაკროეკონომიკური მდგომარეობის მაჩვენებლები და სხვა.
- სისტემური ბუფერები - წარმოადგენს სისტემურად მნიშვნელოვანი თითოეული ბანკისთვის ცალკე დადგენილი ბუფერების ერთობლიობას.


„პილარ 2“ – მიუთითებს საზედამხებელო განხილვისა და შეფასების იმ პროცესზე, რომლის ფარგლებშიც სებ-ი განიხილავს ბანკების მიერ მიღებულ ზომებს, სტრატეგიებს, პროცედურასა და მექანიზმებს და აფასებს ამ ზომების იმ რისკებთან ადეკვატურობას, რომელთა წინაშეც ინსტიტუტი შეიძლება იდგეს. „პილარ 1-ით“ დადგენილ კაპიტალის მინიმალურ მოთხოვნებთან ერთად, ბანკებმა უნდა დაიცვან დამატებითი კაპიტალის ბუფერები იმ რისკებთან მიმართებით, რომლებიც „პილარ 1“ ჩარჩოში არ არის შეტანილი, კონცენტრაციის რისკთან, საპროცენტო რისკთან, ლიკვიდობასთან, სტრატეგიასთან, რეპუტაციასთან და ა. შ. მიმართებით).

„პილარ 2-ით“ დადგენილი მოთხოვნები შედგება შემდეგი ბუფერებისგან:

- არაჰეჯირებული ვალუტით გამოწვეული საკრედიტო რისკის ბუფერი;
- საკრედიტო პორტფელის კონცენტრაციის ბუფერი, რომელიც მოიცავს სახელწოდებისა და სექტორული კონცენტრაციის ბუფერებს;
- წმინდა სტრეს-ტესტის ბუფერი, რომელიც დგინდება სებ-ის მიერ ჩატარებული სტრეს-ტესტების მიხედვით;
- სუფთა GRAPE ბუფერი, რომელიც დგინდება სებ-ის „ზოგადი რისკების შეფასების პროგრამის“ და ბანკების შიდა კაპიტალის შეფასების მიხედვით.

„ბაზისბანკის“ კაპიტალის ადეკვატურობის მაჩვენებელი საკმაოდ მყარია. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სებ-ის ახალი დებულებით გათვალისწინებული კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი შეადგენდა 19,1%-ს, რაც მსგავსი ბანკების კაპიტალიზაციის მაჩვენებლებთან შედარებით საკმაოდ მაღალია. ჩვენი მყარი კაპიტალიზაცია გვაძლევს მომავალ წლებში ზრდის ტემპების უფრო მეტად აჩქარების საშუალებას.

კაპიტალის ადეკვატურობა



აქტივების ხარისხი - ჩვენი კაპიტალის ადეკვატურობის მაღალი მაჩვენებლის მთავარი განმსაზღვრელი ფაქტორია სათანადოდ მართული რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების მოცულობა. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, რისკების მიხედვით შეწონილი მთლიანი აქტივები 980 მილიონი ლარით განისაზღვრებოდა (+23%-იანი წლიური ზრდა). რისკების მიხედვით შეწონილი აქტივების ეს ზრდა ძირითადად განპირობებული იყო წლის განმავლობაში პორტფელის 27%-იანი ზრდით და რეალიზებული ვალუტით გამოწვეულმა საკრედიტო რისკმა 2016 წლის ბოლოს განაპირობა დოლართან მიმართებით ლარის სერიოზული გაუფასურება.

კვლავ მაღალია სასესხო პორტფელის ხარისხიც, რომლითაც ძირითადად განისაზღვრება ჩვენი რისკების მიხედვით შეწონილი აქტივები. 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით, სეზ-ის მეთოდოლოგიის მიხედვით უმოქმედო სესხების (NPL) მთლიან სესხებთან შეფარდების მაჩვენებელმა შეადგინა 4,02% (4,13% 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით), ხოლო სესხის შესაძლო დანაკარგების რეზერვებმა (LLP) 4,26% შეადგინა (4,60% 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით). წლის განმავლობაში ჩამოწერილი სესხების წილი კვლავ დაბალ დონეზეა და 2017 წლის დეკემბრის მდგომარეობით 0,1%-ს (0,2% 2016 წლის დეკემბრის მდგომარეობით) შეადგენს. მთლიანი სასესხო პორტფელის 86% უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით და ფულადი დეპოზიტებით. წინა წელთან შედარებით, 2017 წელს შეინიშნება სესხების უზრუნველყოფის დონის გაუმჯობესება. იგივე მონაცემი 2016 წელს 79%-ს შეადგენდა. მთლიანი სესხების (GPL) მცირე ნაწილი (9%) არაუზრუნველყოფილია.



კორპორაციული და რისკების მართვის სტრატეგია

ქორპორატიული მმართველობა და მართვა

ბაზისბანკი დიდ მნიშვნელობას ანიჭებს კომპანიის საქმიანობის პასუხისმგებლიან და გამჭვირვალე მართვას იმისთვის, რომ გაღრმავდეს და შენარჩუნდეს ნდობა და ურთიერთგაგება ბანკის სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეებს შორის. ამ მიზნით, ბანკი დაინტერესებულია ბანკში კორპორატიული მართვის პრაქტიკის გაძლიერებით, განსაკუთრებით კონტროლის კუთხით. ბაზისბანკმა შექმნა კორპორატიული მართვის საიმედო სისტემა უმაღლესი საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად, რომელიც უზრუნველყოფს აქციონერებს შორის ფუნქციების და პასუხისმგებლობების ეფექტურად განაწილებას და მკვეთრად გამოიყენას. ბანკი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს პასუხისმგებლიანი ხელმძღვანელობა და საიმედო საფუძველზე დამყარებული შესაბამისი ეფექტური კონტროლის სისტემები, რაც წარმოადგენს სამომავლო მდგრადი განვითარების და ზრდის წინაპირობას და მიმდინარე საოპერაციო საქმიანობისთვის მნიშვნელოვან ფაქტორს.

ბანკი წარმოადგენს საქართველოს საბანკო ასოციაციის მიერ 2009 წელს მიღებული კომერციული ბანკების კორპორატიული მართვის კოდექსის მონაწილეს, რომელიც იცავს ბაზელის კომიტეტის კორპორატიული მართვის სტანდარტებს, მათ შორის კონტროლის გარემოსთან დაკავშირებულ სფეროებში.

კორპორატიული მართვა ხორციელდება შემდეგი ძირითადი ელემენტების მეშვეობით:

აქციონერთა საერთო კრება წარმოადგენს ბანკის უმაღლეს მმართველობით ორგანოს, რომელიც გადაწყვეტილებებს იღებს ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით. აქციონერთა საერთო კრება ირჩევს სამეთვალყურეო საბჭოს (SB) წევრებს. სამეთვალყურეო საბჭოს წევრების შერჩევის წესები რეგულირდება საქართველოს კანონმდებლობით, ბანკის წესდებით და სამეთვალყურეო საბჭოს პოლიტიკით. მმართველი საბჭოს და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობები, რომელიც განსაზღვრავს თითოეული მათგანის ფუნქცია-მოვალეობებს და გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობას მკვეთრად არის გამოჩენილი.

ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს, ზედამხედველობას და კონსულტაციას უწევს მმართველ საბჭოს და უშუალოდ მონაწილეობს ბანკისთვის ფუნდამენტური მნიშვნელობის გადაწყვეტილებების მიღებაში. ის მჭიდროდ მუშაობს მმართველ საბჭოსთან ერთად კომპანიის ინტერესების ფარგლებში. სამეთვალყურეო საბჭო გადაწყვეტილებას იღებს მმართველი საბჭოს წევრების დანიშვნისა და გათავისუფლების თაობაზე. სამეთვალყურეო საბჭო განსაზღვრავს ბანკის განვითარების ძირითად მიზნებს და მიმართულებებს, აქტიურად ასრულებს სტრატეგიულ და საკონტროლო ფუნქციებს ბანკის საქმიანობების საერთო მეთვალყურეობის გზით; გადაწყვეტილებებს იღებს საქმიანობის მიმართულებების შესახებ და ამ მიზნით ისახავს საოპერაციო და სტრატეგიულ პრიორიტეტებს; მმართველი საბჭოსთვის ადგენს თანამდებობის ჩანაცვლების გეგმებს, უზრუნველყოფს შიდა და რისკების მართვის კონტროლის ეფექტურ და საიმედო სისტემას, აკონტროლებს აღმასრულებელი ორგანოების საქმიანობას და პასუხისმგებელი და ანგარიშვალდებულია აქციონერების საერთო კრების წინაშე. გადაწყვეტილებები, რომელიც გავლენას ახდენს ბანკზე, მტკიცდება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ. ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭო შედგება 5 წევრისგან, კერძოდ აქციონერების და დასაქმებულების წარმომადგენლების თანაბარი რაოდენობისგან და ერთი დამოუკიდებელი წევრისგან.

წევრები, რომლებიც წარმოადგენენ ჩვენს აქციონერებს, არჩეულნი იქნენ აქციონერთა წლიური საერთო კრების მიერ.

ჩვენი სამეთვალყურეო საბჭოს ამჟამინდელი წევრებია:

ჭან ძუნ – სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე
ჭოუ ნინგ – სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე
მი წაი ცი – სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე
დავით ცაავა – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი
ლი ხვეი – სამეთვალყურეო საბჭოს წევრი

აუდიტის კომიტეტი

სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა აუდიტის კომიტეტი, რომელიც შედგება დამოუკიდებელი წევრებისგან. აუდიტის კომიტეტის ძირითადი ფუნქციაა ბანკის შიდა და გარე აუდიტის ფუნქციონირების მხარდაჭერა და ხელშეწყობა. აუდიტის კომიტეტი რეგულარულად აწვდის სამეთვალყურეო საბჭოს მისი საქმიანობის შესახებ ანგარიშებს.

კომიტეტი ამჟამად შედგება ორი წევრისგან, კომიტეტის კრება ტარდება კვარტალში ერთხელ.

კომიტეტი უფლებამოსილია:

- განიხილოს და შეაფასოს გარე აუდიტორის დასკვა სამეთვალყურეო საბჭოსთვის და აქციონერთა საერთო კრებისთვის წარდგენამდე.
- განახორციელოს ფინანსური ანგარიშგების და ბუღალტრული ჩანაწერების, შიდა კონტროლის, რისკების მართვის და კონტროლის სისტემებისა და პროცესების ეფექტიანობის და ხარისხის შეფასება, კომიტეტი უფლებამოსილია დაავალოს სამსახურს არაგვემიური აუდიტის ჩატარება ნებისმიერ საბანკო საქმესთან დაკავშირებით.
- გააკონტროლოს და შეამოწმოს სამეთვალყურეო საბჭოს დავალებების და რეკომენდაციების შესრულება

- კომიტეტის კომპეტენციის ფარგლებში არსებულ საკითხებთან დაკავშირებით.
- აუდიტის კომიტეტი, შიდა კომიტეტის სამსახურთან ერთად, შეაფასებს შიდა აუდიტთან დაკავშირებულ საკითხებს და იმ შემთხვევაში, თუ სამსახურის რეკომენდაციები უგულვებელყოფილია დირექტორატის მიერ, ან თუ მაკორექტირებელი ღონისძიებები არ არის მიღებული, სამეთვალყურეო საბჭოს მოსთხოვს ბანკის პასუხისმგებელი პირის გათავისუფლებას.

ამჟამად კომიტეტი შედგება ორი წევრისგან:

ზაზა რობაქიძე – კომიტეტის თავმჯდომარე
მიწაიცი – კომიტეტის წევრი

თავისი უფლებამოსილების განხორციელებას და აუდიტის პროცესის, შესაბამისობის და კომპენსაციის კონტროლს სამეთვალყურეო საბჭო ასრულებს შიდა აუდიტის კომიტეტის მეშვეობით, რომელიც შეიქმნა სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, აღნიშნული კომიტეტი აკონტროლებს საზედამბებლო ფუნქციების განხორციელებას და უზრუნველყოფს ობიექტურ ინფორმაციას ფინანსური და რისკების მართვის შესახებ, ასევე, შიდა კონტროლის სისტემების ეფექტიანობის, დაგეგმილი მიზნობრივი ეფექტიანობის და მარეგულირებელ და შიდა მოთხოვნებთან შესაბამისობის და ა.შ. შესახებ. აუდიტის კომიტეტის კრებები ტარდება სულ მცირე წელიწადში ოთხჯერ, რომელიც უნდა ემთხვეოდეს ფინანსურ ანგარიშგებას და აუდიტურ ციკლს. საგანგებო კრება შესაძლოა მოწვეული იქნას სამეთვალყურეო საბჭოს საჭიროებებიდან და მოთხოვნებიდან გამომდინარე. აუდიტის კომიტეტი ვალდებულია რეგულარული ანგარიშები წარუდგინოს სამეთვალყურეო საბჭოს, განახორციელოს შიდა კონტროლის ეფექტიანობის შეფასება და მისცეს რეკომენდაციები მაკორექტირებელ ქმედებებთან ან კონკრეტული სფეროების გაუმჯობესებასთან დაკავშირებით.

მენეჯმენტი ახორციელებს ბანკის ოპერაციებს და პასუხისმგებელია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განსაზღვრული ამოცანების შესაბამისად, თავისი საქმიანობების მართვაზე. სამეთვალყურეო საბჭო ნიშნავს წევრებს და მკაფიოდ განსაზღვრავს კომპანიის მართვაში მათ ფუნქციებს, სტრუქტურას, როლს, პასუხისმგებლობებს და ანაზღაურებას. მენეჯმენტის ანგარიშვალდებულება, ფუნქციები, პასუხისმგებლობები, კრებები, გადაწყვეტილების მიღების ფორმა განისაზღვრება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ მიღებული დირექტორატის შესახებ დადგენილებით. მმართველი საბჭო მკიდროდ თანამშრომლობს სამეთვალყურეო საბჭოსთან და სულ მცირე ოთხ თვეში ერთხელ აწვდის მას ანგარიშს ბანკთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ეხება სტრატეგიას, საქმიანობის დაგეგმილ პოლიტიკას, დაგეგმვას, ბიზნესის განვითარებას, სარისკო სიტუაციას, რისკების მართვას, პერსონალის განვითარებას, რეპუტაციასა და შესაბამისობას,

ბაზისბანკს აქვს უნივერსალური ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს კარგად ორგანიზებულ კონტროლის გარემოს - ეფექტურ ფუნქციონირებას და ურთიერთქმედებას სამეთვალყურეო საბჭოს, მმართველ გუნდს და აუდიტის კომიტეტს შორის. აღმასრულებელი ხელმძღვანელობის თანამდებობაზე ყოფნის ვადა განსაზღვრულია 4 წლით, ვადის გაგრძელება შესაძლებელია უმაღლესი ხელმძღვანელობის თითოეული ინდივიდუალური წევრისთვის.

მმართველი საბჭოს არსებული წევრები არიან:

დავით ცაავა – გენერალური დირექტორი
 ლია ასლანიკაშვილი – გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები
 დავით კაკაბაძე – გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვა და ინფორმაციული ტექნოლოგიები
 ლევან გარდაფხაძე – გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო საბანკო მომსახურება
 ლი ხვიი – გენერალური დირექტორის მოადგილე, დაკრედიტება

•



ჟოუ ნინო

სამეთვალყურეო საბჭოს აღმასრულებელი თავმჯდომარე 2012 წლიდან
დაიბადა 1963 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 2012 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 0.00% განათლება: ფიქსირებული ბიზნესის სკოლა, აშშ, დიუკის უნივერსიტეტი, აშშ; ვირჯინიის პოლიტექნიკური ინსტიტუტი და სახელმწიფო უნივერსიტეტი, აშშ; მეცნიერებისა და ტექნოლოგიების უნივერსიტეტი, ჩინეთი. სამუშაო გამოცდილება: მთავარი ინჟინერი "Cessna Aircraft Company"; აშშ, მთავარი ფინანსური ანალიტიკოსი "Ford Motors Co", აშშ; ასოციატა "Hong Kong Investment Banking Division at J.P Morgan, ჰონგ კონგის განყოფილება; ვიცე პრეზიდენტი, სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტი "ABN Amro Bank", აღმასრულებელი დირექტორი "Tuhong International"; ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე.



მი წაი სი

სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე 2012 წლიდან
დაიბადა 1984 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 2012 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 6.95% განათლება: ბიზნესის ადმინისტრირება, კალიფორნიის უნივერსიტეტი, აშშ. სამუშაო გამოცდილება: გენერალური მენეჯერის მოადგილე "Xinjiang Hualing Grand Hotel Co". Ltd. და "Xinjiang Hualing Real Estate Development Co. Ltd."; დირექტორის მოადგილე "Xinjiang Hualing Trade and Industry Group Co". Ltd.; დირექტორი "Xinjiang Hualing Trade and Industry Group Co". Ltd, საქართველოს ფილიალი, ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თანა-თავმჯდომარე



ჭან კენი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე 2012 წლიდან
დაიბადა 1963 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 2012 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 0.00% განათლება: MBA, ეკონომისტი სამუშაო გამოცდილება: სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიციები ურუმჩის ბანკში, გენერალური მენეჯერის მოადგილე ფინანსებისა და საერთაშორისო ინვესტიციების მიმართულებით "Xinjiang Hualing Trade Industry and Co", ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე.



დავით სანაია

გენერალური ფირმების 2011 წლიდან
დაიბადა 1984 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 2004 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 0.19% განათლება: ბანკები და ფინანსები - თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი; PhD ბიზნესის ადმინისტრირება – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; სამუშაო გამოცდილება: საკრედიტო ოფიცერი, კორპორატიული სესხების განყოფილების უფროსი, კორპორატიული ბიზნესის დირექტორი, გენერალური დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი, გენერალური დირექტორი, ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.



ლი სვეი

გენერალური ფირმების მოადგილე. ფირმების 2012 წლიდან
დაიბადა 1969 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 2012 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 0.19% განათლება: ბაკალავრის ხარისხი ბუღალტერიაში, სერტიფიკატი პროფესიონალურ ბუღალტერიაში. სამუშაო გამოცდილება: სხვადასხვა ხელმძღვანელი პოზიციები ურუმჩის ბანკში 18 წლის განმავლობაში; გენერალური დირექტორის მოადგილე, დაკრედიტების მიმართულებით ბაზისბანკში; ბაზისბანკის სამეთვალყურეო საბჭოს წევრი.



ლევან ბარდაშაძე

გენერალური დირექტორის მოადგილე, სახელმწიფო ბიზნესი 2012 წლიდან დაიბადა 1984 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 2002 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 0.19% განათლება: საქართველოს უნივერსიტეტი; საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; თბილისის საერთაშორისო ეკონომიკის უნივერსიტეტი; სამუშაო გამოცდილება: სავალუტო განყოფილების თანამშრომელი, პლასტიკური ბარათების განყოფილების უფროსი, საცალო ბიზნესის დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, საცალო ბიზნესი ბაზისბანკში.



დავით კაკაბაძე


გენერალური დირექტორის მოადგილე, რისკების მართვა და ინფორმაციული უსაფრთხოება 2012 წლიდან დაიბადა 1982 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 2003 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 0.19% განათლება: საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი; კავკასიის უნივერსიტეტი. სამუშაო გამოცდილება: პროგრამულ-ტექნოლოგიური განყოფილების სპეციალისტი; ინფორმაციული ტექნოლოგიების განყოფილების უფროსი, ინფორმაციული ტექნოლოგიების და რისკების მართვის დირექტორი, გენერალური დირექტორის მოადგილე, ინფორმაციული ტექნოლოგიები და რისკების მართვა ბაზისბანკში.



ლია ასლანიასვილი

გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები 2012 წლიდან დაიბადა 1977 წელს. ბაზისბანკში დასაქმებულია 1999 წლიდან. აქციები ბაზისბანკში: 0.19% განათლება: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი სამუშაო გამოცდილება: სავალუტო-სადილინგო განყოფილების თანამშრომელი; სავალუტო განყოფილების უფროსი; საანგარიშსწორებო განყოფილების უფროსი; სახაზინო დეპარტამენტის უფროსი; ფინანსური დირექტორი; გენერალური დირექტორის მოადგილე, ფინანსები ბაზისბანკში.


კორპორაციული მართვის სტრუქტურა



რისკების მართვის სტრატეგია

რისკების სტრატეგია - რადგან ბანკისთვის სავალდებულოა იქონიოს ადეკვატური დონის კაპიტალი საქმიანობის ნებისმიერ დროს, რისკის სტრატეგიის შემუშავება და კაპიტალის ადეკვატურობის გეგმის შედგენა საბანკო დანესებულებების მართვის უაღრესად მნიშვნელოვანი ნაწილია.

„ბანკის ბანკის“ რისკების მართვის სტრატეგია გამომდინარეობს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დამტკიცებული ბიზნეს-სტრატეგიიდან და მისი გადახედვა უნდა მოხდეს ნებისმიერ დროს, როცა „ბანკს“ ცვლილებებს შეაქვს თავის სტრატეგიაში, მინიმუმ წელიწადში ერთხელ მაინც და ხელმისაწვდომი უნდა იყოს მთელი ინსტიტუტისთვის. რისკების მართვის სტრატეგიით განისაზღვრება „ბანკის“ მიდგომა რისკების მართვის მიმართ, მათ შორის, შესაბამისი რისკების გამოვლენის, შეფასების, კონტროლის, ანგარიშგების წარმოების და მართვის ზოგადი მეთოდები. რისკების მართვის სტრუქტურა იქმნება „ბანკის“ ყოველდღიური საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით. ინტეგრირებული კონტროლის სისტემა, რომელიც მოიცავს ოფიციალურ პოლიტიკას და პროცედურებს, დელეგირებული უფლებამოსილებების მქაფიოდ განსაზღვრული დონეების ჩამონათვალს და დანვრითებითი ანგარიშგებას, „ბანკის“ რისკების მართვის პროცესის მნიშვნელოვანი კომპონენტია. მენეჯმენტის ანგარიშგების სისტემა ისეა შექმნილი, რომ ის წარმატებით ასრულებს რისკების მართვის ეფექტური მექანიზმის როლს. შედეგად, რისკების მართვის პროცესები ისეა შემუშავებული, რომ ხელი შეუწყოს „ბანკის“ ყოველდღიურ საქმიანობაში რისკების სტრატეგიის განხორციელებას, რათა რისკების მართვა გახდეს გამჭვირვალობის უზრუნველყოფისა და რისკების მითიგაციის უწყვეტი პროცესი. ამ მიზნის მისაღწევად, რისკების მართვა იყოფა შემდეგ ხუთ კომპონენტად: რისკების გამოვლენა, შეფასება, კონტროლი, ანგარიშგება და მართვა. რისკების მართვის სტრატეგიას წელიწადში ერთხელ ამტკიცებს აღმასრულებელი საბჭო და ის განისაზღვრება „ჯგუფის რისკების მადის“ და „სტრატეგიული და კაპიტალის გეგმის“ საფუძველზე რისკების, კაპიტალისა და ეფექტურობის



მიზნების შეთანხმების მიზნით. ძირითადი რისკების მართვის პასუხისმგებლობები ეკისრება აღმასრულებელი საბჭოს და დელეგირებულია რისკების მენეჯერზე და რისკების მართვის და სხვა კომიტეტებზე, რომლებიც პასუხისმგებელი არიან ამ სტრატეგიის განხორციელებასა და ზედამხედველობაზე. რისკების ჩარჩოს ანალიზი ტარდება მთელი „ჯგუფის“ მასშტაბით იმის ვალიდაციის მიზნით, რომ „ჯგუფში“ არსებობს რისკების მართვის რაციონალური წესები და უზრუნველყოფილია რისკების შესახებ ინფორმირებულობა.

ბანკის ბიზნეს-მოდელით მოითხოვება მის ყველა საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის გამოვლენა, შეფასება, გაზომვა, აგრეგირება და მართვა. რისკებისა და კაპიტალის მართვა ხორციელდება კომპლექსური სისტემის საშუალებით, რომელიც წარმოადგენს პრინციპების, ორგანიზაციული სტრუქტურების, შეფასების/გაზომვისა და მონიტორინგის პროცესების ერთობლიობას, რომლებიც მჭიდროდ არის შეჭერებული განყოფილებებისა და სამეურნეო ერთეულების ყოველდღიურ საქმიანობასთან.

ბანკის საქმიანობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი სახის რისკის, ფინანსური და აგრეთვე არაფინანსური რისკების: მათ შორის, საბაზრო რისკის, საოპერაციო რისკის, ლიკვიდობის რისკის, სამედახმედველო რისკის და რეპუტაციის რისკის მართვა ხორციელდება რისკების მართვის სპეციალური პროცესების მეშვეობით. რისკების და კაპიტალის მოთხოვნის დასაანგარიშებლად, ხდება ყველა მნიშვნელოვანი სახის რისკების შეფასება.

ბანკი ადგენს რისკების ალბებისა და რისკების მართვის პრინციპებს, რომელებიც ასახული უნდა იყოს წესებსა და პოლიტიკაში და გამოყენებული იყოს თანმიმდევრულად მთელი ორგანიზაციის მასშტაბით. ეს ზოგადი პრინციპები შემდეგია:

- რისკების გონივრულად აღება რისკების და კონტროლის გარემოს კომპლექსური შეფასების საფუძველზე;
- მონიტორინგისა და ანგარიშგების ადეკვატური და ეფექტური სისტემა;
- რისკების სათანადოდ დაანგარიშება შესაბამისი მეთოდების გამოყენებით ბანკის სიდიდისა და კომპლექსურობის გათვალისწინებით;
- ყველა არსებული საზედამხებდველო მოთხოვნის შესრულება და საერთაშორისო გამოცდილების გათვალისწინებით საუკეთესო პრაქტიკის გამოყენება;
- რისკების მართვის ეფექტური სისტემა გულისხმობს რისკების კონტროლის ისეთი სათანადო სტრუქტურის ქონას, რომელიც დამოუკიდებელია სამეურნეო საქმიანობისგან, რათა თავიდან იქნას აცილებული ინტერესთა კონფლიქტი;
- რისკების შესაძლო ფაქტორებზე და მათი მართვის პრაქტიკებზე დაკვირვება ახალი საქმიანობების დაწყების, ბიზნეს ხაზების გახსნის ან პროდუქტების გამოშვების პროცესში.

„ბაზისბანკის“ მიერ შემუშავებულია რისკების მართვის ჩარჩო-დოკუმენტი „ბაზისბანკის“, როგორც სტაბილური და სანდო ბანკის, იმიჯის შექმნის მიზნით. ფინანსური ბაზრების არამდგრადობიდან და მაკროეკონომიკური მდგომარეობის არასტაბილურობიდან გამომდინარე, რისკების მართვის ფუნქციას უპირველესი მნიშვნელობა ენიჭება. რისკების მართვის მტკიცე და გამართული სისტემის დანერგვა მთელი ბანკის მასშტაბით მოიცავს შემდეგი ზომების განხორციელებას:

- რისკების მართვის დამოუკიდებელი სტრუქტურული ერთეულის შექმნა;
- რისკების სხვადასხვა კომიტეტების (საკრედიტო, რისკების მართვის, აქტივების და ვალდებულებების მართვის კომიტეტი) შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ რისკების მართვის წესების დანერგვას მთელი ინსტიტუტის მასშტაბით და ხელს უწყობენ გააზრებული რისკების აღებას, სწორი გადაწყვეტილების მიღებას;
- ანალიტიკურ პროცესებში, წესებში და გადაწყვეტილების მიღებისას რისკების მართვის მიდგომის გამოყენება;
- ფინანსური და მმართველობითი ანგარიშგების მიმდინარე სისტემის ანალიზი;
- იმ სხვადასხვა სახის რისკების გამოვლენა და დიფერენციაცია, რომელთა წინაშეც პოტენციურად დგას „ბაზისბანკი“;
- „ბაზისბანკში“ რისკების მარეგულირებელი პოლიტიკების, პროცედურებისა და წესების შემუშავება.

სტრატეგიულ დონეზე „ბანკის“ რისკების მართვის ამოცანებია:

- „ბაზისბანკის“ სტრატეგიის განსაზღვრა;
- რისკებზე/უკუგებებზე გადაწყვეტილებების ოპტიმიზაცია ბანკის საქმიანობასთან მათი მაქსიმალურად მიახლოებით;
- ბიზნესის ზრდის გეგმების მხარდაჭერის უზრუნველყოფა რისკების ეფექტური ინფრასტრუქტურით;
- რისკების პროფილის ისე მართვა, რომ ფინანსური ეფექტიანობა არ შეუზღუდოს ბიზნესისთვის სხვადასხვა არახელსაყრელი პირობის დადგომის შემთხვევაში.


„ბაზისბანკში“ მენეჯმენტის ზედამხედველობისა და კონტროლის კულტურა ითვალისწინებს შიდა კონტროლთან დაკავშირებული საკვანძო საკითხების შეტანას აღმასრულებელი საბჭოს რეგულარულ ფუნქციებში. ამ საკითხებში შედის შიდა კონტროლის სისტემების ეფექტურობის რეგულარული განხილვა მენეჯმენტთან; შიდა კონტროლის პროცედურების შეფასებების შემოწმება მენეჯმენტის, შიდა აუდიტორებისა და გარე აუდიტორების მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს შიდა კონტროლის სისტემის სუსტ მხარეებთან დაკავშირებით, აუდიტორებისა და საზედამხებდველო ორგანოების მიერ მიცემულ რეკომენდაციებზე და გამოთქმულ შენიშვნებზე მენეჯმენტის მხრიდან დროული რეაგირება, და იმის რეგულარულად გადამოწმება, შესაბამისობაშია თუ არა ბანკის სტრატეგია და რისკის ლიმიტები.

„ბაზისბანკში“ კონტროლის საქმიანობა ეხება ბანკის ყველა დონის თანამშრომელს, მიუხედავად მათი იერარქიული მდგომარეობისა და მოიცავს ასევე მენეჯმენტის უმაღლეს რგოლსაც. რისკების მართვის საკვანძო საქმიანობებში შედის აღმასრულებელი საბჭოს და მენეჯმენტის მხრიდან ბანკის საქმიანობის ანგარიშგების განხილვა, რაც მათ აძლევს „ბანკის“ სხვადასხვა განყოფილებებისა და დეპარტამენტების დონეზე კონტროლის განხორციელების საშუალებას, რათა უზრუნველყოფილი იქნას მათი საქმიანობის მონიტორინგი და ბანკის სტრატეგიულ მიზნებთან შესაბამისობაში მოყვანა. რისკების მართვის პროცესი ასევე მოიცავს რისკების გონივრული ლიმიტების დადგენას; ლიმიტების დაცვის რეგულარული მონიტორინგის საშუალებით, რისკის ლიმიტების დაცვის უზრუნველყოფასა და ლიმიტების დარღვევის შემთხვევებზე მყისიერ რეაგირებას; აგრეთვე იმ ტრანზაქციებზე ნებართვებისა და ავტორიზაციების მოთხოვნას, რომლებიც აღემატება განსაზღვრულ ლიმიტებს, რათა უზრუნველყოფილი იყოს მენეჯმენტის შესაბამისი დონის ინფორმირებულობა გამონაკლისი ტრანზაქციების ან სიტუაციის შესახებ; რეგულარული ანგარიშგების წარმოებას.

„ბაზისბანკში“ ინფორმირებულობა და კომუნიკაცია ითვალისწინებს დოკუმენტწარმოების პროცესში ისეთი ძირითადი მონაცემების შეტანას, როგორიცაა ფინანსური, საოპერაციო და სხვა რეგულატორული მონაცემები, აგრეთვე ინვესტირებისთვის მისაწოდებელი ინფორმაციის სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღებისთვის რელევანტურ მოვლენებსა და გარემოებებზე.

„ბაზისბანკში“ მონიტორინგი და ნაკლოვანებების გამოსწორება დაკავშირებულია დამოუკიდებელი შიდა აუდიტის დეპარტამენტის არსებობასთან. აღნიშნული დეპარტამენტი ამოწმებს, არსებული პოლიტიკები და პროცედურები კვლავ ადეკვატურია თუ არა. შიდა აუდიტის პასუხისმგებელი თანამშრომელი ანგარიშვალდებულია უშუალოდ სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე, რაც უზრუნველყოფს ბანკის რისკის მართვის სტრუქტურის სათანადოდ მუშაობას, ვინაიდან სამეთვალყურეო საბჭოს მიენიჭება მიუკერძოებელი ინფორმაცია ანგარიშგებებში ასახული მართვის დონეების შესახებ.

ბაზისბანკის რისკების მართვის სტრუქტურა



„ბანკი“ ახორციელებს და იცავს კორპორატიული მართვის საუკეთესო სტანდარტებს - „ბაზისბანკი“ არის ხელმძღვანელი საქართველოს საბანკო ასოციაციის მიერ 2009 წელს მიღებული „კომერციული ბანკების კორპორატიული მართვის კოდექსზე“. „ბანკის“ ოპერაციები რეგულირდება და მათზე ზედამხედველობა ხორციელდება სეზ-ის მხრიდან საბანკო საქმიანობაზე ზედამხედველობის საერთო ჩარჩოს ფარგლებში და ყურადღება ექცევა ისეთ საკითხებს, როგორიცაა ლიკენზირება, კაპიტალის ადეკვატურობა, ლიკვიდობა, რისკების კონცენტრაცია, საქმიანობის წარმართვის პრინციპები, აგრეთვე ორგანიზაციული და ანგარიშგების მოთხოვნები. სეზ-ის მხრიდან ზედამხედველობის პროცესი ითვალისწინებს კომერციულ ბანკებში რისკების მართვის პროცესის, რისკების მართვის პრინციპების, შიდა კონტროლის სისტემებისა და ა. შ. რეგულირებას.

შიდა კონტროლის ეფექტური სისტემა მოითხოვს მნიშვნელოვანი რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების უწყვეტი პროცესის უზრუნველყოფას. ეს პროცესი უნდა მოიცავდეს ბანკების მიერ შეფასებულ ყველა რისკს და უნდა მოქმედებდეს ბანკის მასშტაბით ყველა დონეზე.

სამეთვალყურეო საბჭოს და აღმასრულებელ საბჭოს მკაფიოდ ესმით რისკების მართვა და ის, თუ რამდენად მნიშვნელოვანია რისკების მართვის ეფექტური სისტემის დანერგვა „ბანკის“ მდგრადი და სტრატეგიული განვითარებისთვის.

სამეთვალყურეო საბჭო - „ადგენს ტონს ზემოდან“ „ბანკში“ მაღალი ეთიკური და პასუხისმგებლიანი კულტურის დანერგვის ხელშეწყობით. საბჭო ამტკიცებს „ბანკის“ სტრატეგიასა და ბიუჯეტს და ახორციელებს კონტროლს მათ განხორციელებაზე, და ცალკეული რისკის კატეგორიის და მისაღები ლიმიტების დამტკიცებით განსაზღვრავს ერთიან მიდგომას მთელი ინსტიტუტის მასშტაბით რისკების მართვის მიმართ.

საკრედიტო, საოპერაციო და აქტივ-პასივების მართვის ცალკეული პოლიტიკები „ბანკს“ აძლევს რისკის შეფასების, აგრეგირებისა და შიდა მართვის, ასევე საზედამხედველო მიზნებისთვის ანგარიშგების საშუალებას. გარდა ამისა, ბანკის შიდა მეთოდოლოგიები და სახელმძღვანელოები მოიცავს პროცესებს, საკრედიტო განაცხადის მიღებიდან, ტარიფის დადგენიდან და დამტკიცებიდან დაწყებული პორტფელის მართვისა და კაპიტალის ადეკვატურობის პროცესებით დამთავრებული.

აუდიტის კომიტეტი – არის დამოუკიდებელი მაკონტროლებელი ორგანო, რომელიც რეგულარულად ამოწმებს შიდა კონტროლის მეთოდებსა და პროცედურებს; განიხილავს ბანკის შიდა კონტროლის სისტემას, აფასებს მის ობიექტურობას და სიზუსტეს; ახორციელებს ზედამხედველობას ბანკის შიდა და გარე აუდიტორებზე; ამტკიცებს ან საბჭოს განსახილველად წარუდგენს ფინანსური აღრიცხვის პროცედურას; აფასებს რისკების მართვის სისტემის, კერძოდ, შიდა კონტროლის სისტემისა და შიდა აუდიტის სისტემის ეფექტურობას. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს კვარტალში ერთხელ აბარებს ანგარიშს ძირითადი რისკების, რისკების სტრატეგიის შესახებ და სამეთვალყურეო საბჭოს ხელს უწყობს ამ სტრატეგიის შესრულებაზე მონიტორინგის განხორციელებაში; ახორციელებს მონიტორინგს აღმასრულებელი საბჭოს მიერ მიღებულ იმ ღონისძიებებზე, რომლებიც კომპანიას ხელს უწყობს საკანონმდებლო მოთხოვნების, რეგულაციებისა და შიდა პოლიტიკების დაცვაში.

აღმასრულებელი საბჭო - პასუხისმგებელია „ბანკის“ კანონმდებლობისა და ბანკის წესდებისა შესაბამისად მართვაზე, „ბანკის“ ძირითადი მიზნებისა და ამოცანების გათვალისწინებით. აღმასრულებელი/დირექტორთა საბჭო ვალდებულია უზრუნველყოს გამართული ბიზნეს საქმიანობის ორგანიზება, მათ შორის, რისკების სათანადო და ეფექტურ მართვა:

- ბიზნესის სტრუქტურას შეიმუშავებს რისკის შესაბამისად;
- უზრუნველყოფს მოვალეობების ადეკვატურად გამიჯვნას;
- უზრუნველყოფს ადეკვატური პროცედურების არსებობას, მათ შორის, ყველა პოლიტიკის და პროცედურის დამტკიცებას (სამეთვალყურეო საბჭოსთვის წარდგენამდე);
- განსაზღვრავს დაქვემდებარებული პერსონალის საოპერაციო პასუხისმგებლობებს.

რისკების ერთიანი ზედამხედველობისა და მართვის მიზნით, დირექტორთა/აღმასრულებელი საბჭო ბანკში ქმნის კომიტეტებსა და ფუნქციონალურ განყოფილებებს, რომელთა მოვალეობებიც დეტალურად არის აღწერილი ქვემოთ: რისკების მართვის კომიტეტი

- ახორციელებს „ბანკის“ რისკების პროფილის მონიტორინგს;
- აფასებს ძირითად რისკებთან, მათ შორის, რისკების შეფასებასთან, მონიტორინგთან და ლიმიტებთან დაკავშირებულ ადეკვატურობის მოთხოვნებს;
- განიხილავს და ათანხმებს „ბანკში“ რისკის პროფილთან და რისკის სტრატეგიასთან დაკავშირებით განსახორციელებელ ზომებს;
- განიხილავს ყველა იმ პოლიტიკასა და დოკუმენტს, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება სამეთვალყურეო საბჭოს, მათ დამტკიცებამდე;
- შიდა აუდიტის კომიტეტთან ერთად აფასებს ბანკის შიდა კონტროლისა და რისკების მართვის სისტემების ეფექტურობას
- განიხილავს გარე აუდიტის მიერ რისკების მართვის პროცესების აუდიტის შედეგებს და შეიმუშავებს შესაბამის რეკომენდაციებს;
- პერიოდულად განიხილავს ლიმიტებს და მათ შესაბამისობას

აპოზი-აპოზივის (ALCO) მართვის კომიტეტი

- განიხილავს ლიკვიდობის მიმდინარე და მოსალოდნელ პოზიციებს და ახორციელებს ალტერნატიული დაფინანსების წყაროების მონიტორინგს;
- განიხილავს ვადიანობის განაწილებას და განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს იმ აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ერთმანეთთან შესაბამისობას, რომელთა დაფარვის ვადაც დგება უახლოეს პერსპექტივაში;
- შეიმუშავებს დეპოზიტების, სესხებისა და ინვესტიციების განფასებისა და ვადიანობის განაწილების პარამეტრებს;
- შეიმუშავებს ალტერნატიულ სტრატეგიებს, რომლებიც ითვალისწინებს საპროცენტო განაკვეთის დონეებში და ტენდენციებში, სადეპოზიტო და საკრედიტო პროდუქტებში და შესაბამის ბაზრებზე, საბანკო რეგულაციებში და ა. შ. მომხდარ ცვლილებებს;
- ატარებს აქტივ-პასივების მართვის მოდელ(ებ)ის და პროცედურებში გამოყენებული დაშვებების და დასკვნების დასაბუთებულობისა და საფუძვლიანობის დამოუკიდებელ შემოწმებას
- ამტკიცებს ლიმიტის სტრუქტურას კონტრაგენტის რისკზე

საპრაფიზო კომიტეტი

- აფასებს პოტენციური კლიენტების ფინანსურ მდგომარეობას და სესხის დაფარვის უნარს;
- განიხილავს სასესხო განაცხადებს და იღებს გადაწყვეტილებას იმ განაცხადებზე, რომლებიც კომიტეტისთვის გადაცემული უფლებამოსილებების ფარგლებში;
- მოქმედებს „ბანკის“ საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით შიდა პოლიტიკებისა და პროცედურების დაცვით;
- განიხილავს სესხის ამოღების პროცესს, სესხების გაცემისა და ამოღების გაუმჯობესების მიზნით.

რისკების მართვის დირექტორი (Chief Risk Officer, CRO), რომელიც აღმასრულებელი საბჭოს წევრია, არის უმაღლესი დონის აღმასრულებელი პირი, რომელიც პასუხისმგებელია საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების საერთო მართვაზე, აგრეთვე რისკების კომპლექსურ კონტროლზე და რისკების შეფასების მეთოდების უწყვეტ გაუმჯობესებასა და განვითარებაზე. რისკების მართვის დირექტორი უზრუნველყოფს „საწარმოს რისკების მართვის“ (ERM) ერთიან ხედვასა და ოპერაციულ წარმართვას, შეიმუშავებს რისკების მართვის პოლიტიკის ჩარჩო დოკუმენტს, მათ შორის, განსაზღვრავს „ბანკისთვის“ მისაღები რისკების მაღას.

რისკების მართვის დირექტორის კომპეტენციაში შედის რისკების შეფასება და გაანგარიშება, სხვადასხვა რისკის ლიმიტების დადგენა, შესაბამისი რისკის სისტემების შემუშავება, ბანკის რისკის პროფილის გაცნობა სამეთვალყურეო საბჭოსთვის და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის; რისკების მართვის დირექტორს აქვს შეუფერხებელი პირდაპირი მიმართვის უფლებამოსილება სამეთვალყურეო საბჭოსთვის იმ მნიშვნელოვან შიდა და გარე მოვლენებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება სერიოზული გავლენა იქონიოს ბანკის რისკებზე. რისკების მართვის დირექტორი უზრუნველყოფს „ბანკის“ რისკის პროფილთან დაკავშირებული საზედამხედველო ანგარიშგების მომზადებას, აგრეთვე, მონიტორინგს უწევს წინასწარ განსაზღვრული რისკის მადის/ლიმიტების დაცვას.

რისკების მართვის დეპარტამენტი

- აფასებს სხვადასხვა გარეგნობასთან ან ოპერაციასთან დაკავშირებულ საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს სტრუქტურაში, პროცედურაში და რეზერვებში აუცილებელი ცვლილებების შესახებ;
- ახორციელებს საკრედიტო, საბაზრო და საოპერაციო რისკების მართვასა და შეფასებას;
- შეიმუშავებს „შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცედურას“ (ICAAP) და „ზოგადი რისკების შეფასების პროგრამას“ (GRAPE) და ახორციელებს მათ კოორდინაციას რისკის მფლობელების მონაწილეობით;
- შეიმუშავებს და ადგენს რისკების მითიგაციის მეთოდებს უშუალოდ საკრედიტო რისკის მართვასთან დაკავშირებით;
- აფასებს ბანკის დაკრედიტების ეფექტურობას და შესაბამის მაჩვენებლებს ადარებს გასული პერიოდების ანალოგიურ მაჩვენებლებთან;
- განიხილავს „ბაზისბანკის“ რისკების მართვასთან დაკავშირებულ ყველა პოლიტიკას და პროცედურას აღმასრულებელი საბჭოსთვის დასამტკიცებლად წარდგენამდე.

რისკის მადა და რისკის პაზის უნარი

რისკის მადა გულისხმობს იმ მოცულობის რისკს, რომლის ასაღებად ან დასათმენად ორგანიზაცია მზად არის დროის ნებისმიერ მომენტში. ცხადია, რომ „ბანკის“ საქმიანობასთან დაკავშირებული რისკის ნულამდე დაყვანა შეუძლებელია და ამიტომ შემოსავლებისა და გასავლების გონივრული ანალიზის საფუძველზე „ბანკმა“ უნდა განსაზღვროს მისაღები რისკის მადის ლიმიტები.

თითოეული სახის მნიშვნელოვანი რისკის მართვა განისაზღვრება ბანკის „შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესის“ (ICAAP) ჩარევით დოკუმენტით. „ბაზისბანკის“ მიზანია მისი ბიზნეს-სტრატეგიის შესაბამისად დაასტაბილუროს და გააუმჯობესოს მისი ახლანდელი „B“ რეიტინგი პორტფელისა და რისკების გააზრებული მონიტორინგით.

„ბაზისბანკის“ რისკის მადა განსაზღვრულია, როგორც ლიმიტების სისტემა, რომელიც „ბანკს“ აძლევს საშუალებას განახორციელოს რელევანტური რისკ-ფაქტორებისადმი მგრძნობელობის უწყვეტი მონიტორინგი. ლიმიტების სისტემა ითვალისწინებს ICAAP პროცესების დროს გამოვლენილი ყველა სახის რელევანტურ რისკს. ეს ლიმიტები განსაზღვრულია არღმასრულებელი საბჭოს მიერ და შეესაბამება „ბანკის“ სტრატეგიულ გეგმას და აკმაყოფილებს გარე საზედამხედველო მოთხოვნებს (კაპიტალისა და ლიკვიდობის საკანონმდებლო მოთხოვნებს; ჯგუფის საერთო/აქციონერის მოთხოვნებს). „ბანკი“ სისტემატურად განიხილავს რისკების შეფასებას, რაც ხორციელდება სტრეს-ტესტირებისა და „შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცესით“ - რეგულარულად ჩატარებული საკონტროლო და უფრო მძაფრი სტრეს-ტესტების პირობებში: განისაზღვრება სტრესული კაპიტალის ადეკვატურობის პოზიცია, ლიკვიდობის პოზიციის და საბაზრო რისკის პოზიცია განსაკუთრებული სტრესული გარემოებების პირობებში.

რისკების გამოვლენა და შეფასება

საკრედიტო რისკი - „ბანკის“ საკრედიტო პოლიტიკა ითვალისწინებს დივერსიფიცირებული და რენტაბელური სასესხო პორტფელის შექმნას მაქსიმალური ხარისხის შენარჩუნების პარალელურად. ამკარაა, რომ საკრედიტო რისკი ბანკებისა და ბანკის საზედამხედველო ორგანოებისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი სახის რისკია. საკრედიტო რისკის მითიგაციის მიზნით „ბაზისბანკი“ იყენებს შემდეგ ზომებს:

- **საქარაიზო რისკის მართვის უსაფრთხო გარემო უზრუნველყოფა** - „ბაზისბანკში“ მიიღწევა წერილობით შემუშავებული საკრედიტო პოლიტიკისა და საკრედიტო სახელმძღვანელოს მეშვეობით, რომლებიც ითვალისწინებს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სამიზნე ბაზრები, პორტფელის შემადგენლობა, ფასთან დაკავშირებული და სხვა პირობები, ლიმიტების სტრუქტურა, დამტკიცების უფლებამოსილების მქონე ორგანოები, გამონაკლისების დამუშავება და ანგარიშგება. „ბანკის“ საკრედიტო პოლიტიკა ითვალისწინებს „ბანკის“ მიერ განსაზღვრული ლიმიტების სისტემას კონცენტრაციის რისკების, მათ შორის, ერთი კლიენტიდან გამომდინარე რისკების, უმსხვილესი მსესხებლებიდან გამომდინარე რისკების, სექტორის რისკების მართვის მიზნით.
- **გამართლიანი დაკრედიტების პროცედურის უსაფრთხო უზრუნველყოფა** - „ბაზისბანკში“ გულისხმობს სესხის გაცემისას რამდენიმე ელემენტის გათვალისწინებას. საკრედიტო რისკის ტიპისა და საკრედიტო ურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ეს შეიძლება იყოს სესხის მიზანი და დაფარვის წყარო, მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე რისკის პროფილი, სესხის უზრუნველყოფა და მისი მგრძნობელობა ეკონომიკური და ბაზრის ცვლილებების მიმართ, მსესხებლის საკრედიტო ისტორია და გადახდისუნარიანობა, შეფასებული ისტორიული ფინანსური მაჩვენებლებისა და სამომავლო საპროგნოზო ფულადი ნაკადების გათვალისწინებით. სესხის ანალიზის დროს, მხედველობაში მიიღება მსესხებლის ბიზნეს გამოცდილება, მსესხებლის საქმიანობის ეკონომიკური სექტორი და მსესხებელს პოზიცია ამ სექტორში და ბაზარზე. ეს ელემენტები სესხის შეფასების იმ მოდელების შემადგენელი ნაწილებია, რომლებიც შემუშავებულია როგორც საცალო, ასევე კორპორატიული კლიენტებისთვის. კორპორატიული და

საჯალო რისკების შეფასების ექსპერტები (რისკების მართვის დეპარტამენტი) მონაწილეობას იღებენ კლიენტის საკრედიტო რისკის შეფასებაში; თითოეული კრედიტის ფასი კორექტირდება რისკის შესაბამისად, კლიენტის რეიტინგისა და პროდუქტის რისკიანობიდან გამომდინარე.

- **კრედიტის აღმინისტრირების, შეფასებისა და მონიტორინგის სათანადო პროცედურების არსებობა** - "ბაზისბანკში" მოიცავს ცალკეული მსესხებლების მდგომარეობასთან დაკავშირებულ რამდენიმე საკვანძო საკითხზე რეგულარული მონიტორინგის განხორციელებას. ეს საკითხებია: მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე ფინანსური მდგომარეობა, არსებული კოფიციენტების დაცვა, მიმდინარე ვალდებულების უზრუნველყოფასთან შეფარდება, და ხელშეკრულებით ნაკისრი დაფარვის ვალდებულების ნებისმიერი დარღვევა. გარდა ამისა, რისკის კონცენტრაციის თავიდან აცილების მიზნით, კონკრეტული ტიპის მსესხებლებთან მიმართებაში, ხორციელდება საკრედიტო პორტფელში არსებული ლიმიტების მონიტორინგი. ამგვარი კონცენტრაციები ხდება მაშინ, როდესაც ერთ კონტრაგენტზე, ურთიერთდაკავშირებული პირების ჯგუფზე ან მრეწველობის ან მეურნეობის კონკრეტულ სექტორზე გაიცემა დიდი მოცულობის პირდაპირი თუ არაპირდაპირი კრედიტები. „ბაზისბანკი“ დამატებით შეიმუშავებს კრედიტის აღმინისტრირების, შეფასებისა და მონიტორინგის სათანადო პროცედურებს, რომლებიც სტრატეგტიკების პროცესში ითვალისწინებს სხვადასხვა მნიშვნელოვან ფაქტორს, რაც ბანკს დაეხმარება იმ საკრედიტო მოვლენების ან ეკონომიკური ცვლილებების განსაზღვრაში, რომლებსაც შეუძლია უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის საკრედიტო რისკზე, და იმის შეფასებაში, თუ რამდენად შეუძლია „ბანკს“ გაუძლოს ასეთ ცვლილებებს.
- **რეზერვების შეფასება**. „ბანკი“ საკრედიტო რისკის შეფასებას და დამდგარი ზარალის დასაფარად რეზერვების შეფასებას და არიცხვას ახორციელებს ბასს 39 (IAS39) სტანდარტის მიხედვით (2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით). აქტივებსა და სხვა ვალდებულებებთან დაკავშირებული გაუფასურების ზარალის რეზერვის ოდენობა საკმარისი უნდა იყოს „ბანკის“ საკრედიტო პორტფელში საანგარიშო პერიოდის განმავლობაში რეალიზებული ზარალის დასაფარად. რეზერვის გაანგარიშებისას გაითვალისწინება შემდეგი ძირითადი რისკის პარამეტრები: (ა) კონტრაგენტის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ანუ დეფოლტის ალბათობა (PD); (ბ) კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალი (LGD), და (გ) ამ ზარალის გამოსავლენად საჭირო დროის პერიოდი (LIP).

ზარალის დასაფარად შექმნილი რეზერვის დაანგარიშება ხდება კონტრაგენტის მიმდინარე ვალდებულებების, აგრეთვე აუთენტიკური საკრედიტო ლიმიტის პოტენციური გამოყენების გათვალისწინებით. „ბანკი“ ინდივიდუალურად აფასებს არსებობს თუ არა გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულება, იმ სესხებისთვის, რომლებიც მოცულობით აღემატება წინასწარ დადგენილ მნიშვნელოვნების ლიმიტს. ის სესხები, რომლებიც მოცულობით მნიშვნელოვნების ლიმიტს არ აღემატება, და ის მნიშვნელოვანი სესხები, რომელთა გაუფასურების დამადასტურებელი ობიექტური მტკიცებულებაც არ არსებობს, შემდეგ ფასდება ერთობლივად, გაერთიანებული ჰომოგენურ პორტფელში.

2018 წლის 1-ლი იანვრიდან, ფასს 9-ის მოთხოვნების შესაბამისად ძალაში შევა გაუფასურების ზარალის შეფასების ახალი მეთოდოლოგია. ფასს 9-ით გათვალისწინებული მეთოდოლოგიის მიხედვით, გაუფასურების ზარალის და რეზერვის ნორმის განსაზღვრა გადადის სესხის მოსალოდნელი დანაკარგის (ECL) მოდელზე (და არა დამდგარი საკრედიტო ზარალის მოდელზე, როგორც ეს იყო IAS39-ის მიხედვით). ახალი მეთოდოლოგიის მიხედვით, რეზერვები აღირიცხება ფინანსური აქტივის პირველადი აღიარებისას, დროს იმ მომენტში შეფასებული მოსალოდნელი პოტენციური დანაკარგების საფუძველზე. ამ ახალი მეთოდოლოგიით ფინანსურ ინსტიტუტებს საშუალება ეძლევათ, აწარმოონ ჩაატარონ სესხის დანაკარგის რეზერვების და დასაშვები ნორმების უფრო ზუსტი შეფასება, ამასთანავე სტანდარტი ითვალისწინებს ისეთი საპროგნოზო ინფორმაციის გამოყენებას, რომელიც მიწვდომადია გონივრული დახარჯისა და ძალისხმევით. ფასს 9-ით გათვალისწინებული ახალი მიდგომა სესხის მოსალოდნელი დანაკარგის გაანგარიშებისას ითვალისწინებს წარსულის მოვლენებს, ახლანდელ გარემოებებს და მომავალი ეკონომიკური მდგომარეობის პროგნოზებს.

„ბაზისბანკმა“ წამოიწყო ფასს 9-ის დანერგვის ცენტრალიზებული პროექტი, ფინანსური, რისკებისა და ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტების მონაწილეობით და შპს „დელოიტ ენდ ტუშის“ ექსპერტების დახმარებით. ახალი სტანდარტის იმპლემენტაციისთვის საჭირო კონკრეტული პროცესებისა და ბიზნეს საქმიანობის კონტროლის მექანიზმების დანერგვა გაგრძელდება მთელი 2018 წლის განმავლობაში და სხვა სამუშაოებთან ერთად, მოიცავს არსებული სამუშაო პროცესების შეცვლას და ახალი სამუშაო პროცესების შემოღებას სესხების მოსალოდნელი დანაკარგის შეფასების პროცესის ხელშეწყობის მიზნით. სესხების მოსალოდნელი დანაკარგის გაანგარიშების პროცესის მართვაზე პასუხისმგებლობას იწაწილებენ ფინანსური და რისკების დეპარტამენტები. ზარალის დასაშვები ნორმის გაანგარიშების ახალი მოდელი ბასს-39-ის მიხედვით გამოყენებულ მოდელზე უფრო რთულია და, აქედან გამომდინარე, ყველა გამოყენებული პარამეტრის დასაბუთება და უკუ-ტესტირება სესხების მოსალოდნელი დანაკარგის შეფასების პროცესის განუყოფელი ნაწილი გახდება.

ფასს 9-ით გათვალისწინებული გაუფასურების მოთხოვნები გამოიყენება ყველა იმ საჯალო ინსტრუმენტის მიმართ, რომელთა აღრიცხვაც ხორციელდება ნარჩენი ღირებულებით ან „სამართლიანი ღირებულებით“ ან „სხვა მთლიან შემოსავალში“, აგრეთვე გარესაბალანსო ვალდებულებების (როგორც სასესხო ვალდებულებების, ასევე ფინანსური გარანტიების) მიმართ.

„ბანკი“ მისი აქტივების კლასიფიკაციას განახორციელებს მათში ინჰერენტული საკრედიტო რისკის მიხედვით შემდეგ სტადიებად:

1-ლი სტადია – იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებთან მიმართ საწყისი აღიარების შემდეგ საკრედიტო რისკის რაიმე მნიშვნელოვანი ზრდა გამოვლენილი არ არის, „სესხის მოსალოდნელი დანაკარგი“ ინგარიშება მომდევნო 12 თვის

განმავლობაში დეფოლტის ალბათობის საფუძველზე და განისაზღვრება როგორც ვალდებულების ვადის განმავლობაში მოსალოდნელი საკრედიტო დანაკარგის ოდენობა, თუ დეფოლტის შემთხვევა დადგება მომდევნო 12 თვის განმავლობაში;

მე-2 სტაფია – იმ აქტივების შემთხვევაში, რომლებთან მიმართაც საწყისი აღიარების შემდეგ გამოვლენილია საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა. „სესხის მოსალოდნელი დანაკარგი“ იანგარიშება სესხის არსებობის მანძილზე შესაძლო დეფოლტის ალბათობის საფუძველზე.

მე-3 სტაფია – საკრედიტო რისკით გაუფასურებული ფინანსური აქტივების უკვე დამდგარი ზარალი, 100%-იანი დეფოლტის ალბათობა. იმის განსაზღვრისას, აქტივი გაუფასურებულია თუ არა საკრედიტო რისკით, გათვალისწინება მხოლოდ დეფოლტის ალბათობა და არ ხდება საკრედიტო რისკის მიტიგაციის ფაქტორების (უზრუნველყოფების და გარანტიების) გათვალისწინება.

„POCI“ (შეძენილი ან წარმოქმნილი საკრედიტო რისკით გაუფასურებული) - ახალი სტანდარტით მოითხოვება იმ ფინანსური აქტივების ცალკე შეფასება, რომლებიც გაუფასურებულია საკრედიტო რისკით საწყისი აღიარებისას.

„ბაზისბანკი“ არ მოელის მნიშვნელოვან გავლენას ფინანსურ ანგარიშგებაზე ფასს 9-ის დანერგვის შედეგად. ახალი მეთოდოლოგიის დანერგვის შედეგად მოსალოდნელია საკრედიტო პორტფელის მოსალოდნელი ზარალის რეზერვის უმნიშვნელო შემცირება. ეს ეფექტი აიხსნება იმ გარემოებით, რომ მეორე სტადიის სესხების მცნების შემოღებით და ამ სესხებისთვის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი ზარალის მიხედვით რეზერვის მინიჭების გამო საყოველთაოდ მოსალოდნელი ზრდის ეფექტი ნაწილობრივ განეიტრალება ბასს 39-ის შეფასების მოდელის გაუმჯობესებების შედეგად მიღწეული რეზერვის შემცირების ეფექტით. შეზღუდული მონაცემებისა და არასაკმარისი სტატისტიკის გამო, ბასს 39-ით გათვალისწინებული მოდელში გამოიყენებოდა ძალიან მარტივი LGD (კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის) მოდელი, რაც მთლიანად ეფუძნებოდა წინა პერიოდებში განხორციელებული ამოღებების შესახებ მონაცემებს, მომავალი ამოღებების პროგნოზების გათვალისწინების გარეშე. ფასს 9-ით შემოღებული ახალი მოდელი ითვალისწინებს საპროგნოზო ინფორმაციას და „ბანკს“ აძლევს საშუალებას მოსალოდნელი დანაკარგები უფრო ზუსტად შეაფასოს და უარი თქვას ბასს 39-ის მიხედვით გამოყენებულ უფრო კონსერვატიულ მეთოდზე.

ფასს 9 დანერგვის მოსალოდნელი უმნიშვნელო შემცირების ეფექტი "ბაზისბანკის" ფინანსური ანგარიშგებისთვის, აისახება პირდაპირ კაპიტალზე, გავლენას არ იქონიებს „ბანკის“ მოგება-ზარალის ანგარიშზე ან კაპიტალის ადეკვატურობაზე.

შესყიდვის ფასი ან სამართლიანი ღირებულება ითვალისწინებს სესხის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ დანაკარგების „POCI“ აქტივების შემთხვევაში, შესაბამისად, ყველა დადებითი თუ უარყოფითი ცვლილება ამ აქტივებიდან მოსალოდნელ დანაკარგებში აღიარდება პირდაპირ შემოსავალში ან ზარალში. 2018 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით, „ბაზისბანკი“ არ ფლობს „POCI“ აქტივებს.

- **პორტფელის ხარისხის შესახებ სათანადო ანგარიშგების უზრუნველყოფა.** „საკრედიტო პოლიტიკით“ განსაზღვრულ პორტფელის ხარისხზე და დაკრედიტების ლიმიტებზე რეგულარულ კონტროლს ახორციელებს საკრედიტო რისკის მართვის დეპარტამენტი, როგორც მაკონტროლებელი ორგანო, და შესაბამისი ინფორმაცია „ბანკის“ მენეჯმენტს წარედგინება პორტფელის ხარისხის შესახებ ანგარიშგების ფარგლებში. პორტფელის ხარისხის შესახებ ანგარიში შეიცავს ინფორმაციას პორტფელის სტრუქტურაზე რეიტინგის კლასების, ვადაგასული დღეების, სექტორული რისკების, კონცატრაციის, PD (დეფოლტის ალბათობის) და LGD (კონტრაგენტის დეფოლტის შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალის) პარამეტრების დინამიკის და ა. შ. მიხედვით.
- **ნარჩენი რისკი** - უზრუნველყოფასთან დაკავშირებული პოტენციური ნარჩენი რისკის შემცირების მიზნით, ბანკი დაკრედიტების პროცესში და პორტფელის მართვის დროს, ვალდებულების უზრუნველყოფით დაფარვის კოეფიციენტის გაანგარიშებისას იყენებს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების დისკონტირების მეთოდებს. იურიდიული დეპარტამენტი (სულ ცოტა წელიწადში ერთხელ მაინც) განიხილავს უზრუნველყოფის ხელშეკრულების ნიმუშს და, თუ საჭიროა, შეაქვს მასში ცვლილებები ახალი რეგულაციების ან უზრუნველყოფების აღსრულების პრაქტიკიდან მიღებული გამოცდილების გათვალისწინებით. საკრედიტო პოლიტიკით განსაზღვრულია მინიმალური უზრუნველყოფის დაფარვის კოეფიციენტი ცალკეული საკრედიტო პროდუქტებისთვის (ასევე განისაზღვრება არაუზრუნველყოფითი პორტფელის მაქსიმალური თანხა) უზრუნველყოფის დისკონტირებული ღირებულებების გამოყენებით.
- **სტრუქტურული რისკების მართვა.** ბანკი რეგულარულად ატარებს სტრეს-ტესტებს საზედამხებდევლო კაპიტალის ბუფერებზე არახელსაყრელი მაკროეკონომიკური, აგრეთვე ბანკზე გავლენის მქონე სხვა ფაქტორების გავლენის ზემოქმედების მონიტორინგის მიზნით. სხვა საკითხებთან ერთად, სტრეს-ტესტები ითვალისწინებს ფართო ეკონომიკური კრიზისების მოვლენებს - რეცესია, ვალუტის კურსის ცვალებადობით გამოწვეული შედეგები, დასაქმების დონის ვარდნა, კონკრეტულ სექტორზე გათვლილი სტრეს-ტესტები, საექსპორტო ბაზრების დახურვა (პოლიტიკური რისკები), რამდენიმე მსხვილი მსხვერპლის დეფოლტი. საანგარიშგებო პერიოდში „ბაზისბანკს“ არ შეუქმნია დამატებითი რეზერვი სესხების შესაძლო დაკარგვით გამოწვეული ზარალის დასაფარად საზედამხებდევლო სტრეს-ტესტირების შედეგების საფუძველზე.

ლიკვიდობის რისკი – „ბანკი“ ლიკვიდობის“ რისკის მართვას ახორციელებს „აქტივ-პასივების მართვის“ პოლიტიკისა და

„ლიკვიდობის მართვის შესახებ დებულებები“ შესაბამისად, რომლებშიც დეტალურად არის გაწერილი ლიკვიდობის მართვასთან დაკავშირებული პროცესები და ლიმიტების სისტემა (კრედიტით ვადიანობის გარღვევის ლიმიტი, საერთო ლიკვიდობის კოეფიციენტი (LCR), წმინდა სტაბილური დაფინანსების კოეფიციენტი (NSFR)). „ბანკი“ იყენებს „ბაზელ III“ ლიკვიდობის მართვის მეთოდებს და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის შესაბამისად შემუშავებულ სხვა შიდა შეფასების მოდულებს.

ლიკვიდობის მართვის პროცესი ძირითადად შემდეგი კომპონენტებისგან შედგება:

- ლიკვიდობის მოთხოვნის დადგენა და შეფასება - ლიკვიდობის მოთხოვნა ექვემდებარება მუდმივ გადაფასებას „ბანკის“ აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურისა და ზოგადი საბაზრო პირობების გათვალისწინებით.
- შესაბამისი ლიკვიდობის რისკის ლიმიტების განსაზღვრა და გაკონტროლება დაფინანსების სტრუქტურისა და დეფიციტის მოცულობის, დაფინანსების მიღების უნარის და სხვა ფაქტორების გათვალისწინებით;
- ლიკვიდობისა და ფონდების მართვის პრინციპების განსაზღვრა და ამ პრინციპების დაცვის მონიტორინგი;
- ლიკვიდობის პროგნოზირება სტანდარტული ბიზნესის პირობებში და სტრესული სცენარების შემთხვევებში.

საბაზრო რისკი - საბაზრო რისკის წარმოქმნის ყველაზე სავარაუდო წყაროებია საპროცენტო რისკი და სავალუტო რისკი. საზღვარგარეთიდან დაფინანსების მიღება იწვევს ვალუტასთან დაკავშირებულ შესაბამისობას. დაფინანსების მექანიზმზე მორგების მიზნით უცხოურ ვალუტაში სესხების შეთავაზება ან სავალუტო სვოპებისა და ფორვარდების მსგავსი ჰეჯირების მექანიზმების გამოყენება სავალუტო რისკის ჰეჯირების ყველაზე ხშირად გამოყენებულ მეთოდებად განიხილება. საბაზრო რისკის შეფასებისა და მართვის მიზნით „ბანკი“ ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

- საბაზრო რისკზე ზედამხედველობას ახორციელებს მენეჯმენტის უმაღლესი რგოლი. ეს კეთდება იმის უზრუნველსაყოფად, რომ საპროცენტო რისკისა და სავალუტო რისკის გრძელვადიანი და ყოველდღიური მართვის შესახებ ბანკის პოლიტიკები და პროცედურები ადეკვატური იყოს და რომ აღნიშნული რისკის მართვა და კონტროლი ხორციელდებოდეს შესაბამისი უფლებამოსილებებისა და პასუხისმგებლობების მკაფიოდ დადგენილი ფარგლების დაცვით. საბაზრო რისკზე ეფექტური ზედამხედველობის განსახორციელებლად საჭიროა, რომ ბანკმა იქონიოს რისკის აღების შესაბამისი ლიმიტები, ადეკვატური სისტემები და სტანდარტები, პოზიციის შეფასებისა და ეფექტურობის შეფასების სტანდარტები, საპროცენტო რისკის ანგარიშგებისა და მენეჯმენტის მიერ განხილვის კომპლექსური პროცესი, აგრეთვე შიდა კონტროლის ეფექტური პროცედურები.
- რისკის შეფასების, მონიტორინგისა და კონტროლის პროცესი. ამ მიზნით გამოიყენება სხვადასხვა საზომი, მაგ., ფასების სხვაობის ანალიზი, ვადიანობის სხვაობის ანალიზი და სხვა მდგომარეობები.

საოპერაციო რისკი - საოპერაციო რისკი არის ფინანსური ზარალის რისკი, რომელიც გამოწვეულია არასათანადო შიდა პოლიტიკებით, სისტემის ან კონტროლის მექანიზმის გაუმართაობით, ადამიანური შეცდომით, თაღლითობით ან მენეჯმენტის მხრიდან უმოქმედობით და ბუნებრივი კატასტროფებით. საოპერაციო რისკის შეფასებისა და მართვის მიზნით „ბანკი“ ახორციელებს შემდეგ მოქმედებებს:

- საოპერაციო რისკის მართვის სათანადო გარემოს შექმნა. ეს შეიძლება განხორციელდეს საოპერაციო რისკის, როგორც ბანკის უსაფრთხოებასთან და გამართულობასთან დაკავშირებული აშკარა რისკის, მართვის და შიდა ანგარიშგების გზით.
- რისკის რუკის შედგენა. „ბანკის“ საოპერაციო რისკის პოლიტიკა ითვალისწინებს საოპერაციო რისკის იდენტიფიკაციის, შეფასებისა და მართვის კომპლექსურ სისტემას. აღნიშნული პოლიტიკით დადგენილია საოპერაციო რისკის იდენტიფიკაციის, შეფასების, მონიტორინგის, კონტროლის ან მითითების პრინციპები.
- საოპერაციო რისკის იდენტიფიკაცია, შეფასება, მონიტორინგი და მითითაცია - ითვალისწინებს საოპერაციო რისკის გარემოს ძლიერი და სუსტი მხარეების დასადგენად ჩასატარებელი შემონეშვების სისტემას; საოპერაციო რისკის მართვისთვის ეფექტური გარემოს შექმნა უზრუნველყოფილია ოპერაციულად დამოუკიდებელი, სათანადოდ მომზადებული და კომპეტენტური პერსონალის მიერ ჩატარებული კომპლექსური შიდა აუდიტით.
- გაუთვალისწინებელ სიტუაციებში მოქმედებისა და საქმიანობის უწყვეტობის გეგმების ქონა. „ბანკის“ მიერ დანერგულია საქმიანობის უწყვეტობის გეგმები იმისათვის, რომ „ბანკმა“ საქმიანობა განახორციელოს როგორც „მუდმივ მოქმედმა ინსტიტუტმა“ და მინიმუმამდე იყოს დაყვანილი საქმიანობის სერიოზული შეფერხების შემთხვევაში მოსალოდნელი ზარალი.
- თუმცა „ბანკი“ კაპიტალის მოთხოვნის გაანგარიშებას საბაზისო ინდიკატორის მიდგომის (BIA) გამოყენებით ახორციელებს, ასევე გამოიყენება რისკის უფრო კომპლექსური გაანგარიშების ზოგიერთი თვისობრივი ელემენტი, რომლებიც საფუძვლად ედება საოპერაციო რისკის უფრო კომპლექსურად მართვას. საოპერაციო რისკთან დაკავშირებული საქმიანობა რეგულირდება „საოპერაციო რისკის მართვის მეთოდოლოგიის შესახებ დებულებით.“ „ბანკში“ საოპერაციო რისკის მართვა ხორციელდება პარალელურად სამ დონეზე (სამეურნეო ერთეულების/ დეპარტამენტების დონე, საოპერაციო რისკის მართვის დონე, აუდიტის დონე), რაც უზრუნველყოფს საოპერაციო რისკზე რეგულარული კონტროლის განხორციელებას.

„შიდა კაპიტალის ადეკვატურობის შეფასების პროცედურის“ (ICAAP) ფარგლებში, „ბანკი“ ახორციელებს იმ სხვა რისკების შეფასებას, რომელთა წინაშეც შეიძლება იდგეს ფინანსური ინსტიტუტი ყოველდღიური საქმიანობის განხორციელებისას. ამ რისკებიდან ზოგიერთი განხილულია ქვემოთ:

ბიზნეს რისკი - მიმდინარე ან მოსალოდნელი რისკი საქმიანობიდან არის რისკი, რომელიც დაკავშირებულია მოგების ან კაპიტალის პოტენციურ შემცირებასთან, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს საქმიან გარემოში მომხდარი ცვლილებებით და არასწორი საქმიანი გადაწყვეტილებებით, გადაწყვეტილებების არასათანადო შესრულებით ან

კონკურენტულ გარემოში მომხდარ ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებით.

ნორმატიული / საფაქტობრივი რისკი – საბანკო სექტორი მკაცრად რეგულირებული სფეროა და, ამავე დროს, ეს გარემო არაპროგნოზირებადად იცვლება. აქედან გამომდინარე, ბანკს ექმნება ნორმატიული რისკი ანუ საზედამხებდევლო მოთხოვნების დაუცველობის რისკი. საზედამხებდევლო ვაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტებთან ერთად, მარეგულირებელი (საქართველოს ეროვნული ბანკი) ადგენს დაკრედიტების ლიმიტებს და სხვა ეკონომიკურ კოეფიციენტებს, მათ შორის, დაკრედიტების, ლიკვიდობისა და ინვესტირების კოეფიციენტებს. „ბანკი“ ვალდებულია დაიცვას მინიმალური რეზერვის მოთხოვნები და რეგულარულად წარადგინოს პერიოდული ანგარიშგებები.

გარდა ამისა, „ბანკი“ რეგულირდება საქართველოში მოქმედი შესაბამისი საგადასახადო კოდექსით და რამდენიმე სხვა კანონით, რომლებიც „ბანკისთვის“ რელევანტურია მისი ყოველდღიური საქმიანობიდან გამომდინარე. დამატებითი საზედამხებდევლო მოთხოვნები გამომდინარეობს, მათ შორის, ისეთი რეგულაციებიდან, როგორებიცაა: „ფულის გათვრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის პოლიტიკა“, „კორუფციისა და გადასახადების თავიდან აცილების აღკვეთის პოლიტიკა“, „დარღვევების შეტყობინების პოლიტიკა“ და „საქართველოს კანონი პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“.

„ბანკის“ ერთიანი კონტროლის სისტემის შესაბამისად, „ბანკი“ რისკების იდენტიფიკაციისა და შეფასების ოფიციალური პროცესების ფარგლებში ყურადღებით აფასებს თითოეული საკანონმდებლო და ნორმატიული ცვლილების გავლენას და მის მიერ შემოღებულია სიტემები და პროცესები ნორმატიული მოთხოვნების სრული დაცვის უზრუნველსაყოფად. საოპერაციო რისკების დეპარტამენტი „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ საქართველოს კანონის“ პოტენციური დარღვევის შემთხვევებს ავლენს კლიენტთა საჩივრების, საოპერაციო რისკის მოვლენების მონაცემთა ბაზების ანალიზის გზით და სამუშაო პროცედურებში შეაქვს ცვლილებები ინტენსიური ავტომატიზაციის გარემოში პერსონალურ მონაცემთა დაცვის გაუმჯობესებისა და პირადი ინფორმაციის გაჟონვის თავიდან აცილების მიზნით. მეორეს მხრივ, ფინანსური მონიტორინგის დეპარტამენტი ნორმატიული მოთხოვნების დაცვას აუმჯობესებს საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ დადგენილი იმ რეგულაციებისთვის საიმპლემენტაციო სტრუქტურის შექმნით, რომლის მთავარი მიზანია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთა.

ქვეყნის რისკი - გულისხმობს იმ პოტენციურ ზარალს, რაც შეიძლება გამოწვეული იყოს კონკრეტულ ქვეყანაში მომხდარი (ეკონომიკური, პოლიტიკური თუ სხვა) მოვლენით და როცა ამ მოვლენის გავლენაზეა შეუძლია არა გამსესხებელს/ინვესტორს, არამედ ამ ქვეყანას (მთავრობას). „ბანკმა“ „ქვეყნის რისკის მართვის პოლიტიკის“ შემოღებით დაანერგა ლიმიტების სისტემა, რომელიც ითვალისწინებს საკრედიტო გადანაცვლებების მიღებას დამოუკიდებელი სარეიტინგო სააგენტოების მიერ მინიჭებული ქვეყნის რეიტინგის საფუძველზე.

კორპორატიული მართვის, სისტემების და კონტროლის ფუნქციების რისკები - მათი შეფასება ხორციელდება არსებული პროცესებით („კორპორატიული მართვის სტრუქტურის შეფასება“, შიდა ძირითადი რისკების მართვის სისტემები და კონტროლის ფუნქციები).

რეპუტაციული რისკი - შეიძლება შეიქმნას სექტორის მომსახურების სტანდარტების დაუცველობის, ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, კლიენტზე ორიენტირებული მომსახურების და სამართლიანი საბაზრო წესების არქონის, დაბალხარისხიანი ან უხარისხო მომსახურების, ზედმეტად მაღალი ფასების, საბაზრო გარემოებებთან ან კლიენტთა მოლოდინებთან შეუსაბამო მომსახურების სტილის, საეჭვო კომერციული საქმიანობის განხორციელების ან ხელისუფლების მხრიდან უარყოფითი აზრის ან ბიზნეს საქმიანობისთვის არახელსაყრელი ზომების გატარების შემთხვევაში.

„ბანკი“ აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ იქონიოს რისკის მართვის კომპლექსური პროცედურა, რომლითაც შესაძლებელია ყველა რისკის ეფექტურად გამოვლენა, შეფასება, მონიტორინგი და კონტროლი, რადგან „ბანკს“ სურს თავიდან აიცილოს მის შემოსავლებთან და საკუთარი ვაპიტალთან მიმართებით არასტაბილურობის მაღალი დონე, რაც შეიძლება გამოიწვიოს კონკურენტულ გარემოში მომხდარ ცვლილებებზე არასათანადო რეაგირებამ ან/და არასწორი კორპორატიული გადანაცვლებების მიღებამ. „ბანკი“ აქტიურად მუშაობს იმისათვის, რომ უზრუნველყოს ამ რისკების მნიშვნელოვნად შემსუბუქება „ბანკის“ ადეკვატური, კარგად მომზადებული ბიზნეს-სტრატეგიის შემუშავების სისტემის და უკუ-ტესტირების მეთოდოლოგიის გამოყენებით.

აუდიტორული დასკვნა



**წლიური ანგარიში
2017**

ქეთევან წამებულის გამზ. 1
0103 თბილისი
ტელ.: (995 32) 2 922 922
www.basisbank.ge

“ბაზისბანკის ჯგუფი” ფინანსური ანგარიშგების
საერთაშორისო სტანდარტები
კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური
ანგარიშგება და დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა
2017 წლის 31 დეკემბერი

შინაარსი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური და განცალკევებული მდგომარეობის კონსოლიდირებული ანგარიში.....	1
მოგების ან ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიში.....	2
კაპიტალში ცვლილებების კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიში.....	3
ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და განცალკევებული ანგარიში.....	4

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1	შესავალი.....	8
2	ჯგუფის სამუშაო გარემო.....	8
3	აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა.....	9
4	მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პროგნოზები და შეფასებები აღრიცხვის პროცედურების გამოყენებაში.....	21
5	ახალი და შესწორებული სტანდარტების და ინტერპრეტაციების დამტკიცება.....	22
6	აღრიცხვის ახალი განცხადებები.....	23
7	ფული და ფულადი ექვივალენტები.....	26
8	საქართველოს ეროვნულ ბანკში განთავსებული სავალდებულო ფულის ბალანსები.....	27
9	ულადი სახსრები სხვა ბანკებში.....	27
10	კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები.....	28
11	სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები.....	35
12	ობლიგაციები ამორტიზირებული ღირებულებით.....	37
13	საინვესტიციო ქონება.....	38
14	შენიშნული ნაგებობები, მოწყობილობები და სხვა არამატერიალური აქტივები.....	39
15	სხვა ფინანსური აქტივები.....	40
16	სხვა აქტივები.....	40
17	სარეალიზაციოდ კლასიფიცირებული გრძელვადიანი აქტივები.....	41
18	სხვა ბანკებისგან ნასესხები სახსრები.....	42
19	კლიენტთა ანგარიშები.....	42
20	სხვა ნასესხები სახსრები.....	43
21	სხვა ფინანსური ვალდებულებები.....	43
22	სხვა ვალდებულებები.....	44
23	სააქციო კაპიტალი.....	44
24	წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული გადახდები.....	44
25	სხვა ერთობლივი შემოსავალი აღიარებული კაპიტალის თითოეულ კომპონენტში.....	46
26	საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი.....	46
27	გადასახადი, საკომისიო შემოსავალი და ხარჯი.....	47
28	სხვა საოპერაციო შემოსავალი.....	48
29	ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები.....	48
30	მოგების გადასახადი.....	49
31	დღივდენები.....	51
32	წმინდა დავალიანების დაფარვა.....	51
33	ფინანსური რისკების მართვა.....	51
34	კაპიტალის მართვა.....	65
35	გაუთვალისწინებელი ხარჯები და ნაკისრი ვალდებულებები.....	66
36	ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ურთიერთნათვლა.....	71
37	სამართლიანი ღირებულების ინფორმაცია/მხილვა.....	71
38	ფინანსური ინსტრუმენტების წარმოდგენა შეფასების კატეგორიის მიხედვით.....	75
39	გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან.....	76

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

სს “ბაზისბანკის” აქციონერებსა და ხელმძღვანელებს

ჩვენი მოსაზრება

ჩვენი მოსაზრებით, კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია სამართლიანად, ასახავს მეტ-ნაკლებად ყველა მატერიალურ მიმართულებას, სს “ბაზისბანკის” (შემდგომში “ბანკი”) და მისი შვილობილების (შემდგომში ერთად “ჯგუფი”) კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური პოზიციას 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით, რასაც ემატება მისი კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური შემოსავლების და კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფულადი ნაკადების მოძრაობის უწყისი აღნიშნული წლისათვის საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად და საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად.

რისი აუდიტი განვახორციელეთ

ჯგუფისა და ბანკის ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- 2017 წლის 31 დეკემბრის მონაცემებით ფინანსური პოზიციის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს;
- მოგება - ზარალის და სხვა სრული შემოსავლის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს აღნიშნული წლის ბოლოსათვის;
- კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს კაპიტალის ცვლილებების შესახებ აღნიშნული წლის ბოლოსათვის;
- ნაღდი ფულის მოძრაობის კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ანგარიშებს აღნიშნული წლის ბოლოსათვის; და
- ჩანაწერებს კონსოლიდირებული და ინდივიდუალურ ფინანსური ანგარიშებისათვის, რაც მოიცავს მნიშვნელოვანი საბუღალტრო პოლიტიკების აღრიცხვას.

მოსაზრების საფუძველი

ჩვენ აუდიტი განვახორციელეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით. ჩვენი ვალდებულებები ამ სტანდარტების მიხედვით აღწერილია წინამდებარე ანგარიშის ნაწილში “აუდიტორის ვალდებულებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშებზე”.

ჩვენ გვჯერა, რომ საკმარისი და შესაფერისია ის აუდიტორული მტკიცებულება, რომელიც მოვიპოვეთ იმისათვის, რომ გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება.

დამოუკიდებლობა

ჩვენ ვართ ბანკისაგან და ჯგუფისაგან დამოუკიდებელი ერთეული და ვმოქმედებთ საერთაშორისო ეთიკის სტანდარტის საბჭოს შესაბამისად პროფესიონალ ბუღალტერთათვის ბუღალტერთა ეთიკის კოდექსის შესაბამისად.

სხვა სახის ინფორმაცია

ხელმძღვანელობას ევალება სხვა სახის ინფორმაციის მიწოდება. სხვა სახის ინფორმაცია გულისხმობს მენეჯმენტის ანგარიშს (მაგრამ, იგი არ მოიცავს ფინანსურ ანგარიშებს და ჩვენი აუდიტის დასკვნას).

ჩვენი დასკვნა ფინანსურ ანგარიშებზე არ მოიცავს მენეჯმენტის ანგარიშს.

ფინანსური უწყისების ჩვენს მიერ განხორციელებულ ანგარიშთან მიმართებაში, გვევალება მენეჯმენტის ანგარიშის წაკითხვა და იმის გათვალისწინება თუ რამდენად მატერიალურად შეუსაბამოა ეს ანგარიში ფინანსურ უწყისებთან ან ჩვენს მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან აუდიტთან მიმართებაში, რამდენად მატერიალურად არასწორად ან დამაბნეველად არის წარმოდგენილი.

გარდა ამისა, საქართველოს კანონი საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ გვავალდებულებს გამოვხატოთ მოსაზრება იმის შესახებ თუ მენეჯმენტის ანგარიშის გარკვეული ნაწილები რამდენად შეესაბამება შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებს და მოიცავს თუ არა მენეჯმენტის ანგარიში იმ ინფორმაციას, რომელიც საჭიროა საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონით.

თუ ჩვენს მიერ განხორციელებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ აღგილი აქვს მატერიალური ინფორმაციის არასწორად გადმოცემას აღნიშნულ ანგარიშში, ჩვენ ვაღიარებთ ვართ ეს ფაქტი დავაფიქსიროთ. ამასთან მიმართებაში აღსანიშნი არაფერი გვაქვს.

აუდიტის ჩატარების პროცესში წარმოებულ სამუშაოზე დაყრდნობით, ჩვენი აზრით, ყველანაირი მატერიალური თვალსაზრისით:

- მენეჯმენტის ანგარიშში მოცემული ინფორმაცია იმ ფინანსური წლისათვის, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური უწყისები, შეესაბამება ფინანსურ ანგარიშებს; და
- მენეჯმენტის ანგარიში მოიცავს იმ ინფორმაციას, რომელსაც მოითხოვს საქართველოს კანონი საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგების და

აუდიტის შესახებ და თანხვედრაშია შესაბამის მარეგულირებელ ნორმატიულ აქტებთან

მენეჯმენტისა და იმ ადამიანების ვალდებულებები, რომლებსაც ევალება კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური უწყისების მართვა

მენეჯმენტი ვალდებულია კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებასა და სამართლიან პრეზენტაციაზე საერთაშორისო ფინანსური ანგარიშგების სტანდარტების შესაბამისად და საბუღალტრო აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის თანახმად და ისეთი შიდა მაკონტროლებლისათვის, როგორსაც მენეჯმენტი გადაწყვეტს, საჭიროა შესაძლებელი გახდეს კონსოლიდირებული და ცალკეული ფინანსური ანგარიშების მომზადება, რომლებიც არანაირ მატერიალურ ზარალს არ ექვემდებარება სიცრუისა თუ შეცდომის გამო.

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშების მომზადებისას მენეჯმენტი ვალდებულია შეაფასოს ჯგუფის და ბანკის უნარი პროგრესულად იმოქმედოს და შეძლებისამებრ, გათქვას ისეთი საკითხები, რომლებიც უკავშირდება ამ ფენომენს და შემდეგ გამოიყენოს იგი თუ მენეჯმენტი არ განიზრახავს ჯგუფის ან ბანკის ლიკვიდირებას, სამუშაო პროცესის შეჩერებას ან არ გააჩნია არანაირი რეალური ალტერნატივა.

მათ, ვისაც ევალება მმართველობა, ვალდებულია აკონტროლოს ჯგუფის და ბანკის ფინანსური ანგარიშგების პროცესი.

აუდიტორის ვალდებულებები კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შემოწმებისათვის

ჩვენი მიზანია მივიღოთ შესაბამისი დასტური იმის შესახებ თუ რამდენად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური უწყისები თავისუფალია მატერიალური უზუსტობებისაგან, სიცრუისა თუ შეცდომის გამო და გავცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. შესაბამისი დასტური მაღალი დონის დასტურია, მაგრამ იგი არ არის გარანტია იმისა, რომ საერთაშორისო სტანდარტების მიერ ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს მატერიალურ უზუსტობებს მათი არსებობის შემთხვევაში. უზუსტობები შესაძლოა უკავშირდებოდეს სიცრუეს ან შეცდომას და მიიჩნევა მატერიალურად თუ ინდივიდუალურად თუ აგრეგირებული სახით, ისინი ზეგავლენას მოახდენენ მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე.

აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ გეწევით პროფესიულ განსჯას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მიმდინარეობისას. ჩვენ ასევე:

- ვადგენთ და ვაფასებთ ასეთი უზუსტობების რისკებს კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშებში, სიცრუისა თუ შეცდომის, ამ რისკებისადმი მორგებული აუდიტის პროცედურების შექმნისა თუ წარმოების გამო და ვიღებთ შემოწმების მტკიცებულებას, რაც საკმარისია და შეესაბამება ჩვენს მოსაზრებას. რისკი იმისა, რომ არ დადგინდეს მატერიალური უზუსტობა სიცრუისაგან უფრო მაღალია, ვიდრე იმისა, რაც უკავშირდება შეცდომას, ვინაიდან სიცრუე შესაძლოა მოიცავდეს კოლუზიას, გაყალბებას, განზრახ გამოტოვებას, არასწორ ინტერპრეტაციას, ან შიდა კონტროლის გადამეტებას.
- ვიაზრებთ აუდიტის შესაფერის შიდა კონტროლს იმისათვის, რომ მოხდეს აუდიტორული პროცედურების მომზადება, რომლებიც გამოიყენება შესაბამისი გარემოებების დროს, მაგრამ არა აზრის გამოსათქმელად ჯგუფისა და ბანკის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე აზრის გამოსათქმელად
- ვაფასებთ გამოყენებულ საბუღალტრო პოლიტიკათა შესაბამისობისა და საბუღალტრო შეფასებების მართებულობისა და ხელმძღვანელობის მიერ დაკავშირებული ინფორმაციის გაცემას
- ვაკეთებთ დასკვნებს მენეჯმენტის მიერ საბუღალტრო აღრიცხვის მექანიზმების გამოყენებასთან დაკავშირებით და მიღებული მტკიცებულების საფუძველზე იმასთან მიმართებაში, არსებობს თუ არა მატერიალური გაურკვევლობა, რაც უკავშირდება იმ მოვლენებსა და პირობებს, რომლებსაც შეუძლია მნიშვნელოვანი ჩრდილი მიაყენონ ჯგუფისა და ბანკის უნარს განაგრძოს წარმატებული საქმიანობა. თუ დავასკვნით, რომ არსებობს რაიმე მატერიალური გაურკვევლობა, ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენს დასკვნაში შესაბამის დაფიქსირებას კონსოლიდირებულ და ინდივიდუალურ ფინანსურ დასკვნებში ან, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარი რამ არ არის ადეკვატური, შევცვალოთ ჩვენი მოსაზრება. ჩვენი დასკვნები ემყარება აუდიტის მტკიცებულებას, რომელიც მივიღეთ აუდიტის აუდიტის საბოლოო დასკვნამდე. თუმცა, მომავალი მოვლენები ან პირობები შესაძლოა იწვევდეს ბანკის ან ჯგუფის საქმიანობის გაგრძელების შეწყვეტას
- ვაფასებთ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური უწყისები საერთო სახეს, სტრუქტურას და შინაარსს, მნიშვნელოვანი ინფორმაციის გაცემის ჩათვლით და იმას, თუ რამდენად კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები წარმოადგენენ შესაბამის ოპერაციებს და მოვლენებს ისეთი გზით, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია სამართლიანი პრეზენტაცია.

- ვიდეოთ საკმარის შესაბამის აუდიტორულ მტკიცებულებას ფინანსურ ინფორმაციასთან მიმართებაში საწარმოების შესახებ ჯგუფის შიგნით მიმდინარე ბიზნეს საქმიანობაზე, რათა გამოვხატოთ ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშებთან მიმართებაში.

ჩვენ ეკონტაქტობთ მათთან, ვისაც ევალება მმათველობა აუდიტის დაგეგმილ მოცულობასა და დროსთან და მნიშვნელოვან აუდიტორულ დასკვნებთან დაკავშირებით, ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების ჩათვლით შიდა კონტროლის სფეროში, რომელსაც ჩვენ ვადგენთ აუდიტის ჩატარების პროცესში.

შპს “პრაის უოტერ ჰაუზ კუპერსის” მისი სახელით

ლაშა ჯანელიძე

2018 წლის 16 აპრილი, სხვა ინფორმაციაზე ანგარიშგების გამოკლებით, რომლისთვისაც ჩვენი ანგარიშის თარიღია 2018 წლის 28 სექტემბერი

თბილისი, საქართველო

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშების ფინანსური მაჩვენებლები

		ეც. 31,2017	ეც. 31,2017		
ათას ლარში	შენიშვნა	ინდივიდუალური	კონსოლიდირებული	ინდივიდუალური	კონსოლიდირებული
აქტივები					
ნაღდი ფული და მისი ეკვივალენტები	7	139,577	139,577	73,686	73,686
სავალდებულო მინიმალური რეზერვები სებ-ში	8	130,824	130,824	105,421	105,421
ფულადი სახსრები სხვა ბანკებში	9	15,094	15,094	-	-
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	10	757,874	757,874	594,289	594,289
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	11	63	63	63	63
ინვესტიციები შეიღობილ კომპანიებში	39	8,097	-	3,796	-
ობლიგაციები ამორტიზირებული ღირებულებით	12	143,903	143,903	128,441	128,441
საინვესტიციო ქონება	13	400	1,078	592	1,283
მიმდინარე მოგების გადასახადის აქტივი	30	183	217	-	64
სხვა ფინანსური აქტივები	15	1,429	1,429	651	651
სხვა აქტივები	16	14,019	16,857	11,821	14,679
არამატერიალური აქტივები	14	861	861	532	532
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	14	21,888	21,894	21,048	21,048
სარეალიზაციოდ განკუთვნილი არა ბრუნვადი აქტივები	17	1,928	1,928	-	-
მთლიანი აქტივები		1,236,140	1,231,599	940,340	940,157
ვალდებულებები					
სხვა ბანკების ანაბრები	18	59,982	59,982	64,659	64,659
კლიენტთა ანგარიშები	19	682,318	677,820	562,458	562,270
სხვა ნასესხები სახსრები	20	270,280	270,280	121,530	121,530
სხვა ფინანსური ვალდებულებები	21	7,674	7,674	2,521	2,521
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულება	30	-	-	1,133	1,133
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	30	152	152	800	800
პირობითი ვალდებულებები, რეზერვები	35	346	346	148	148
სხვა ვალდებულებები	22	1,854	1,854	1,327	1,327
მთლიანი ვალდებულებები		1,022,606	1,018,108	754,576	754,388
კაპიტალი					
საწესდებო კაპიტალი	23	16,057	16,057	16,057	16,057
აქციაზე პრემია		74,923	74,923	74,923	74,923
გაუნაწილებელი მოგება		113,316	113,273	85,924	85,929
წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული გადახდის რეზერვი	24	851	851	388	388
შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი		8,233	8,233	8,233	8,233
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი		154	154	239	239
ბანკის მფლობელების კუთვნილი წმინდა აქტივები		213,534	213,491	185,764	185,769
მთლიანი კაპიტალი		213,534	213,491	185,764	185,769
მთლიანი ვალდებულებები და კაპიტალი		1,236,140	1,231,599	940,340	940,157

გამოსაქვეყნებლად დამკიცებულია და დირექტორატის სახელით ხელმოწერილია 2018 წ. 16 აპრილს

დავით ცაავა
გენერალური დირექტორი

დავით კაკაბაძე
გენერალური დირექტორის მოადგილე რისკების და ინფორმაციული ტექნოლოგიების დარგში

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

მოგება/ზარალის და სხვა მთლიანი შემოსავლის კონსოლიდირებული ანგარიში

			ეც. 31,2017		ეც. 31,2016
ათას ლარში	შენიშ ვნა	ინდივიდუ ალური	კონსოლიდ ირებული	ინდივიდ უალური	კონსოლიდ ირებული
საპროცენტო შემოსავალი	26	78,628	78,628	65,953	65,953
საპროცენტო ხარჯი	26	(32,641)	(32,622)	(25,161)	(25,090)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი		45,987	46,006	40,792	40,863
სესხის გაუფასურების რეზერვი		(1,976)	(1,976)	(4,752)	(4,752)
წმინდა საპროცენტო შემოსავალი სესხის გაუფასურების რეზერვის გამოკლების შემდეგ		44,011	44,030	36,040	36,111
საკომისიო შემოსავლები	27	5,007	4,973	4,189	4,154
საკომისიო ხარჯები	27	(2,238)	(2,238)	(1,587)	(1,587)
მოგებას გამოკლებული ზარალი ფინანსური დერივატივებიდან (ზარალს გამოკლებული შემოსავალი)		(184)	(184)	(1,350)	(1,350)
მოგება (ზარალი) ვალუტის ყიდვა-გაყიდვის ოპერაციებიდან		4,114	4,114	3,818	3,818
მოგება (ზარალი) სავალუტო სახსრების გადაფასებიდან		(229)	(229)	1,134	1,134
საკრედიტო ვალდებულებებთან დაკავშირებით შექმნილი რეზერვი		(198)	(198)	109	109
სხვა საოპერაციო ხარჯები	0	676	696	1,037	550
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები	29	(19,278)	(19,333)	(16,442)	(16,498)
მოგება გადასახადის გადახდამდე		31,681	31,631	26,948	26,441
მოგების გადასახადი	30	(1,742)	(1,742)	(975)	(975)
წლის მოგება		29,939	29,889	25,973	25,466
სხვა მთლიანი (ზარალი)/შემოსავალი:					
<i>პუნქტები, რომლებიც შეძღომში შეიძლება მოგებაში ან ზარალში იყოს აღებული:</i>					
ზარალი/ზაციოდ ხელმისაწვდომი ინვესტიციები:					
- მოგება განკარგვისას ან გაუფასურებისას მოგებაში ან ზარალში აღებული ზარალის გამოკლებით	25	(85)	(85)	(219)	(219)
<i>პუნქტები, რომლებიც მოგებაში ან ზარალში არ იქნება აღებული:</i>					
პირდაპირ სხვა მთლიან შემოსავალში ასახული საშემოსავლო გადასახადი					
პირდაპირ სხვა მთლიან შემოსავალში ასახული საშემოსავლო გადასახადი	30	-	-	1,235	1,235
წლის სხვა მთლიანი (ზარალი) / შემოსავალი		(85)	(85)	1,016	1,016
სულ წლის მთლიანი შემოსავალი		29,854	29,804	26,989	26,482
მოგება, რომელიც მიეკუთვნება:					
- ბანკის მფლობელებს		29,939	29,889	25,973	25,466
წლის მოგება		29,939	29,889	25,973	25,466
სულ მთლიანი შემოსავალი, რომელიც მიეკუთვნება:					
- ბანკის მფლობელებს		29,854	29,804	26,989	26,482
სულ წლის მთლიანი შემოსავალი		29,854	29,804	26,989	26,482

8-78 გვერდები წარმოდგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნების შემადგენელ ნაწილს.

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში

	ბანკის მფლობელთათვის კუთვნილი							სულ	მთლიანი კაპიტალი
	საწესდებო კაპიტალი	აქციაზე პრემია	აქციაზე დაფუძნებული გადახდების რეზერვი	გასაყიდად არსებული ფას. ქაღალდების გადაფასების რეზერვი	შენობა- ნაგებობების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილ ებელი მოგება			
ათას ლარში	შენიშვნა								
ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,941	73,967	837	458	6,998	62,654	160,855	160,855	
წლის მოგება	-	-	-	-	-	25,466	25,466	25,466	
სხვა მთლიანი შემოსავალი/(ზარალი)	-	-	-	(219)	1,235	-	1, 016	1,016	
2016 წლის მთლიანი შემოსავალი სულ	-	-	-	(219)	1,235	25,466	26,482	26,482	
საწესდებო კაპიტალის ზრდა აქციებზე დასფუძნებულ გადასახადებისდან	116	956	(1,072)	-	-	-	-	-	
აქციებზე დაფუძნებული გადასახადების დარიცხვა	-	-	623	-	-	-	623	623	
დეკლარირებული დივიდენდი	-	-	-	-	-	(2,191)	(2,191)	(2,191)	
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,057	74,923	388	239	8,233	85,929	185,769	185,769	
წლის მოგება	-	-	-	-	-	29,889	29,889	29,889	
სხვა მთლიანი ზარალი	-	-	-	(85)	-	-	(85)	(85)	
2017 წლის მთლიანი შემოსავალი სულ	-	-	-	(85)	-	29,889	29,804	29,804	
აქციებზე დაფუძნებული გადასახადების დარიცხვა	-	-	463	-	-	-	463	463	
დეკლარირებული დივიდენდი	-	-	-	-	-	(2,545)	(2,545)	(2,545)	

8-78 გვერდები წარმოდგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”
კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში

		ბანკის მფლობელთათვის კუთვნილი							მთლიანი კაპიტალი
		საწესდებო კაპიტალი	აქციაზე პრემია	აქციაზე დაფუძნებული გადახდების რეზერვი	გასაყიდად არსებული ფას. ქაღალდების გადაფასების რეზერვი	შენობა- ნაგებობების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილ ებელი მოგება	სულ	
ათას ლარში	შენიშვნა								
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		16,057	74,923	851	154	8,233	113,273	213,491	213,491
ბალანსი 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		15,941	73,967	837	458	6,998	62,142	160,343	160,343
წლის მოგება		-	-	-	-	-	25,973	25,973	25,973
სხვა მთლიანი შემოსავალი/(ზარალი)		-	-	-	(219)	1,235	-	1, 016	1,016
2016 წლის მთლიანი შემოსავალი სულ		-	-	-	(219)	1,235	25,973	26,989	26,989
საწესდებო კაპიტალის ზრდა აქციებზე დაფუძნებულ გადასახადებისდან		116	956	(1,072)	-	-	-	-	-
აქციებზე დაფუძნებული გადასახადების დარიცხვა		-	-	623	-	-	-	623	623
დეკლარირებული დივიდენდი		-	-	-	-	-	(2,191)	(2,191)	(2,191)
ბალანსი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		16,057	74,923	388	239	8,233	85,924	185,764	185,764
წლის მოგება		-	-	-	-	-	29,939	29,939	29,939
სხვა მთლიანი ზარალი		-	-	-	(85)	-	-	(85)	(85)
2017 წლის მთლიანი შემოსავალი სულ		-	-	-	(85)	-	29,939	29,854	29,854
აქციებზე დაფუძნებული გადასახადების დარიცხვა		-	-	463	-	-	-	463	463
დეკლარირებული დივიდენდი		-	-	-	-	-	(2,545)	(2,545)	(2,545)

8-78 გვერდები წარმოდგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

კაპიტალის ცვლილებების კონსოლიდირებული ანგარიში

		ბანკის მფლობელთათვის კუთვნილი							მთლიანი კაპიტალი
		საწესდებო კაპიტალი	აქციაზე პრემია	აქციაზე დაფუძნებული გადახდების რეზერვი	გასაყიდად არსებული ფას. ქაღალდების გადაფასების რეზერვი	შენობა- ნაგებობების გადაფასების რეზერვი	გაუნაწილ ებელი მოგება	სულ	
ათას ლარში	შენიშვნა			-					
				-					
ბალანსი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		16,057	74,923	851	154	8,233	113,316	213,534	213,534

8-78 გვერდები წარმოდგენს ამ კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ფულადი სახსრების მოძრაობის კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ანგარიშგება –

	ეც. 31,2017		ეც. 31,2016	
ათას ლარში	შენიშვნა	ინდივიდუალური იდირებული	ინდივიდუალური იდირებული	კონსოლიდირებული
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან				
მიღებული საპროცენტო სარგებელი		74,545	74,545	62,547
გადახდილი საპროცენტო სარგებელი		(33,527)	(33,508)	(25,197)
მიღებული საკომისიოები		5,007	4,973	4,190
გადახდილი საკომისიოები		(2,238)	(2,238)	(1,587)
ფინანსური წარმოებულებიდან მიღებული შემოსავალი		(184)	(184)	(1,252)
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული სავაჭრო ოპერაციებიდან მიღებული შემოსავალი		4,287	4,287	5,324
სხვა მიღებული საოპერაციო შემოსავალი		676	696	1,037
შემოსავალი გამოსყიდვის უფლებადკარგული დატვირთული ქონების განკარგვიდან		1,614	1,614	269
გადახდილი პერსონალის ხარჯები		(11,013)	(11,014)	(8,676)
გადახდილი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		(7,046)	(7,114)	(5,637)
გადახდილი საშემოსავლო გადასახადი		(3,705)	(3,675)	(953)
ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებში და ვალდებულებებში ცვლილებებამდე		28,416	28,382	30,065
<i>წმინდა მოგება/(ზარალი):</i>				
- სხვა ბანკებიდან მისაღებ სახსრებში		(35,398)	(35,394)	(37,535)
- კლიენტებზე გაცემული სესხებსა და ავანსებში		(187,244)	(187,167)	(116,085)
- სხვა ფინანსურ აქტივებში		(13,079)	(13,080)	501
- სხვა აქტივებში		(1,733)	(1,775)	(349)
<i>წმინდა მოგება/(ზარალი):</i>				
- სხვა ბანკებისთვის გადასახდელ სახსრებში		5,876	5,874	(17,440)
- კლიენტთა ანგარიშებში		118,240	113,929	37,709
- სხვა ფინანსურ ვალდებულებებში		5,481	(5,481)	(5,164)
- ვალდებულებების და გადახდების რეზერვებში და სხვა ვალდებულებებში		-	-	(108)
- სხვა ვალდებულებები		(46)	(46)	146
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული/(გამოყენებული) წმინდა ფულადი სახსრები		(79,487)	(83,796)	(108,260)
ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან				
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ობლიგაციები ამორტიზირებული ღირებულებით		-	(108,336)	(108,336)
ამორტიზირებული ღირებულებით ობლიგაციების გამოსყიდვიდან მიღებული შემოსავალი		-	96,362	96,362
შვილობილ კომპანიებში ფულადი სახსრების ჩადება		(4,300)	-	-
შემოსავალი შვილობილი კომპანიების განკარგვისგან		-	1,400	-
შენიშნული ნაგებობების და მოწყობილობის შეძენა		(2,034)	(2,039)	(90)
საინვესტიციო უძრავი ქონების შეძენა/განკარგვა		65	79	114
არამატერიალური აქტივების შეძენა		(490)	(490)	(80)
შემოსავალი არამატერიალური აქტივების განკარგვისგან		43	43	-
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი სახსრები		(6,716)	(2,407)	(10,630)
ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან				
სხვა ნასესხები სახსრებიდან მიღებული შემოსავალი		678,868	678,868	887,409
სხვა ნასესხები სახსრების დაფარვა		(530,118)	(530,118)	(835,664)
სუბორდინირებული დავალიანების დაფარვა		-	-	(4,491)
გადახდილი დივიდენდები		(2,545)	(2,545)	(2,191)
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		146,205	146,205	45,063
სავალუტო კურსის ცვლილებების ზეგავლენა ფულზე და ფულად ეკვივალენტებზე		5,889	5,889	6,760
ფულის და ფულადი ეკვივალენტების წმინდა ზრდა/კლება		65,891	65,891	(67,067)
ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		73,686	73,686	140,753
წმინდა ფული და ფულადი ეკვივალენტები წლის ბოლოს	7	139,577	139,577	73,686

1 შესავალი

წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგები მომზადდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად 2017 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის სს “ბაზისბანკისა” და მისი შვილობილი საწარმოებისთვის (შემდგომში – “ჯგუფი”).

ბანკი დაფუძნდა და ფუნქციონირებს საქართველოში. ბანკი არის სააქციო საზოგადოება, შეზღუდული გამოშვებული აქციებით და შექმნილია საქართველოს მარეგულირებელი წესების შესაბამისად. 2017 და 2016 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის აქციების უმრავლესობის მფლობელი იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკაში რეგისტრირებული შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანია ხინჯიანგ ჰუალინგ ინდუსტრე & თრადე (გროუპ) კო ლტდ. და ბანკის საბოლოო მაცონტროლებელი პირია ბ-ნი მი ენჰუა.

აქციონერები	31 დეკემბრის მდგომარეობით არსებული წილები%	
	2017	2016
ხინჯიანგ ჰუალინგ ინდუსტრე & თრადე (გროუპ) კო ლტდ	92.305%	92.305%
ბ-ნი მი ზაიქი	6.969%	6.969%
სხვა მცირედი აქციონერი	0.726%	0.726%

ძირითადი საქმიანობა: ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა ბიზნეს და საცალო საბანკო ოპერაციების განხორციელება საქართველოში. ბანკი საქართველოს ეროვნული ბანკის (“სეპ”) მიერ გაცემული სრული საბანკო ლიცენზიის საფუძველზე საქმიანობას ახორციელებს 1993 წლიდან.

ბანკს აქვს 22 (2016 წელს: 21) ფილიალი, ჯგუფს ჰყავს 399 თანამშრომელი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2016 წელს: 348).

შვილობილი საწარმოები: წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგები მოიცავს შემდეგ ძირითად შვილობილ საწარმოს:

სახელწოდება	რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა	წილი % 31 დეკემბრის მდგომარეობით	
			2017	2016
შპს პოლინგი “ბაზის აქტივების მართვა”	საქართველო	აქტივების მართვა	100%	100%
სს ჰუალინგ დაზღვევა	საქართველო	სადაზღვევო	100%	-
სს ლიზინგი	საქართველო	ლიზინგი	100%	-

რეგისტრირებული მისამართი და საქმიანობის ადგილი: ბანკის რეგისტრირებული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი 0103, ქეთევან წამებულის გამზირი №1.

ანგარიშგების ვალუტა. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგები წარმოდგენილია ქართულ ლარში ათასებით (“ლარი”), თუ სხვაგვარად არ არის მითითებული.

2 ჯგუფის სამუშაო გარემო

ჯგუფი ახორციელებს საქმიანობას საქართველოში. შესაბამისად, ჯგუფს საქმიანობა უხდება საქართველოს ეკონომიკურ და ფინანსურ ბაზრებზე, რომლებსაც განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი ნიშნები აქვს. სამართლებრივი, სავადასახადო და მარეგულირებელი კანონმდებლობა კვლავაც ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციას და ხშირ შეცვლას, რაც სხვა სამართლებრივ და სავადასახადო სირთულეებთან ერთად დაბრკოლებას უქმნის საქართველოში მოქმედ კომპანიებს. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ასახავს ჯგუფის საქმიანობაზე და ფინანსურ მდგომარეობაზე ქართული ბიზნეს გარემოს გავლენის მენეჯმენტისეულ შეფასებას. სამომავლო ბიზნეს გარემო შესაძლოა განსხვავდებოდეს მენეჯმენტისეული შეფასებისგან. ხელმძღვანელობამ სესხის გაუფასურების რეზერვები განსაზღვრა მოქმედი აღრიცხვის სტანდარტებით გათვალისწინებული “მიყენებული ზარალის” მეთოდის გამოყენებით. ამ სტანდარტებით მითითებულია წარსულ მოვლენებიდან გამომდინარე გაუფასურების ზარალის აღიარება და იკრძალება მოვლენებიდან, მათ შორის, ეკონომიკურ გარემოში მომავალი ცვლილებებიდან სავარაუდოდ გამომდინარე გაუფასურების ზარალის აღიარება მიუხედავად იმისა, რამდენად სავარაუდოა ამგვარი მომავალი მოვლენები. ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული საბოლოო ზარალი შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეზერვების მიმდინარე მოცულობისგან. იხილეთ მე-4 განმარტებითი შენიშვნა.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა

მომზადების საფუძველი. წინამდებარე კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (“ფასს”) შესაბამისად ისტორიული ღირებულებების პრინციპით, რომელიც იცვლება სამართლიანი ღირებულებების საფუძველზე ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარებით და შენობა-ნაგებობების, სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი ფინანსური აქტივებისა და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში აღებული ფინანსური ინსტრუმენტების გადაფასებით. ეს პოლიტიკა და პროცედურები თანმიმდევრულადაა გამოყენებული წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებების შედგენისას, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული (იხ. მე-5 განმარტებითი შენიშვნა).

კონსოლიდირებული და ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშები. შვილობილი საწარმოები ის ინვესტირებული საწარმოებია, მათ შორის სტრუქტურირებული პირების, რომლებსაც ჯგუფი აკონტროლებს იმიტომ, რომ ჯგუფს (ი) აქვს ხსენებული საწარმოების იმ სათანადო საქმიანობის წარმართვის უფლებამოსილება, რომელიც გავლენას ახდენს მათ უკუგებაზე, (იი) აქვს ხსენებულ ინვესტირებულ საწარმოებში მონაწილეობიდან ცვალებადი უკუგების მიღების უფლება, და (იიი) აქვს უნარი ინვესტირებულ საწარმოებზე თავისი უფლებამოსილება განახორციელოს ინვესტიორის უკუგების მოცულობაზე ზემოქმედების მიზნით. არსებითი უფლებების, მათ შორის, არსებითი პოტენციური ხმის უფლებების, არსებობა და მნიშვნელობა მხედველობაში მიიღება იმის შეფასებისას, აქვს თუ არა ჯგუფს უფლებები სხვა სუბიექტზე. იმისათვის, რომ ესა თუ ის უფლება არსებითი იყოს, მის მფლობელს უნდა ჰქონდეს პრაქტიკული უნარი ეს უფლება გამოიყენოს მაშინ, როცა მიიღება გადაწყვეტილება ინვესტირებული საწარმოს შესაბამისი საქმიანობის წარმართვაზე. ჯგუფს ინვესტირებულ საწარმოზე უფლება შეიძლება ჰქონდეს იმ შემთხვევაშიც კი, თუ ის ინვესტირებულ საწარმოში ხმის უფლებების უმრავლესობას არ ფლობს. ამ შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს მისი ხმის უფლებების რაოდენობას ხმის უფლებების სხვა მფლობელთა რაოდენობასთან და განაწილებასთან მიმართებით და ამ გზით ადგენს, მას ინვესტირებულ საწარმოზე დე-ფაქტო უფლება ხომ არ აქვს. სხვა ინვესტირების დამცავი უფლებები, მაგ., უფლებები, რომლებიც დაკავშირებულია ინვესტირებული საწარმოს საქმიანობაში ფუნდამენტური ცვლილებების განხორციელებასთან ან რომლებიც მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გამოიყენება, ჯგუფს ხელს არ უშლის ინვესტირებული საწარმოს კონტროლში. შვილობილი საწარმოები კონსოლიდირებულად ითვლებიან კონტროლის ჯგუფზე გადასვლის დღიდან, ხოლო დეკონსოლიდირებულად ითვლებიან კონტროლის შეწყვეტის დღიდან.

აღრიცხვის შეძენის მეთოდი გამოიყენება შვილობილი საწარმოების შეძენის აღრიცხვის მიზნით. ერთობლივ საქმიანობაში შეძენილი იდენტიფიცირებადი აქტივები და ნაკისრი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი ვალდებულებები იანგარიშება შეძენის დღეს არსებული მათი სამართლიანი ღირებულებით მიუხედავად რაიმე არასაკონტროლო წილის მოცულობისა.

ჯგუფი იმ არასაკონტროლო წილს, რომელიც წარმოადგენს მიმდინარე წილს და ლიკვიდაციის შემთხვევაში მის მფლობელს ანიჭებს წმინდა აქტივებში პროპორციულ წილს ყოველი ტრანზაქციის შემთხვევაში, განსაზღვრავს შეძენილი საწარმოს წმინდა აქტივებში არასაკონტროლო წილის პროპორციული წილით: (ა) სამართლიანი ღირებულება, ან (ბ) შეძენილი წმინდა აქტივების არასაკონტროლო წილის პროპორციული ნაწილი.

შეძენილ საწარმოში გადახდილი ფასი იანგარიშება თავგანებებული აქტივების სამართლიანი ღირებულებით, მათ შორის, გაუთვალისწინებელი გარიგებიდან გამომდინარე აქტივებისა თუ ვალდებულებების სამართლიანი ღირებულებით, მაგრამ ამ ფასში არ შედის შეძენასთან დაკავშირებული ხარჯები, მაგ. საკონსულტაციო, იურიდიული, შეფასების და მსგავსი პროფესიული მომსახურების ხარჯები. ტრანზაქციის ხარჯები, გაწეული წილობრივი ინსტრუმენტების გამოშვებისას გამოქვითულია კაპიტალიდან, ტრანზაქციის ხარჯები გაწეული დავალიანების წარმოებისას გამოქვითულია საბალანსო ღირებულებიდან და ნებისმიერი სხვა ტრანზაქციის ხარჯი დაკავშირებული შეძენასთან გადის ხარჯებში. კომპანიათაშორის გარიგებები, ჯგუფის კომპანიებს შორის ტრანზაქციების ბალანსები და არარეალიზებული შემოსავალი გამოირიცხება; ასევე გამოირიცხება არარეალიზებული ზარალი, თუ ღირებულების ამოღება შეუძლებელია. ბანკი და ყველა მისი შვილობილი საწარმო იყენებს აღრიცხვის ერთგვაროვან პროცედურებს, რომლებიც შესაბამისობაშია ჯგუფის პროცედურებთან.

არასაკონტროლო წილების ყიდვა-გაყიდვა. ჯგუფი იყენებს ეკონომიკური ერთეულის მოდელს არასაკონტროლო წილების მფლობელების გარიგებების აღრიცხვისთვის. არასაკონტროლო წილების ნებისმიერი სხვაობა შესყიდული და საბალანსო ღირებულების შორის აღირიცხება როგორც კაპიტალის ტრანზაქცია უშუალოდ კაპიტალის შემადგენლობაში. ჯგუფი სცნობს გაყიდული არასაკონტროლო წილების და საბალანსო ღირებულების შორის სხვაობას როგორც კაპიტალის ტრანზაქციას კაპიტალის ცვლილების ანგარიშში.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

შეიღობილი საწარმოების განკარგვა. როცა ამა თუ იმ სუბიექტზე ჯგუფის კონტროლი ან მნიშვნელოვანი გავლენა წყდება, ამ სუბიექტში დარჩენილი წილი გადაფასდება და დაიყვანება მის მის სამართლიან ღირებულებამდე, ხოლო საბალანსო ღირებულებაში მომხდარი ცვლილება აისახება მოგებაში ან ზარალში. სამართლიანი ღირებულება არის საწყისი საბალანსო ღირებულება დარჩენილი წილის, როგორც ფინანსური აქტივის შემდგომში აღრიცხვის მიზნით. გარდა ამისა, ამ სუბიექტთან დაკავშირებით სხვა მთლიან შემოსავალში მანამდე აღიარებული თანხები აღრიცხება ისე, თითქოს ჯგუფმა უშუალოდ განკარგა შესაბამისი აქტივები თუ ვალდებულებები. ეს შეიძლება ნიშნავდეს იმას, რომ სხვა მთლიან შემოსავალში მანამდე აღიარებული თანხები აღება მოგებაში ან ზარალში.

ფინანსური ინსტრუმენტები – შეფასების ძირითადი ტერმინები. მათი კლასიფიკაციიდან გამომდინარე, ფინანსური ინსტრუმენტები წარმოდგენილია სამართლიანი ღირებულებით, თვითღირებულებით ან ამორტიზირებული ღირებულებით, როგორც ეს აღწერილია ქვემოთ.

სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვით ან რომელიც გადახდილია ვალდებულების დასაფარად გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში. სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა მოქმედ ბაზარზე არსებული ფასი. მოქმედი ბაზარი ისეთი ბაზარია, რომელზეც აქტივებთან ან ვალდებულებებთან დაკავშირებული გარიგებები იმ სიხშირითა და მოცულობით ხორციელდება, რომლებიც საკმარისია ფასის შესახებ ინფორმაციის უწყვეტი წესით მისაღებად.

მოქმედ ბაზარზე სავაჭროდ განთავსებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულება იანგარიშება, როგორც ცალკეული აქტივის ან ვალდებულების კოტირებული ფასისა და სუბიექტის მფლობელობაში არსებული რაოდენობის ნამრავლი. ეს ასეა იმ შემთხვევაშიც კი, თუ ბაზრის ჩვეულებრივი ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობა საკმარისი არ არის ამ რაოდენობის შთანთქმისთვის და ერთი გარიგების ფარგლებში ამ პოზიციის გაყიდვის მიზნით შეკვეთების მიცემამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს კოტირებულ ფასზე.

იმ ფინანსური წარმოებულების ან სხვა ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების პორტფელი, რომლებიც ბაზარზე სავაჭროდ არ არის განთავსებული, იანგარიშება ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების რომელიმე ჯგუფის სამართლიანი ღირებულებით იმ ფასის საფუძველზე, რომელიც მიღებული იქნებოდა წმინდა ხანგრძლივი პოზიციის (მ. შ. აქტივის) გაყიდვიდან, კონკრეტული რისკის გათვალისწინებით, ან გადახდილი იქნებოდა წმინდა მოკლე პოზიციის (მ. შ. ვალდებულების) დასაფარად (კონკრეტული რისკის გათვალისწინებით) გაანგარიშების დღეს ბაზრის მონაწილეებს შორის განხორციელებულ კანონიერ კომერციულ გარიგებაში. ეს წესი გამოიყენება პერიოდულად სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივების მიმართ, თუ “ჯგუფი”: (ა) ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების ამ ჯგუფის მართვას ახორციელებს კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ ან კონკრეტული კონტრაგენტის საკრედიტო რისკის მიმართ სუბიექტის წმინდა მგრძნობიარობის საფუძველზე სუბიექტის რისკების მართვის ან საინვესტიციო პოლიტიკის დოკუმენტის შესაბამისად; (ბ) ის ამ საფუძველზე სუბიექტის საკანძო ხელმძღვანელებს აძლევს ინფორმაციას აქტივებისა და ვალდებულებების ამ ჯგუფის შესახებ; და (გ) საბაზრო რისკები, მათ შორის, მოცემული ფინანსური აქტივებიდან და ფინანსური ვალდებულებებიდან გამომდინარე კონკრეტული საბაზრო რისკის (ან რისკების) მიმართ სუბიექტის მგრძნობიარობის ხანგრძლივობა, არსებითად იგივეა. იმ ფინანსური ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის მიზნით.

გამოიყენება ისეთი შეფასების მეთოდები, როგორიცაა დისკონტირებული ფულადი ნაკადის მოდელი ან ბოლოდროინდელი კომერციული გარიგებების მოდელი ან ინვესტირებული საწარმოების ფინანსური მონაცემების განხილვა. სამართლიანი ღირებულების გაანგარიშებების ანალიზი ტარდება სამართლიანი ღირებულების იერარქიაში არსებული შემდეგი დონეებით: (ი) პირველი დონე მოიცავს მოქმედ ბაზრებზე იდენტურ აქტივებზე ან ვალდებულებებზე ქოტირებული (დაუკორექტირებელი) ფასებით განხორციელებულ გაანგარიშებებს; (იი) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც ითვალისწინებს მოცემულ აქტივთან ან ვალდებულებასთან დაკავშირებით პირდაპირ (ანუ, ფასებით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან გამომდინარე) დაკვირვებად ყველა მნიშვნელოვან მონაცემს, და (იიი) მეორე დონის გაანგარიშებები შეფასების ისეთი მეთოდებია, რომლებიც მხოლოდ დაკვირვებად საბაზრო მონაცემებს არ ეფუძნება (ანუ ამ შემთხვევაში შეფასება საჭიროებს მნიშვნელოვან არადაკვირვებად მონაცემებს). ითვლება, რომ სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონეებს შორის გადასვლა მოხდა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს. იხილეთ 37-ე განმარტებითი შენიშვნა.

გარიგების ხარჯები არის ის დამატებითი ხარჯები, რომელიც პირდაპირ უკავშირდება ფინანსური ინსტრუმენტის შეძენას, გამოშვებას ან განკარგვას. დამატებითი ხარჯი არის ხარჯი, რომლის გადახდაც არ მოხდებოდა, თუ არა ის, რომ არ განხორციელდებოდა. საოპერაციო ხარჯი მოიცავს აგენტებისთვის (მათ შორის, თანამშრომლებისთვის, რომლებიც მოქმედებენ გაყიდვების აგენტების სახით), კონსულტანტებისთვის, ბროკერებისთვის და დილერებისთვის გადახდილ ჰონორარს და საკომისიოებს, სახელმწიფო მარეგულირებელი ორგანოების და საფონდო ბირჟების მოსაკრებლებს, და გასხვების გადასახადებს და

მოსაკრებლებს. საოპერაციო ხარჯი არ მოიცავს სავალ პრემიებს ან დისკაუნტებს, დაფინანსების ხარჯებს ან შიდა ადმინისტრაციულ ან ფლობის ხარჯებს.

ამორტიზირებული ღირებულება არის თანხა, რომლითაც ფინანსური ინსტრუმენტები აღირიცხება თავდაპირველი აღიარებისას, მინუს ნებისმიერი ძირითადი გადახდის თანხები, პლუს დარიცხული პროცენტი და, ფინანსური აქტივების შემთხვევაში, მინუს გაუფასურების ზარალთან დაკავშირებული ჩამოწერა. დარიცხული პროცენტი მოიცავს თავდაპირველი აღიარებისას გადავადებული საოპერაციო ხარჯების ამორტიზაციას და ნებისმიერი დაფარვის თანხის პრემიის ან დისკაუნტის ამორტიზაციას ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. დარიცხული საპროცენტო შემოსავალი და დარიცხული საპროცენტო ხარჯი, მათ შორის, აღიარებისას გადავადებული საკომისიოები (თუ ასეთი არსებობს) არ არის წარმოდგენილი ცალკე და შეტანილია ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის შესაბამისი მუხლების საბალანსო ღირებულებებში.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის საპროცენტო შემოსავლის ან საპროცენტო ხარჯის შესაბამის პერიოდში განაწილების მეთოდი, საბალანსო ღირებულებაზე მუდმივი პერიოდული საპროცენტო განაკვეთის უზრუნველსაყოფად (ეფექტური საპროცენტო განაკვეთი).

ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც ზუსტად ამცირებს სავარაუდო სამომავლო ნაღდი ანგარიშსწორების ან ფულად შემოსულობების თანხას (მომავალი საკრედიტო დანაკარგების გარდა) ფინანსური ინსტრუმენტის სავარაუდო ვადაში ან უფრო მოკლე პერიოდში ფინანსური ინსტრუმენტის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი ამცირებს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის მქონე ინსტრუმენტების ფულად ნაკადებს პროცენტის მომდევნო გადაფასების დღისთვის პრემიის ან დისკონტის გარდა, რომელიც ასახავს აღნიშნულ ინსტრუმენტში განსაზღვრულ ცვალებად განაკვეთზე საკრედიტო სპრედს, ან სხვა ცვალებებს, რომლებიც არ არის მორგებული საბაზრო განაკვეთებზე. ამგვარი პრემიები ან დისკონტების ამორტიზაცია ხორციელდება ინსტრუმენტის მთელი პერიოდის განმავლობაში. მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება მოიცავს ხელშეკრულების მხარეებს შორის გადახდილ ან მიღებულ ყველა იმ საკომისიოს, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია.

ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველი აღიარება. არაწარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად აღირიცხება სამართლიანი ღირებულებისა და საოპერაციო ხარჯების ჯამით. თავდაპირველი აღიარებისას სამართლიანი ღირებულების საუკეთესო მტკიცებულებაა გარიგების ფასი. მოგება ან ზარალი თავდაპირველ აღიარებისას აღირიცხება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სამართლიან ღირებულებასა და გარიგების ფასს შორის არსებობს სხვაობა, რომლის დამტკიცება შესაძლებელია იმავე ინსტრუმენტში სხვა დაკვირვებადი მიმდინარე საბაზრო გარიგებების საფუძველზე ან ისეთი შეფასების მეთოდით, რომლის მონაცემებიც მოიცავს მხოლოდ დაკვირვებადი ბაზრების მაჩვენებლებს.

ფინანსური აქტივების ყველა ის შესყიდვა და გაყიდვა, რომელთა მიწოდებაც მოითხოვება მარეგულირებელი ან საბაზრო შეთანხმებით დადგენილ ვადებში (“რეგულარული” ყიდვა-გაყიდვის გარიგებები), აღირიცხება გარიგების დღეს, რომელიც ის დღეა, რომელზეც ბანკი კისრულობს ფინანსური აქტივის მიწოდების ვალდებულებას. ყველა სხვა შესყიდვის აღიარება ხდება მაშინ, როცა ორგანიზაცია გახდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო პირობების მხარე.

ფინანსური აქტივების აღიარების გაუქმება. ჯგუფი ფინანსური აქტივის აღიარებას აუქმებს მაშინ, როცა: (ა) აქტივები გადახდილია ან უფლებები აღნიშნული აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე სხვაგვარად ამოიწურა ან (ბ) ჯგუფმა გადასცა უფლებები ფინანსური აქტივებიდან მისაღებ ფულად ნაკადებზე ან გააფორმა კვალიფიციური გადაცემის ხელშეკრულება და ამასთან ერთად (ი) განახორციელა აქტივების საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკის და ჯილდოს გადაცემა ან (იი) საკუთრებასა და კონტროლთან დაკავშირებული არსებითად ყველა რისკი და ჯილდო არც გადაუცია, არც შეუნარჩუნებია, მაგრამ კონტროლი არ შეუნარჩუნებია. კონტროლის შენარჩუნება ხდება, თუ კონტრაგენტს არ აქვს გაყიდვაზე შეზღუდვების დაკისრების გარეშე არადაკავშირებულ მესამე მხარისთვის აქტივის მთლიანად მიყიდვის პრაქტიკული უნარი.

ფული და ფულადი ეკვივალენტები. ფული და ფულადი ეკვივალენტები ის პუნქტებია, რომლებიც თავისუფლად კონვერტირდება ცნობილ ფულად თანხებად და რომელთა ღირებულების შეცვლის რისკი უმნიშვნელოა. ფული და ფულადი ეკვივალენტები მოიცავს ბანკთაშორის განთავსებულ მოკლევადიან დეპოზიტებს, რომელთა დაფარვის თავდაპირველი ვადა სამ თვეზე ნაკლებია. თანხები, რომელთა გატანაც დეპონირებიდან სამ თვეზე მეტი ხმის განმავლობაში არ შეიძლება, არ მიეკუთვნება ფულს და ფულად ეკვივალენტებს. ფული და ფულადი ეკვივალენტები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშში წარმოდგენილი გადახდილი თანხები ან შემოსვლები წარმოადგენს ჯგუფის მიერ განხორციელებული ფულისა და ფულადი ეკვივალენტების ჩარიცხვა-გადარიცხვებს, მათ შორის, ჯგუფის კონტრაგენტების ჯგუფში არსებულ ანგარიშებიდან გადარიცხულ ან ამ ანგარიშებზე ჩარიცხულ თანხებს, მაგ., სესხის პროცენტის შემოსავლებს ან სესხის ძირს, რომლის ინკასირება ხდება კლიენტის მიმდინარე ანგარიშის ხარჯზე, ან კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე ჩარიცხულ გადახდილ პროცენტებს ან სესხის განაცემებს, რაც კლიენტის პერსპექტივიდან ფულსა და ფულად ეკვივალენტებს წარმოადგენს.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი. სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრების რეზერვი აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით და წარმოადგენს პროცენტულ სავალდებულო სარეზერვო დეპოზიტებს, რომლებიც არ გამოიყენება ჯგუფის ყოველდღიური საქმიანობის დაფინანსებისთვის და ამიტომ ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშის მიზნებისთვის არ მიიჩნევა ფულისა და ფულადი ეკვივალენტების შემადგენელ ნაწილად.

სახსრები სხვა ბანკებში. სახსრები სხვა ბანკებში აღირიცხება, როცა ჯგუფი ფულს კონტრაგენტთა ბანკებში ავანსის სახით გადაირიცხავს ფიქსირებულ ან განსაზღვრულ დღეებში მისაღები არაკოტირებული არადერივატიული დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვის გარეშე. სახსრები სხვა ბანკებში აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება, როდესაც ჯგუფი გასცემს საავანსო თანხას არაკოტირებული კლიენტისგან არადერივატიული დებიტორული დავალიანების შესყიდვის ან წარმოქმნის მიზნით, რომელიც გადასახდელია დადგენილ ან განსაზღვრულ ვადებში და არ აქვს დებიტორული დავალიანების გაყიდვის განზრახვა. კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით.

ამორტიზირებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივების გაუფასურება. გაუფასურების ზარალი აღირიცხება მოგებაში ან ზარალში იმ წელთან დაკავშირებით, რომელშიც წარმოიქმნება იმ ერთი ან მეტი შემთხვევის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”), რომლებიც მოხდა ფინანსური აქტივის თავდაპირველი აღიარების შემდეგ და რომლებიც გავლენას ახდენს ფინანსური აქტივის ან ფინანსური აქტივების ჯგუფის სავარუდო მომავალი ფულადი ნაკადების იმ ოდენობაზე ან დროზე, რომლის საიმედოდ შეფასება შესაძლებელია. თუ ჯგუფი განსაზღვრავს, რომ არ არსებობს არანაირი ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურება (მნიშვნელოვანი ან უმნიშვნელო) ინდივიდუალურად შეფასებულ ფინანსურ აქტივზე, ის აქტივს მიაკუთვნებს მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების მქონე ფინანსური აქტივების ჯგუფს და გაუფასურების თვალსაზრისით ერთობლივად აფასებს მათ.

ძირითადი ფაქტორები, რომელთა მიხედვითაც ჯგუფი განსაზღვრავს, არის თუ არა ფინანსური აქტივი გაუფასურებული, არის მისი ვადაგადაცილების სტატუსი და შესაბამისი უზრუნველყოფის რეალიზებადობა, თუ ასეთი არსებობს. ქვემოთ მითითებული სხვა ძირითადი კრიტერიუმები ასევე გამოიყენება იმის განსაზღვრისთვის, არსებობს თუ არა ობიექტური საფუძველი იმისა, რომ მოხდა გაუფასურების ზარალი:

- შესატანი დაგვიანებულია და დაგვიანებული გადახდა არ არის დაკავშირებული ანგარიშსწორების სისტემებით გამოწვეულ დაგვიანებასთან;
- მსესხებელი განიცდის მნიშვნელოვან ფინანსურ სირთულეებს, რაც დასტურდება მსესხებელის ფინანსური მდგომარეობის შესახებ ჯგუფის მიერ მოპოვებული ინფორმაციიდან;
- მსესხებელი განიხილავს გაკოტრებას ან ფინანსურ რეორგანიზაციას;
- არსებობს ნეგატიური ცვლილება მსესხებლის გადახდის სტატუსში იმ ზოგადად მთელი ქვეყნის თუ ადგილობრივი ეკონომიკური პირობების შედეგად, რომლებიც გავლენას ახდენენ მსესხებელზე; ან
- უზრუნველყოფის ღირებულება მნიშვნელოვნად მცირდება ბაზრის გაუარესებული მდგომარეობის შედეგად.

გაუფასურების ერთობლივად შეფასების მიზნით, ფინანსური აქტივები დაჯგუფებულია მსგავსი საკრედიტო რისკ-მახასიათებლების საფუძველზე. ეს მახასიათებლები აღნიშნული აქტივების ჯგუფების მომავალი ფულადი სახსრების მოძრაობის შეფასებას ასახავს იმით, რომ აწვენებს დებიტორთა უნარს ყველა ვადადამტარი თანხის დაფარვა განახორციელონ შესაფასებელი აქტივების სახელშეკრულებო პირობების შესაბამისად.

მომავალი ფულადი ნაკადები იმ ფინანსურ აქტივებში, რომელთა გაუფასურებაზე შეფასებაც ერთობლივად ხორციელდება, იანგარიშება ამ აქტივების სახელშეკრულებო ფულადი სახსრების მოძრაობის გათვალისწინებით და ზარალის წარსული შემთხვევების შედეგად თანხების ვადაგადაცილების სიხშირის საკითხში და ვადაგადაცილებული დავალიანებების წარმატებით ამოღებაში ხელმძღვანელობის გამოცდილების საფუძველზე. წარსულის გამოცდილება კორექტირდება მიმდინარე დაკვირვებადი მონაცემების საფუძველზე იმ არსებული პირობების შედეგების ასახვის მიზნით, რომლებმაც გავლენა არ მოახდინა გასულ პერიოდებზე და წარსული პირობების იმ შედეგების გამოსარიცხად, რომლებიც ამჟამად არ არსებობს.

თუ ამორტიზირებული ღირებულებით ფლობილი გაუფასურებული ფინანსური აქტივის პირობები გადაიხედება ან სხვაგვარად შეიცვლება მსესხებლის ან ემიტენტის ფინანსური სირთულეების გამო, გაუფასურება შეფასდება პირობების შეცვლამდე გამოყენებული თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. ხორციელდება გადახედული აქტივის ხელშეკრულებით აღიარება და გაუფასურების ზარალის აღიარება ყოველთვის ხორციელდება რეზერვის ანგარიშის მეშვეობით აქტივის საბალანსო ღირებულების მოსალოდნელი ფულადი ნაკადების (რომლებშიც არ შედის მოსალოდნელ საკრედიტო დანაკარგები,

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

რომელიც არ დამდგარა) მიმდინარე ღირებულებამე ჩამოწერით, რომელიც დისკონტირებულია აქტივის თავდაპირველი ეფექტური საპროცენტო განაკვეთით. უზრუნველყოფილი ფინანსური აქტივის საანგარიშო მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება ასახავს დასაკუთრებიდან მიღებულ ფულად ნაკადებს, მინუს უზრუნველყოფის მიღებისა და გაყიდვის ხარჯები, მიუხედავად იმისა დასაკუთრება მოსალოდნელია თუ არა.

თუ რომელიმე მომდევნო პერიოდში გაუფასურების ზარალის თანხა შემცირდა და შემცირება ობიექტურად დაკავშირებულია იმ შემთხვევასთან, რომელიც მოხდა გაუფასურების აღიარების შემდეგ (როგორცაა გაუმჯობესება დებიტორის საკრედიტო რეიტინგში), მანამდე აღიარებული გაუფასურების ზარალი გაუქმდება რეზერვის ანგარიშის კორექტირებით, მოცემული წლის მოგების ან ზარალის საფუძველზე.

ამოუღებელი აქტივები ჩამოიწერება შესაბამის გაუფასურების ზარალის რეზერვის ხარჯზე – ამგვარი თანხები ჩამოიწერება აქტივების დაბრუნების ყველა აუცილებელი პროცედურის დასრულების და ზარალის თანხის განსაზღვრის შემდეგ. მანამდე ჩამოწერილი თანხების აღმოცენა მიეკუთვნება სხვა შემოსავალს, მოცემული წლის მოგების ან ზარალის გათვალისწინებით.

დასაკუთრებული უზრუნველყოფა. დასაკუთრებული უზრუნველყოფა წარმოადგენს ვადადაცვილებული სესხების გაქვითვის მიზნით ჯგუფის მიერ მიღებულ ფინანსურ და არაფინანსურ აქტივებს. აღნიშნული აქტივები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით და მიეკუთვნება შენობა-ნაგებობებსა და მოწყობილობებს, სხვა ფინანსურ აქტივებს, საინვესტიციო ქონებას ან სხვა აქტივებში არსებულ მატერიალურ-ტექნიკურ მარაგებს, მათი ხასიათისა და ამ აქტივების შემდგომ ამოღებასთან დაკავშირებით ჯგუფის განზრახვის გათვალისწინებით, ხოლო შემდეგ მათი ღირებულება განმეორებით იანგარიშება და აღირიცხება ამ კატეგორიების აქტივების აღრიცხვის წესების შესაბამისად. დასაკუთრებული აქტივების მარაგები აღირიცხება ან თვითღირებულებით ან წმინდა რეალიზებადი ღირებულებით. ჯგუფი იყენებს საბუღალტრო აღრიცხვის პოლიტიკას, სარეალიზაციოდ დაკავებულ არა მიმდინარე აქტივებისათვის ან გამოსარიცხი ჯგუფებისთვის დაბრუნებულ უზრუნველყოფასთან მიმართებაში, როდესაც ამდგარი კლასიფიკაციისათვის დაკმაყოფილებულია შესაბამისი პირობები საანგარიშო პერიოდის დასრულებისათვის.

კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები. ჯგუფი კისრულობს კრედიტთან დაკავშირებულ ვალდებულებას, მათ შორის აკრედიტებს და ფინანსურ გარანტიებს. ფინანსური გარანტიები წარმოადგენს გადახდების საპროცენტო ვალდებულებების გამოუხმობ გარანტიას იმ შემთხვევაში, თუ კლიენტს არ შეუძლია წამოიჭნოს თავისი ვალდებულებები მესამე მხარეებთან დაკავშირებით, და ატარებს იმავე საკრედიტო რისკს, როგორც სესხები. სესხის გაცემასთან დაკავშირებული ფინანსური გარანტიები და ვალდებულებები თავდაპირველად აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, რომელიც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიოების თანხებით. ეს თანხა ამორტიზირებულია სწორხაზოვანი მეთოდით ვალდებულების მოქმედების ვადის პერიოდში, გარდა სესხის წარმოშობის ისეთი ვალდებულებებისა, როცა შესაძლებელია, რომ ჯგუფა გააფორმოს სპეციალური დაკრედიტების ხელშეკრულება და არ ვარაუდობს გაყიდოს სესხი წარმოქმნის შემდეგ; ასეთი სესხის ვალდებულების საკომისიო გადავადდება და სესხის საბალანსო ღირებულებაში შეიტანება თავდაპირველი აღიარებისას. თითოეული საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ, ვალდებულებები გამოითვლება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი თანხა (ი) თავდაპირველი აღიარებისას თანხის ნარჩენი დარჩენილი არამორტიზირებული ნაშთი და (იი) თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ვალდებულების დასაფარად აუცილებელი ხარჯის საუკეთესო შეფასება. **ხელშეკრულების შესრულების გარანტიები.** ხელშეკრულების შესრულების გარანტიები ის ხელშეკრულებებია, რომლებიც ითვალისწინებს კომპენსაციის გადახდას, თუ მეორე მხარე ვერ შეასრულებს ამა თუ იმ სახელშეკრულებო ვალდებულებას. ამგვარი კონტრაქტებით საკრედიტო რისკი არ გადადის. ხელშეკრულების შესრულების გარანტიების თავდაპირველი აღიარება ხდება მათი სამართლიანი ღირებულებით, რაც ჩვეულებრივ დასტურდება მიღებული საკომისიოების თანხით. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში ეს თანხა ამორტიზირდება სწორხაზოვანი მეთოდით. ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს, ხელშეკრულების შესრულების გარანტიები (ხელშეკრულებები) გადაფასდება შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულებით: (ი) თავდაპირველი აღიარებისას თანხის ამორტიზირებული ბალანსი და (იი) იმ ხარჯის საუკეთესო გაანგარიშება, რაც აუცილებელია ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელშეკრულების (გარანტიის) დასაფარად და არც დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე. როცა ხელშეკრულების მიხედვით ჯგუფს აქვს უფლება ხელშეკრულების შესრულების გარანტიების დაფარვის მიზნით გადახდილი თანხების ამოსაღებად მიმართოს კლიენტს, ასეთი თანხები აღიარებული იქნება სესხებად და დებიტორულ დავალიანებებად გარანტიის ბენეფიციარისთვის ზარალის კომპენსაციის გადარიცხვისთანავე.

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები. ამ კატეგორიას მიეკუთვნება ის საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები, რომელთა ფლობასაც ჯგუფი განუსაზღვრელი ვადით აპირებს და რომლებიც შეიძლება გაიყიდოს ლიკვიდობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად ან საპროცენტო განაკვეთში, სავალუტო კურსში ან აქციების კურსში მომხდარ ცვლილებებზე რეაგირების მიზნით.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით. დივიდენდები გასაყიდ წილობრივ ინსტრუმენტზე აღიარებულია იმ წლის მოგების ან ზარალის გათვალისწინებით.

სარეალიზაციოდ არსებული კაპიტალის დივიდენდების აღიარება ხორციელდება მოცემული წლის შემოსავალში ან ზარალში, როდესაც დადგენილია გადახდის მისაღებად ჯგუფის უფლება და არსებობს ალბათობა დივიდენდის მისაღებად. გაუფასურების ზარალი აღირიცხება იმ წლის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც ის დადგა სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდების თავდაპირველი აღიარების შემდეგ მომხდარი ერთი ან მეტი შემთხვევის შედეგად (“ზარალის შემთხვევები”). წილობრივი ფასიანი ქაღალდის სამართლიანი ღირებულების მნიშვნელოვანი ან ხანგრძლივი დაცემა მის ღირებულებაზე ქვემოთ იმის მანქვენებელია, რომ წილობრივი ფასიანი ქაღალდი გაუფასურდა. კუმულაციური გაუფასურების ზარალი – გაანგარიშებული, როგორც სხვაობა შეძენის ფასსა და მიმდინარე სამართლიან ღირებულებას შორის, მიწის მოგებაში ან ზარალში მანამდე აღიარებულ აქტივების ნებისმიერი გაუფასურების ზარალი – გადაიტანება სხვა მთლიანი მოგებიდს პუნქტიდან და მოცემული წლის შემოსავალში ან ზარალში აიღება. წილობრივი ფასიანი ქაღალდების გაუფასურების ზარალი არ რევერსირდება და ნებისმიერი შემდგომი მოგება აღიარებულია სხვა მთლიან მოგებაში. თუ მომდევნო პერიოდში იმ სავალ ინსტრუმენტის სამართლიანი ღირებულება, რომელიც კლასიფიცირებულია, როგორც გასაყიდად ხელმისაწვდომი, იზრდება და ეს ზრდა ობიექტურად შეიძლება დაუკავშირდეს გაუფასურების შემოსავალში ან ზარალში აღიარების შემდეგ მომხდარ შემთხვევას, გაუფასურების ზარალი რევერსირდება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში.

ობლიგაციები ამორტიზირებული ღირებულებით. იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ ტრანზაქციები მსგავსი ტიპის ფასიან ქაღალდებზე არ ხორციელდება ხშირად და დიდი მოცულობით ფასზე ინფორმაციის უზრუნველსაყოფად, ფასიანი ქაღალდები არ განიხილება როგორც აქტიურ ბაზარზე მომიქცევაში მყოფი. მისი გათვალისწინებით, ამდაგვარი ფასიანი ქაღალდები არ კლასიფიცირდება როგორც დაფარვამდე ფინანსური აქტივები. ასეთ ფასიან ქაღალდებს ჯგუფი მიაკუთვნებს სესხებს და დებიტორული დავალიანების კატეგორიას. მოცემული ფასიანი ქაღალდები წარმოდგენილია ბალანსში ამორტიზირებული ღირებულებით გათვალისწინებული ობლიგაციების გრაფაში.

როდესაც გასაყიდი ფინანსური აქტივების ფიქსირებული დაფარვის ვადა იცვლება სესხებად და დებიტორულ დავალიანებად, მაშინ ფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულება ხდება მისი ახალი ამორტიზირებული ღირებულება. აღნიშნული აქტივის ნებისმიერი წინა მოგება-ზარალი, რომელიც აღიარებული იყო უშუალოდ სხვა ჯამურ შემოსავალში განიცდის ამორტიზაციას მოგება-ზარალით ინვესტიციების დარჩენილი ვადით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

საინვესტიციო ქონება. საინვესტიციო ქონება არის ის ქონება, რომელსაც ჯგუფი ფლობს საიჯარო შემოსავლის მისაღებად ან კაპიტალის ღირებულების გასაზრდელად ან ორივე მიზნით და რომელიც დაკავებული არ არის ჯგუფის მიერ. საინვესტიციო ქონებაში შედის მომავალში საინვესტიციო ქონების სახით გამოყენების მიზნით მშენებარე აქტივები.

საინვესტიციო ქონება აისახება თვითღირებულებით, საჭიროების შემთხვევაში აკუმულირებული ცვეთისა და გაუფასურების ზარალის რეზერვის გამოკლებით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ საინვესტიციო ქონება შეიძლება გაუფასურდეს, ჯგუფი დაიანგარიშებს ამოღებად ღირებულებას შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულების სახით: გამოყენების ღირებულება, და სამართლიანი ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით. საინვესტიციო ქონების საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის ამოღებად ღირებულებამდე წლის მოგებაში ან ზარალში გატარებით. წინა წლებში აღიარებული გაუფასურების ზარალის შებრუნება-რევერსირება ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ამოღებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

მიღებული საიჯარო შემოსავალი აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში სხვა საოპერაციო შემოსავლის პუნქტში.

შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები. შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები მითითებულია თვითღირებულებით, აკუმულირებული ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც ასახულია გადაფასებული ღირებულებებით ისე, როგორც ეს ქვემოთაა მითითებული.

შენობა-ნაგებობები ექვემდებარება გადაფასებას იმისათვის, რომ საბალანსო ღირებულება მნიშვნელოვნად არ აღემატებოდეს იმას, რომელიც საანგარიშო პერიოდის ბოლოს სამართლიანი ღირებულების გამოყენებით იქნებოდა მიღებული. გადაფასებით გამოწვეული საბალანსო ღირებულების ზრდა აღირიცხება სხვა მთლიან შემოსავალში და ზრდის გადაფასებიდან მიღებულ ნამეტს კაპიტალში. შემცირება, რომელიც ანეიტრალურად იმავე აქტივის წინა ზრდას, აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში და ამცირებს კაპიტალის გადაფასებით გამოწვეულ მანამდე აღიარებულ ნამეტს; ყველა სხვა შემცირება დაერიცხება წლის მოგებას ან ზარალს. კაპიტალში შეტანილი შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გადაფასების რეზერვი გადადის პირდაპირ

გაუნაწილებელ მოგებაში ან აკუმულირებულ ღირებულებებში აქტივის გასვლისას ან განკარგვისას გადაფასებით მიღებული ნამეტის რეალიზაციისას.

მცირე რემონტის და ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების ხარჯები აღირიცხება მათი გაწევისას. შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილების და მოწყობილობის კომპონენტების შეცვლის ღირებულება კაპიტალიზდება და გამოცვლილი ნაწილი გავა.

თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს ხელმძღვანელობა აფასებს, ხომ არ არსებობს შენობა-ნაგებობებისა და მოწყობილობების გაუფასურების რაიმე ნიშანი. თუ ასეთი ნიშანი არსებობს, ხელმძღვანელობა გაიანგარიშებს ამოსაღებ თანხას, რომელიც განისაზღვრება, როგორც შემდეგი ორიდან უფრო მაღალი ღირებულება: აქტივის სამართლიანი ღირებულება სარეალიზაციო ხარჯების გამოკლებით, და აქტივის გამოყენების ღირებულება. საბალანსო ღირებულება მცირდება ამოღებად ღირებულებამდე და გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება წლის მოგებაში ან ზარალში იმ პირობით, თუ ის აღემატება წინა გადაფასებით გამოწვეულ ნაზარდს კაპიტალში. წინა წლებში აღიარებული აქტივის გაუფასურების ზარალის შებრუნება (რევერსირება) ხდება იმ შემთხვევაში, თუ მოცემული აქტივის ამოღებადი ღირებულების გაანგარიშებისას გამოყენებულ მონაცემებში შემდგომში ცვლილება მოხდა.

განკარგვებით მიღებული მოგება და ზარალი, რომელიც განისაზღვრება შემოსავლების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით, აღიარებულია მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (სხვა საოპერაციო შემოსავალში ან ხარჯში).

ამორტიზაცია. მიწას და დაუსრულებელ მშენებლობას ამორტიზაცია არ ერიცხება. შენობა-ნაგებობების და მოწყობილობების სხვა საგნებზე ამორტიზაცია გამოითვლება სწორხაზოვანი მეთოდის გამოყენებით, საანგარიშო სასარგებლო გამოყენების ვადებში მათ ნარჩენ ღირებულებაზე მათი ღირებულების განაწილებით:

სასარგებლო გამოყენების ვადა წლებში

შენობა-ნაგებობები	50
საოფისე და კომპიუტერული მოწყობილობები	5
იჯარით აღებული ქონების გაუმჯობესებები	1 - 7
ავტომანქანები	5
სხვა	10

აქტივის ნარჩენი ღირებულება არის ის საანგარიშო თანხა, რომელსაც ჯგუფი ახლა მიიღებდა აქტივის რეალიზაციიდან რეალიზაციის საანგარიშო ხარჯების გამოკლებით, თუ აქტივი უკვე ხანდაზმული იქნებოდა და იმ მდგომარეობაში იქნებოდა, რომელიც მოსალოდნელია მისი სასარგებლო გამოყენების ვადის ბოლოს. აქტივების ნარჩენი ღირებულება და სასარგებლო გამოყენების ვადა ექვემდებარება გადახედვას და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება თითოეული საანგარიშო პერიოდის ბოლოს.

არამატერიალური აქტივები. ჯგუფის არამატერიალური აქტივებს აქვს განსაზღვრული სასარგებლო გამოყენების ვადა და უმთავრესად მოიცავს კაპიტალიზირებულ კომპიუტერული პროგრამებს და *ლიცენზიებს*. შეძენილი კომპიუტერული პროგრამების ლიცენზიები კაპიტალიზდება კონკრეტული პროგრამული უზრუნველყოფის შეძენაზე და სასარგებლო მდგომარეობაში მოყვანაზე გაწეული ხარჯების საფუძველზე. კომპიუტერულ პროგრამებთან დაკავშირებული სხვა ყველა ხარჯი, მაგალითად მათი ტექნიკური მომსახურება, აღირიცხება ამგვარი ხარჯების გადებისას. კაპიტალიზებული კომპიუტერული პროგრამებს ამორტიზაცია ერიცხება სწორხაზოვან საფუძველზე მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადაში, რომელიც 10 წელს შეადგენს.

საოპერაციო იჯარები. როდესაც ჯგუფი არის მოიჯარე იჯარაში, რომელიც არ ითვალისწინებს საკუთრებასთან დაკავშირებული თითქმის ყველა რისკისა და სარგებლის მეიჯარიდან ჯგუფისთვის გადაცემას, მთლიანი გადახდილი საიჯარო თანხები აღირიცხება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (საიჯარო ხარჯი) სწორხაზოვანი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

სხვა ხელშეკრულებებში შეტანილი იჯარები გამოცალკევებულია, თუ (ა) გარიგების შესრულება დამოკიდებულია კონკრეტული აქტივის ან აქტივების გამოყენებაზე და (ბ) გარიგება ითვალისწინებს აქტივით სარგებლობის უფლების გადაცემას.

საოპერაციო იჯარის ფარგლებში აქტივის იჯარით გაცემისას, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე მისაღები თანხების აღიარება ხდება საიჯარო შემოსავლის სახით, სწორხაზოვანი მეთოდით საიჯარო ურთიერთობის ვადაში.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

არაბრუნვადი აქტივები კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად არსებული არაბრუნვადი აქტივები და განკარგვის ჯგუფები, რომლებიც შესაძლოა მოიცავდეს როგორც არაბრუნვად ისე ბრუნვად აქტივებს, კლასიფიცირდება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში როგორც “გასაყიდად არსებული არაბრუნვადი აქტივები”, თუკი მათი საბალანსო ღირებულება იქნება დაფარული ძირითადად გაყიდვის ტრანსაქციის მეშვეობით, მათ შორის აქტივები მფლობელ შვილობილ კომპანიაზე კონტროლის დაკარგვის ნათელით, 12 თვის განმავლობაში საანგარიშო პერიოდის დასრულების შემდეგ. აქტივები ექვემდებარება რეკლასიფიკაციას, თუ კი ყველა მომდევნო პირობა დაკმაყოფილებულია: (ა) აქტივები ხელმისაწვდომია მყისიერი გაყიდვისთვის ახლანდელ პირობებში; (ბ) ჯგუფის მენეჯმენტის ამტკიცებს და ინიცირებს მყიდველის მოპოვების აქტიურ პროგრამას; (გ) აქტივები აქტიურად იყიდება გონივრულ ფასში; (დ) გაყიდვა მოსალოდნელია ერთ წლის განმავლობაში; და € ნაკლებად მოსალოდნელია, რომ გაყიდვების გეგმაში იქნება შეტანილი მნიშვნელოვანი ცვლილებები ან, რომ გეგმა იქნება გაუქმებული. არაბრუნვადი აქტივები და განკარგვის ჯგუფები, კლასიფიცირებული, როგორც გასაყიდად არსებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშის მიმდინარე პერიოდისათვის არ არის რეკლასიფიცირებული ან ხელშეორედ წარმოდგენილი ფინანსური მდგომარეობის შედარებით ანგარიშში მიმდინარე პერიოდის კლასიფიკაციის ამსახველად.

გასაყიდად არსებული განკარგვის ჯგუფების შეფასება მოლიანობაში ხორციელდება მათი უმცირესი საბალანსო ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულებით გაყიდვის ხარჯების გამოკლებით.

სახსრები სხვა ბანკებში. სხვა ბანკებიდან ნასესხები სახსრები აღირიცხება, როდესაც ფული ან სხვა აქტივები ჯგუფს წინასწარ გადაეცემა კონტრაგენტი კრედიტორების მიერ. არაწარმოებული ვალდებულება აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. თუ ჯგუფი შეისყიდის თავის საკუთარ ვალს, ვალდებულება საბალანსო ანგარიშებიდან ამოიღება და სხვაობა ვალდებულების საბალანსო ღირებულებას და გადახდილ ანაზღაურებას შორის შეიტანება მოგებაში ან ზარალში, რომელიც წარმოიქმნა ვალის მანამდე გადახდისგან.

კლიენტთა ანგარიშები.

კლიენტთა ანგარიშები მოიცავს ფიზიკური პირების, სახელმწიფო ან კორპორაციული კლიენტების მიმართ არსებულ არაწარმოებულ ვალდებულებებს და აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები, მათ შორის, სავალუტო კონტრაქტები, საპროცენტო განაკვეთის ფიქსირებული, ფორვარდული განაკვეთის ხელშეკრულებები, სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის სვოპები, და სავალუტო და საპროცენტო განაკვეთის ოფციონები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით.

გარდა ამისა, ჯგუფი კონტრაგენტ ბანკებთან ახორციელებს ანაბრების ჩათვლას ვალუტის გადასახურდავებლად. ამგვარი ანაბრები, თუმცა სამართლებრივად ინდივიდუალურია, ჯამდება და ერთ წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტად (ვალუტის გაცვლა) აღირიცხება წმინდა ღირებულებით, სადაც (ი) ანაბრები ფორმდება იმავე დროს და ერთმანეთის გათვალისწინებით, (იი) მათი კონტრაგენტი ერთი და იგივე მხარეა; (იიი) ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე რისკთან და (ივ) ამ ოპერაციების ფორმულირებას არ აქვს ისეთი აშკარა მიზანი, რომელიც ერთი ოპერაციის ფარგლებშიც ვერ მიიღწეოდა.

ყველა წარმოებული ინსტრუმენტი აღირიცხება აქტივებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება დადებითია, ხოლო ვალდებულებად, როდესაც სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ცვლილებები წარმოებული ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებაში აისახება მოცემული წლის მოგებაში ან ზარალში (მოგება მიწის ზარალი დერივატივებზე). ჯგუფი არ იყენებს ჰეჯის აღრიცხვას. **საშემოსავლო გადასახადები.** საშემოსავლო გადასახადები ფინანსურ ანგარიშებში ასახულია საანგარიშო პერიოდის დასრულებისთვის მიღებული კანონმდებლობის შესაბამისად. საშემოსავლო გადასახადის ხარჯი მოიცავს მიმდინარე გადასახადს და გადავადებულ გადასახადებს და აღიარებულია მოცემული წლის მოგება-ზარალში გარდა იმ შემთხვევისა, თუ აღიარებულია სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში, რადგან ის დაკავშირებულია ასევე აღიარებულ ტრანზაქციებთან, იმავე ან სხვადასხვა პერიოდში, სხვა მთლიან შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში.

მიმდინარე გადასახადი არის თანხა, რომლის გადახდაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებისთვის ან რომლის დაბრუნებაც მოსალოდნელია საგადასახადო ორგანოებიდან დასაბეგრ მოგებასთან ან ზარალთან დაკავშირებით მიმდინარე ან წინა პერიოდებისთვის. დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება გაანგარიშებებს, თუ ფინანსური ანგარიშები ნებადართულია შესაბამისი საგადასახადო დეკლარაციების წარდგენამდე. საშემოსავლო გადასახადების გარდა სხვა გადასახადები აღირიცხება ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადი წარმოდგენილია საბალანსო ვალდებულებების მეთოდის გამოყენებით საგადასახადო ზარალის მომავალ პერიოდში გადატანასთან და დროებით სხვაობებთან მიმართებაში, რომელიც წარმოიქმნება აქტივებისა და პასივების საგადასახადო ბაზასა და მათ საბალანსო ღირებულებას შორის, ფინანსური ანგარიშგების მიზნებისათვის. თავდაპირველი აღიარების გამონაკლისის შესაბამისად, გადავადებული გადასახადები არ აღირიცხება ტრანზაქციაში, რომელიც არ არის შერწყმა, აქტივებისა და პასივების თავდაპირველ აღიარებიდან გამომდინარე დროებით სხვაობებთან დაკავშირებით, თუ ტრანზაქცია თავდაპირველად აღიარებისას, გავლენას არ მოახდენს სააღრიცხვო მოგებასა თუ დასაბეგრ მოგებაზე. გადავადებული საგადასახადო ბალანსები გაანგარიშდება საანგარიშო პერიოდში ან შემდგომში მიღებული იმ საგადასახადო განაკვეთებით მიხედვით, რომლებიც გამოიყენება იმ პერიოდთან მიმართებით, როდესაც დროებითი სხვაობები რევერსირდება ან გამოიყენება საგადასახადო ზარალის გადატანა. გადავადებული საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ურთიერთთანთქლა ხდება მხოლოდ ჯგუფის ინდივიდუალური კომპანიებისთვის. გადავადებული საგადასახადო აქტივები დაქვითვად დროებით სხვაობებთან და გადატანილ საგადასახადო ზარალთან მიმართებაში აისახება იმ პირობით, თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ იქნება მომავალი დასაბეგრი მოგება, რომლებიდანაც შესაძლებელი იქნება გამოქვითვების განხორციელება.

გადავადებული საშემოსავლო გადასახადის აღიარება არ ხდება შეძენილ შემდგომ გაუნაწილებელ მოგებაზე და შევილობილ საწარმოთა რეზერვებში შეძენის შემდგომ სხვა მოძრაობებზე, თუ ჯგუფი აკონტროლებს შევილობილი საწარმოს დივიდენდების პოლიტიკას და სავარაუდოა, რომ ამგვარი სხვაობა უახლოეს მომავალში არ შეიცვლება დივიდენდებით ან სხვაგვარად.

ვალდებულებებისა და ჯარიმების რეზერვები წარმოადგენს განუსაზღვრელი დროისა და მოცულობის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება, როცა წარსული მოვლენების შედეგად ჯგუფს აქვს მიმდინარე კანონიერი ან კონსტრუქციული ვალდებულება, სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებლის მქონე რესურსების გადინება იქნება საჭირო ამ ვალდებულების დასაფარად, და შესაძლებელია ამ ვალდებულების თანხის სარწმუნოდ გაანგარიშება.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

საწესდებო კაპიტალი. ჩვეულებრივი აქციები განეკუთვნება კაპიტალს. ახალი აქციების გამოშვებასთან პარდაპირ დაკავშირებული დამატებითი ხარჯები ასახულია კაპიტალში, გადასახადების გარეშე, როგორც გამოქვითვა შემოსავლებიდან. გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე მიღებული ანაზღაურების სამართლიანი ღირებულების ნამეტი აღ ირიცხება კაპიტალში აქციის პრემიის სახით.

დივიდენდები. დივიდენდების კაპიტალში აღიარება ხორციელდება იმ პერიოდში, რომელშიც ისინი გამოცხადდა. საანგარიშო პერიოდის შემდეგ და ფინანსური ანგარიშების გამოსაშვებად დამტკიცებამდე გამოცხადებული დივიდენდი აისახება შემდგომი მოვლენების განმარტებით შენიშვნაში. ბანკის საბუღალტრო აღრიცხვის ანგარიშები არის მოგების განაწილებისა და სხვა დაქვითვების საფუძველი.

შემოსავლის და ხარჯის აღიარება. ყველა სავალო ინსტრუმენტის საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. ეს მეთოდი საპროცენტო შემოსავლის ან ხარჯის ნაწილის სახით გადაავადებს კონტრაქტის მხარეებს შორის მიღებულ ან გადახდილ ყველა მოსაკრებელს, რომლებიც არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის, საოპერაციო ხარჯის და ყველა სხვა პრემიის ან ფასდაკლების განუყოფელი ნაწილი.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი საკომისიოები მოიცავს პირის მიერ გადახდილ ან მიღებულ კრედიტის ორგანიზების საკომისიოს, ფინანსური აქტივის შექმნასთან ან შეძენასთან ან ფინანსური ვალდებულების გამოშვებასთან დაკავშირებით, მაგალითად, საკომისიო კრედიტუნარიანობის შეფასებისთვის, უზრუნველყოფის ან გარანტიების აღრიცხვისა და შეფასებისთვის, ინსტრუმენტის პირობების შეთანხმებისთვის და გარიგების დოკუმენტების დამუშავებისთვის. სესხის ორგანიზებისთვის ბანკის მიერ საბაზრო საპროცენტო განაკვეთით მიღებული ვალდებულების საკომისიო არის ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელი ნაწილი, თუ შესაძლებელია, რომ ჯგუფმა გააფორმოს სპეციალური დაკრეტივის ხელშეკრულება და არ აპირებს შედეგობრივი სესხის წარმოქმნიდან მოკლე ხანში გაყიდვას. ჯგუფი სესხის გაცემის ვალდებულებებს არ აღრიცხავს ფინანსურ ვალდებულებებში სამართლიანი ღირებულებით, მოგებაში ან ზარალში.

თუ საეჭვო გახდება სესხების და სხვა სავალო ინსტრუმენტების ამოღება, ისინი ჩამოიწერება მოსალოდნელი ფულადი სახსრების მოძრაობის მიმდინარე ღირებულებამდე და ამის შემდეგ საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება მიმდინარე ღირებულების დისკაუნტის აქტივების იმ ეფექტური საპროცენტო განაკვეთით განხორციელებისთვის, რომელიც გამოყენებული იყო გაუფასურების ზარალის გამოსათვლელად.

ყველა სხვა მოსაკრებლის, საკომისიოს და სხვა შემოსავლის და ხარჯის მუხლი აღირიცხება დარიცხვის მეთოდით, კონკრეტული ტრანზაქციის დასრულების მითითებით, რომელზეც დარიცხვა ხორციელდება ფაქტობრივად გაწეული მომსახურების საფუძველზე, მთლიანი გასაწევი მომსახურების პროპორციულად. სესხის სინდიცირების საკომისიოები შემოსავალში აიღება სინდიცირების დასრულებისას და ჯგუფი თავისთან არ იყოფებს სესხის პაკეტის რაიმე ნაწილს, ან ნაწილს დაიტოვებს იმავე ეფექტური საპროცენტო განაკვეთით, როგორითაც სხვა მონაწილეებისთვის.

მესამე მხარის სასარგებლოდ გარიგებაზე, სესხების, აქციების ან სხვა ფასიანი ქაღალდების შეძენის, ან საქმიანობის ყიდვის ან გაყიდვის შესახებ) მოლაპარაკებიდან ან მოლაპარაკებაში მონაწილეობიდან გამომდინარე საკომისიოები, და რომელთა მიღებაც ხდება ძირითადი გარიგების გაფორმებისას, აისახება გარიგების დასრულებისას. ფორტფელისა და სხვა მენეჯმენტის კონსულტაციისა და მომსახურების საკომისიოები ეფუძნება მომსახურების შესახებ შესაბამის ხელშეკრულებებს, ჩვეულებრივ დროის პროპორციულად. აქტივების მართვის საკომისიოები, რომლებიც დაკავშირებულია საინვესტიციო ფონდებთან, აისახება თანაბარზომიერად მომსახურების გაწევის პერიოდის განმავლობაში. იგივე პრინციპი გამოიყენება სიმდიდრის მართვის, ფინანსური დაგეგმვისა და შენახვის მომსახურების შემთხვევაშიც, რადგან ამგვარი მომსახურების გაწევა დროის ვრცელი პერიოდში ხორციელდება.

3 აღრიცხვის მნიშვნელოვანი პროცედურების მიმოხილვა (გაგრძელება)

უცხოური ვალუტაში გადაანგარიშება. ჯგუფში შემავალი თითოეული კონსოლიდირებული სუბიექტის საოპერაციო ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც აღნიშნული საწარმო ახორციელებს საქმიანობას. ბანკისა და მისი შვილობილი საწარმოების საოპერაციო ვალუტა და ჯგუფის საანგარიშო ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა – ლარი.

ფულადი აქტივები და ვალდებულებები თითოეული სუბიექტის საოპერაციო ვალუტაში გადაიყვანება შესაბამისი საანგარიშო პერიოდის დასრულებისას არსებული სეზონის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. ფულადი აქტივების და ვალდებულებების კონვერტაციის და ტრანზაქციების განხორციელების შედეგად წარმოქმნილი საკურსო მოგება და საკურსო ზარალი საოპერაციო ვალუტაში წლის ბოლოს არსებული სეზონის ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით აღიარებულია მოგებაში ან ზარალში (როგორც საკურსო მოგებას მინუს საკურსო ზარალი). კონვერტაცია წლის ბოლოს არსებული კურსის მიხედვით არ გამოიყენება ისტორიული ღირებულებით წარმოდგენილ არაფულად პუნქტებთან დაკავშირებით.

გასაყიდად გათვალისწინებული გრძელვადიანი აქტივები მოიცავს ისეთ აქტივებს, რომლებიც 2017 წლის განმავლობაში იყო გასაყიდად დამტკიცებული და კონტრაქტის მიხედვით განსაზღვრული 2018 წლის მდგომარეობით. ჯგუფი ვარაუდობს, რომ გაყიდვა დასრულდება 2018 წლისთვის.

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

18 სხვა ბანკებისგან ნასესხები სახსრები

ათას ლარში	2017	2016
საკორესპოდენტო ანგარიშები და სხვა ბანკების 1-დღიანი ანაბრები	1	556
სხვა ბანკების მოკლევადიანი ანაბრები	29,963	23,092
სებ-ის მოკლევადიანი სესხები	30,018	41,011
სულ სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრები	59,982	64,659

ჯგუფმა საანგარიშო პერიოდის ბოლოს დააგირავა ფასიანი ქაღალდები როგორც სებ-ის მოკლევადიანი სესხების უზრუნველყოფა საბალანსო ღირებულებით 39,416 ათასი ლარი (2016: მოკლევადიანი სესხებისთვის დაგირავებული სავალ ფასიანი ქაღალდები სებ-ში: 44,443 ათასი ლარი).

იხილეთ 37-ე განმარტებითი შენიშვნა სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრების სამართლიანი ღირებულებით ასახვასთან დაკავშირებით. სხვა ბანკებისთვის გადასახდელი სახსრების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია მე-18 განმარტებით შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების თანხებზე ინფორმაცია წარმოდგენილია 39-ე განმარტებით შენიშვნაში.

19 კლიენტთა ანგარიშები

ათას ლარში	2017	2016
სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	151,595	66,792
- ვადიანი დეპოზიტები	13,638	50,929
სხვა იურიდიული პირები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	136,032	90,957
- ვადიანი დეპოზიტები	171,321	202,233
ფიზიკური პირები		
- მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	93,866	78,303
- ვადიანი დეპოზიტები	111,368	73,056
სულ კლიენტთა ანგარიშები	677,820	562,270

სახელმწიფო და საჯარო ორგანიზაციები არ მოიცავს სახელმწიფო საკუთრებაში არსებულ მოგებაზე ორიენტირებულ საწარმოებს.

კლიენტთა ანგარიშების კონცენტრაციები ეკონომიკური სექტორების მიხედვით შემდეგია:

ათას ლარში	2017		2016	
	თანხა	%	თანხა	%
ფიზიკური პირები	205,233	30%	151,359	27%
წარმოება	77,675	11%	109,213	19%
ტრანსპორტი ან კავშირგაბმულობა	67,695	10%	45,842	8%
ენერგეტიკა	62,598	9%	48,809	9%
მომსახურეობა	58,565	9%	36,781	6%
მშენებლობა	54,944	8%	37,037	7%
ფინანსური ინსტიტუტები	51,296	8%	67,094	12%
ვაჭრობა	30,898	5%	19,930	4%
სახელმწიფო დეპოზიტები	29,245	4%	25,227	4%
განათლება	21,635	3%	11,065	2%
სხვა	18,036	3%	9,913	2%
სულ კლიენტთა ანგარიშები	677,820	100%	562,270	100%

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს ჰყავდა ხუთი კლიენტი (2016: ექვსი კლიენტი), რომელთა ბალანსები კაპიტალის 10% აღემატებოდა. ამ კლიენტების ჯამური ბალანსი შეადგენდა 199,693 ათას ლარს (2016: 222,430 ათას ლარი).

იხილეთ 37-ე განმარტებითი შენიშვნა თითოეული კლასის კლიენტთა ანგარიშის სამართლიან ღირებულებასთან დაკავშირებით. კლიენტთა ანგარიშების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 33-ე განმარტებით შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების ბალანსებზე ინფორმაცია წარმოდგენილია 39-ე განმარტებით შენიშვნაში.

20 სხვა ნასესხები სახსრები

ათას ლარში	2017	2016
სესხები “ბლუ ორნარდისგან”	52,913	-
სესხები “ჩინეთის განვითარების ბანკიდან” (China Development Bank)	51,513	13,190
სესხები “ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკიდან” (“EBRD”)	48,808	36,548
სესხები “ურუმჩის კომერციული ბანკიდან” (URUMQI CITY COMMERCIAL BANK)	47,496	5,407
სესხები “შავი ზღვის ვაჭრობისა და განვითარების ბანკიდან”	41,904	54,107
სესხები “ოპეკის საერთაშორისო განვითარების ფონდიდან” (OFID)	12,903	12,258
სესხები “ზანკა პოპოლარე დი სონდრიო”	7,882	-
სესხები კომერცბანკიდან	6,851	-
სხვა	10	20
სულ სხვა ნასესხები სახსრები	270,280	121,530

იხილეთ 37-ე განმარტებითი შენიშვნა სხვა ნასესხები სახსრების სამართლიან ღირებულებასთან დაკავშირებით. სხვა ნასესხები სახსრების საპროცენტო განაკვეთის ანალიზი წარმოდგენილია 33-ე განმარტებით შენიშვნაში. დაკავშირებული მხარეების ბალანსებზე ინფორმაცია წარმოდგენილია 39-ე განმარტებით შენიშვნაში.

21 სხვა ფინანსური ვალდებულებები

სხვა ფინანსური ვალდებულებები შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

ათას ლარში	შენიშვნა	2017	2016
ანგარიშსწორების ოპერაციები		6,473	1,670
გადასახდელი მომსახურება		586	424
კრედიტორული დავალიანებები სადებეტო ან საკრედიტო ბარათების მიხედვით		481	82
სხვა დარიცხული ვალდებულებები		134	345
სულ სხვა ფინანსური ვალდებულებები		4,674	2,521

ფინანსური ვალდებულება ანგარიშსწორების ოპერაციებზე წარმოადგენს თანხებს, რომლებიც ბანკის კლიენტები აწარმოებენ გადარიცხვებს კლიენტების ანგარიშებიდან სხვა კომერციულ ბანკებში და რომლებიც არ იყო გადარიცხული 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. აღნიშნული თანხები იყო გამოქვითული კლიენტების ანგარიშებიდან და შევიდა სხვა ფინანსურ ვალდებულებებში. იხილეთ 37-ე შენიშვნა სხვა ფინანსური ვალდებულებების თითოეული კლასის სამართლიან ღირებულებისათვის.

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

22 სხვა ვალდებულებები

სხვა ვალდებულებები შედგება შემდეგი პუნქტებისგან:

ათას ლარში	2017	2016
გადასახდელი გადასახადები გარდა საშემოსავლო გადასახადისა	-	24
თანამშრომელთა დარიცხული ანაზღაურების ხარჯები	1,254	1,051
სხვა	600	252
სულ სხვა ვალდებულებები	1,854	1,327

23 სააქციო კაპიტალი

ათას ლარში გარდა აქციების რაოდენობისა	მიმოქცევაში არსებული აქციების რაოდენობა (ათასებში)	ჩვეულებრივი აქციები	აქციის პრემია	მთლიანი სააქციო კაპიტალი
2016 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	15,941	15,941	73,967	89,908
წილების გადასახადის სქემაზე დაფუძნებული გამოშვებული აქციები	116	116	956	1,072
2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,057	16,057	74,923	90,980
წილების გადასახადის სქემაზე დაფუძნებული გამოშვებული აქციები	-	-	-	-
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	16,057	16,057	74,923	90,980

მთლიანი ნებადართული, გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია შეადგენს 16,097 ათასი (2015: 16,057 ათასი), რომელთაგან თითოეულის ნომინალური ღირებულება შეადგენს 1 ლარს (2016: 1 აქცია 1 ლარი). მთლიანი გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია შეადგენს 16,097 ათას აქციას (2016: 16,057 ათასი აქცია). ყველა გამოშვებული ჩვეულებრივი აქცია სრულადაა დაფარული. ზემოთ მოცემული ცხრილი არ მოიცავს 40 ათასს (2016: ნული) აქციას, გამოშვებულს, რომლებიც ჯერ არ არის განაწილებული.

ყველა ჩვეულებრივ აქციას გააჩნია თანაბარი ხმის უფლება. სამისიო შემოსავალი წარმოადგენს შენატანების მეტობას გამოშვებული აქციების ნომინალურ ღირებულებაზე.

24 წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული გადახდები

2013 წლის ივლისში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის 2013 – 2014 წლის საბონუსე სისტემა და გასცა 73,000 ახალი აქცია უმაღლესი მენეჯმენტის წევრების ჯგუფზე. ამ სქემის მიხედვით, ყოველწლიურად, წინასწარ დადგენილი პირობების მიხედვით, აქციების გარკვეული რაოდენობა უნდა იყოს გადაცემული მონაწილეებისათვის. გადასაცემი აქციების საერთო რაოდენობა განისაზღვრება შეკრების გუნდის მიზნებზე და აქციის საბალანსო ღირებულებაზე ჯგუფის ფასის-ის შემოწმებული კონსოლიდირებული ანგარიშის მიხედვით გაცემის თარიღის წინა წლის. გუნდის მიზნები უპირველეს ყოვლისა ეხება რენტაბელობის და ზრდის მაჩვენებლების ამაღლებას, რომლებიც დაწესებულია სამეთვალყურეო საბჭოს მიერ, ისევე, როგორც შესაბამისობა გარკვეულ ნორმატიულ კოეფიციენტებთან და საერთაშორისო ფინანსური საკრედიტო ინსტიტუტების შეთანხმებებთან შესაბამისობა. გასაცემი აქციები

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ატარებენ მომსახურების პირობებს და ამ პირობების დაკმაყოფილებამდე, აქციების გააჩნიათ დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ არ გააჩნიათ ხმის მიცემის უფლება და არ ექვემდებარებიან გასხვისებას ან გადაცემას მესამე პირზე. სერვისის პირობები მოიცავს უწყვეტ დასაქმებას, სანამ არ დასრულდება სქემის მონაწილეებისათვის სრული ეტაპობრივი დასახელების/აქციების გადაცემა. 2016 წლის ივლისში გადაცემულ აქციებზე შეზღუდვები იხსნება 2013 წლის 26 ივლისის ჯგუფმა დააწესა როგორც აქციების გაცემის დღე. თითო აქციის სამართლიანი ღირებულება გაცემის დღისთვის შეფასებულია 7,85 ლარად თითო აქციაზე. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა თითო აქციის ფასის საფუძველზე, რომელიც დადგინდა აქციების ყიდვა-გაყიდვისთვის ბანკის ყოფილ მესაკუთრესა და ახლანდელ ძირითად აქციონერს შორის. მენეჯმენტის შეფასებაზე დაყრდნობით, აქციების ყიდვა-გაყიდვის გარიგება შეიძლება განიხილოს როგორც ჩვეულებრივი გარიგება სურვილის მქონე და ბაზართან არა დაკავშირებულ მონაწილეებს შორის. პერსონალის ყველა ხარჯი, დაკავშირებული უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე სქემასთან აღიარებულია საგარანტიო პერიოდში. 2015 წლის აპრილში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე ახალი სქემა 2015-2016 წწ. და გამოუშვა 71,000 ახალი აქცია ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის მომსახურების პირობების თანახმად. ამ აქციებს გააჩნიათ დივიდენდის მიღების უფლება, მაგრამ არ გააჩნიათ ხმის უფლება და აგრეთვე გასხვისების ან მესამე პირზე მიყიდვის უფლება მომსახურების პირობების შესრულებამდე 2015 წლის აქციებზე, გადაცემული 2016 წლის ივლისში, მოიხსნა ყველანაირი გადაცემის შემდგომ შეზღუდვა. 2016 წ. ტრანშების აქციების უფლების გადაცემა დასაქმების უწყვეტი პირობის ამოწურვისას 2017 წლის 27 ივლისს. აღნიშნული აქციების გადაცემის შემდგომ ეს აქციები გადაცემის შეზღუდვას ექვემდებარება, 2019 წ. ივლისში (ბლოკირების პირველი პერიოდის დასასრული) მოიხსნება შეზღუდვა გადაცემული აქციების 50%-ზე და 2022 წლის 1 ივლისს არის (ბლოკირების მეორე პერიოდის დასასრული) გადაცემის უფლების შემდგომი შეზღუდვის ვადის ამოწურვა-ჯგუფი მიიჩნევს 2015 წლის 8 აპრილს გადაცემის თარიღად. ერთი აქციის სამართლიანი ღირებულება გადაცემის დღისთვის შეფასდა 11,34 ლარად თითო აქციაზე. აქციის სამართლიანი ღირებულება იყო დაწესებული გამომდინარე ერთი აქციის ფასიდან, დაწესებული აქციების ყიდვა-გაყიდვის გარიგებისას ბანკის მფლობელებს შორის. 2017 წლის მარტში ბანკის სამეთვალყურეო საბჭომ დაამტკიცა უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე ახალი სქემა 2017-2021 წწ. და გამოუშვა 169,000 ახალი აქცია ბანკის უმაღლესი მენეჯმენტის მომსახურების პირობების თანახმად. ჯგუფი მიიჩნევს 2017 წლის 27 მარტს გადაცემის თარიღად. ერთი აქციის სამართლიანი ღირებულება გადაცემის დღისთვის შეფასდა 12,55 ლარად თითო აქციაზე. აქციის სამართლიანი ღირებულება იყო დაწესებული გამომდინარე ერთი აქციის ფასიდან, დაწესებული აქციების ყიდვა-გაყიდვის გარიგებისას ბანკის მფლობელებს შორის. აქციებზე დაფუძნებულ ახალი სქემის მიხედვით მენეჯმენტის აქციები აგრეთვე ექვემდებარება შეზღუდვას და ვერ გაიყიდება ღირებულების მიერ 2 (ორი) წლის განმავლობაში შეძენის დღიდან (“ბლოკირების პერიოდი”). ბლოკირების პერიოდის გასვლის შემდგომ, ღირებულების მფლობელობაში მყოფი აქციების ნახევარი შეიძლება გაყიდულ იქნას. ღირებულების საკუთრებაში მყოფი ყველა მენეჯმენტის აქცია შეიძლება გადაცემულ იქნას მხოლოდ ღირებულების გადაღობის შემდეგ.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ცხრილის სახით:

ათას ლარში აქციების რაოდენობის გარდა	2017	2016
წლის დასაწყისში არაგარანტირებული აქციების რაოდენობა	44,000	144,000
აქციების რაოდენობის ცვლილება გასაცემად დაფუძნებული მუშაობის პირობებზე გაცემული აქციების რაოდენობა	40,000	16,630
	-	(116,630)
წლის ბოლოს არაგარანტირებული აქციების რაოდენობა	84,000	44,000
ცალკეული აქციის ღირებულება გაცემის დღეს (ლარში)	12,55	11,34
წილობრივი ნაწილის ხარჯები	463	624
ხარჯები, აღიარებული როგორც პერსონალის ხარჯები წლის განმავლობაში	463	624

პერსონალის ხარჯი დაკავშირებული აქციებზე დაფუძნებულ გადახდის სქემის წილობრივ ინსტრუმენტებთან აღიარებული უნდა იყოს მოგება-ზარალის ანგარიშში პირდაპირი მეთოდით საგარანტიო პერიოდის მსვლელობაში და შესაბამისი ჩანაწერი იქნება ჩარიცხული კაპიტალის აქციებზე დაფუძნებულ გადახდების რეზერვში. ხარჯები აღიარებული როგორც პერსონალის ხარჯი სქემის მიხედვით 851 ათასი ლარი 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (388 ათასი ლარი 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით).

25 სხვა ერთობლივი შემოსავალი აღიარებული კაპიტალის თითოეულ კომპონენტში

სხვა ერთობლივი შემოსავლის ანალიზი პუნქტების მიხედვით კაპიტალის თითოეულ კომპონენტზე შემდეგია:

ათას ლარში	გასაყიდად არსებული ფასიანი ქაღალდების გადაფასების რეზერვი	შენობა-ნაგებობების გადაფასების რეზერვი	ჯამი
წლის დასასრული, 2016 31 დეკემბერი			
გასაყიდად არსებული ინვესტიციები: - შემოსავალი ხარჯების გამოქვითვით გადაცემის ან გაუფასურების მოგება-ზარალის უტილიზაციიდან შენობა-ნაგებობების/დანადგარების გადაფასება მოგების გადასახადი, ასახული უშუალოდ სხვა ერთობლივ შემოსავალში	(219)	-	(219)
	-	1,235	1,235
სულ სხვა ერთობლივი შემოსავალი	(219)	1,235	1,016

წლის ბოლოს 2017 31 დეკემბერი

გასაყიდად არსებული ინვესტიციები: - შემოსავალი ხარჯების გამოქვითვით გადაცემის ან გაუფასურების მოგება-ზარალის უტილიზაციიდან მოგების გადასახადი, ასახული უშუალოდ სხვა ერთობლივ შემოსავალში	(85)	-	(85)
	-	-	-
სულ სხვა ერთობლივი შემოსავალი	(85)	-	(85)

26 საპროცენტო შემოსავალი და ხარჯი

ათას ლარში	2017	2016
საპროცენტო შემოსავალი		
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	66,559	55,284
ობლიგაციები ამორტიზირებული ღირებულებით	10,334	9,710
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები და სებ-ში განთავსებული სავალდებულო სალდოები	1,735	959
მთლიანი საპროცენტო შემოსავალი	78,628	65,953
საპროცენტო ხარჯი		
იურიდიული პირების ვადიანი დეპოზიტები	10,129	9,299
ფიზიკური პირების ვადიანი დეპოზიტები	5,300	4,855
მიმდინარე/ანგარიშსწორების ანგარიშები	4,431	3,725
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან მიღებული სესხები	9,076	5,243
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები	3,686	1,968
მთლიანი საპროცენტო ხარჯი	32,622	25,090
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	46,006	40,863

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

27 გადასახადი, საკომისიო შემოსავალი და ხარჯი

ათას ლარში	2017	2016
საკომისიო შემოსავალი		
<i>გადასახადი და საკომისიო შემოსავალი, რომელიც დაკავშირებული არ არის მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან</i>		
- პლასტიკური ბარათის საკომისიო	1,584	1,307
- ანგარიშსწორების ოპერაციები	1,312	1,183
- გარანტიებთან დაკავშირებული საკომისიოები	1,119	888
- ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციები	595	533
- დისტანციური საბანკო მომსახურების საკომისიოები	149	127
- სხვა	214	116
მთლიანი საკომისიო შემოსავალი	4,973	4,154
გადასახადი და საკომისიო ხარჯი		
<i>გადასახადი და საკომისიო ხარჯი, რომელიც დაკავშირებული არ არის მოგებაში ან ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახულ ფინანსურ ინსტრუმენტებთან</i>		
- პლასტიკური ბარათების საკომისიოები	1,328	998
- ანგარიშსწორების ოპერაციები	426	316
- ნაღდი ფულით განხორციელებული ოპერაციების საკომისიოები	148	118
- გარანტიებთან დაკავშირებული ხარჯები	96	47
- საკრედიტო ხაზების საკომისიოები	92	4
- სხვა	148	104
მთლიანი გადასახადი და საკომისიო ხარჯი	2,238	1,587
წმინდა გადასახადი და საკომისიო შემოსავალი	2,735	2,567

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

28 სხვა საოპერაციო შემოსავალი

ათას ლარში	2017	2016
მოგება დასაკუთრებული ქონების განკარგვისას დამდგარი ზარალის გამოკლებით	517	50
საიჯარო შემოსავალი	171	188
ჯარიმები და პირგასამტეხლოები	8	66
დასაკუთრებული ქონების გაუფასურების შებრუნება	-	233
მოგება დასაკუთრებული ქონების განკარგვისას დამდგარი ზარალის გამოკლებით	-	8
სხვა	-	5
სულ სხვა საოპერაციო შემოსავალი	696	550

საინვესტიციო ქონებიდან მიღებული საიჯარო შემოსავალი შეადგენს 20 ათას ლარს (2016: 33 ათასი ლარი).

29 ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ათას ლარში	შენიშვნა	2017	2016
პერსონალის შრომის ანაზღაურება		11,014	9,504
ცვეთა და ამორტიზაცია	14	1,369	1,265
პროფესიული მომსახურება		1,176	1,065
იჯარა		1,008	872
რეკლამა და მარკეტინგი		994	675
კავშირგაბმულობისა და ინფორმაციული მომსახურება		695	950
დაცვა		623	607
რემონტი და ტექმომსახურება		441	86
გადასახადები გარდა მოგების გადასახადისა		270	274
საოფისე მარაგები		206	137
დაზღვევა		204	138
სხვა ფინანსური აქტივების გაუფასურება	15	183	47
დაბრუნებული ქონების გაუფასურება		116	-
მივლინებები და ტრენინგი		99	130
სხვა		935	748
სულ ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები		19,333	16,498

პერსონალის ანაზღაურებაში შეტანილი 2017 წლის ხარჯები აღიარებულია როგორც პერსონალის ხარჯები უმაღლესი მენეჯმენტის საბონუსე სქემის, წილებზე გადასახადის ნაწილი 463 ათასი ლარის ოდენობით (2016: 624 ათასი ლარი). სქემის დეტალებისთვის იხილეთ შენიშვნა 24.

საიჯარო შემოსავლის მიმღებ საინვესტიციო ქონებაზე პირდაპირმა საოპერაციო ხარჯებმა შეადგინა 19 ათასი ლარი (2016: 29 ათასი ლარი) და მოიცავდა კომუნალური მომსახურების ხარჯებს, შენახვის ხარჯებს და გადასახადებს. იმ საინვესტიციო ქონებაზე პირდაპირმა საოპერაციო ხარჯებმა, რომელზეც საიჯარო შემოსავლის მიღება არ ხდებოდა, შეადგინა 1 ათასი ლარი (2016: 2 ათასი ლარი).

ზემოთ აღნიშნული პროფესიული მომსახურების გადასახადი მოიცავს 226 ათასს ლარს (2016: 165 ათასს ლარს) -გადასახადი, წარმოშობილი აუდიტორების/აუდიტის ფირმის მიერ გაწეული აუდიტის და სხვა პროფესიონალური მომსახურების შედეგად თანახმად საქართველოს კანონმდებლობისა ადრიცხვის, ანგარიშგების და აუდიტის თაობაზე.

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

30 მოგების გადასახადი

(ა) მოგების გადასახადის ხარჯის კომპონენტები

მოცემული წლის მოგება-ზარალში აღებული მოგების გადასახადის ხარჯი შემდეგია:

ათას ლარში	2017	2016
მიმდინარე გადასახადი	(2,390)	(2,542)
გადავადებული გადასახადი	648	1,567
წლის მოგების გადასახადი ხარჯი	(1,742)	(975)

(ბ) საგადასახადო ხარჯისა და მოგება-ზარალის ურთიერთშეჯერება გამრავლებული მოქმედ საგადასახადო განაკვეთზე

მოქმედი მოგების გადასახადის განაკვეთი ჯგუფის უმრავლესობის შემოსავალზე 2017 წ. შეადგენს 15% (2016: 15%). მოქმედი მოგების გადასახადის განაკვეთი შვილობილი კომპანიების შემოსავლის უმრავლესობაზე შეადგენს 15% (2016: 15%). მოსალოდნელი და ფაქტობრივი საგადასახადო ხარჯების შეჯერება წარმოდგენილია ქვემოთ.

ათას ლარში	2017	2016
მოგება დაბეგვრამდე	31,631	26,441
თეორიული საგადასახადო ხარჯი კანონით გათვალისწინებული განაკვეთით (2017: 15%; 2016: 15%)	(4,745)	(3,966)
იმ პუნქტების საგადასახადო ეფექტი, რომლებიც საგადასახადო მიზნებისთვის არ ექვემდებარება გამოქვითვას ან დარიცხვას:		
- დაბეგვრისგან გათავისუფლებული შემოსავალი (სებ-ის ფასიანი ქაღალდები და დეპოზიტები)	1,695	1,453
- დაბეგვრისგან გათავისუფლებული სხვა შემოსავალი	-	182
- მიკუთვნებული მოგება	(38)	(38)
- საგადასახადო კანონმდებლობაში ცვლილების ეფექტი	1,369	1,615
- გამოუქვითვადი ხარჯები	(23)	(221)
წლის მოგების გადასახადი ხარჯი	(1,742)	(975)

30 მოგების გადასახადი (გაგრძელება)

(გ) დროებითი სხვაობის ტიპის მიხედვით გაანალიზებული გადავადებული გადასახადები

ფასს-ა და საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობას შორის არსებული განსხვავებები იწვევს დროებით სხვაობებს ფინანსური ანგარიშგების მიზნებისთვის დეკლარირებული აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებასა და მათ საგადასახადო ბაზებს შორის. ამ დროებითი სხვაობების ცვლილებების საგადასახადო ეფექტი განმარტებულია ქვემოთ და აღირიცხება 15%-იანი განაკვეთით (2016: 15%).

	2016 წლის 1- ლი იანვარი	ბიზნეს კომბინაციე ბი	გადარიცხვა გასაყიდად განკუთვნილზე გრძელვადიან აქტივებზე	მოგება- ზარალში აღებული	სხვა ნაერთ შემოსავალში აღებული	პირდაპირ კაპიტალში აღებული	2017 წლის 31 დეკემბერი
<i>ათას ლარში</i>							
გამოქვითვას/დაბეგვრას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის გადატანის საგადასახადო ეფექტი							
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	(246)			232			(14)
სესხის გაუფასურების ზარალი	(1,176)			378		-	(799)
გარანტიის გაუფასურების ზარალი	(63)			43		-	(20)
დარიცხვები	179			71		-	250
სხვა	457			(85)		-	373
წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული გადასახადები	49			9		-	58
წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი(ვალდებულება)	(800)			648			(152)

ჯგუფის მიმდინარე სტრუქტურისა და საქართველოს კანონმდებლობის გათვალისწინებით, სხვადასხვა ჯგუფის კომპანიების საგადასახადო ზარალი და მიმდინარე საგადასახადო აქტივები შეიძლება არ ჩაითვალოს სხვა ჯგუფის კომპანიების მიმდინარე საგადასახადო ვალდებულებებში და დასაბეგრ მოგებაში და შესაბამისად, გადასახადების დარიცხვა შეიძლება მაინც განხორციელდეს თვით კონსოლიდირებული საგადასახადო ზარალის არსებობის შემთხვევაშიც კი. აქედან გამომდინარე, გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები ჩაითვლება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი დაკავშირებულია ერთსა და იმავე დასაბეგრ სუბიექტთან და ერთსა და იმავე საგადასახადო ორგანოსთან.

	2016 წლის 1- ლი იანვარი	ბიზნეს კომბინაციე ბი	გადარიცხვა გასაყიდად განკუთვნილზე გრძელვადიან აქტივებზე	მოგება- ზარალში აღებული	სხვა ნაერთ შემოსავალში აღებული	პირდაპირ კაპიტალში აღებული	2016 წლის 31 დეკემბერი
<i>ათას ლარში</i>							
გამოქვითვას/დაბეგვრას დაქვემდებარებული დროებითი სხვაობების და საგადასახადო ზარალის გადატანის საგადასახადო ეფექტი							
შენობა-ნაგებობები და მოწყობილობები	(2,805)			1,324		1,235	(246)
სესხის გაუფასურების ზარალი	(1,412)			236		-	(1,176)
გარანტიის გაუფასურების ზარალი	(100)			37		-	(63)
დარიცხვები	197			(18)		-	179
სხვა	486			(29)		-	457
წილობრივ ინსტრუმენტებზე დაფუძნებული გადასახადები	32			17		-	49

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

წმინდა გადავადებული საგადასახადო აქტივი(ვალდებულება)	(3,602)	1,567	1,235	(800)
--	---------	-------	-------	-------

31 დივიდენდები

ათას ლარში	2017		2016	
	ჩვეულებრივი	პრივილეგირებული	ჩვეულებრივი	პრივილეგირებული
1-ლი იანვრისთვის გადასახდელი დივიდენდები				
წლის განმავლობაში დეკლარირებული დივიდენდები	2,545	-	2,191	-
წლის განმავლობაში გადახდილი დივიდენდები	(2,545)	-	(2,191)	-
31-ი დეკემბრისთვის გადასახდელი დივიდენდები	-	-	-	-
წლის განმავლობაში გამოცხადებული დივიდენდი ერთ აქციაზე	0.16	-	0.14	-

ყველა დივიდენდი გამოცხადებულია და გადახდილია ქართულ ლარებში.

32 წმინდა დავალიანების დაფარვა

ქვემოთ მოყვანილი ცხრილი ასახავს ჩვენი დავალიანების ანალიზს და მოძრაობას თითოეული წარმოდგენილი პერიოდისათვის. ეს დავალიანების პუნქტები ასახულია ფინანსური ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებაში.

ათას ლარში	ვალდებულებები ფინ აქტივობიდან	
	ნასესხები სახსრები	სულ
	2017	2016
წმინდა დავალიანება 2017 წლის 1-ლი იანვრის მდგომარეობით	121,530	121,530
ფულადი ნაკადების მოძრაობა	150,444	150,444
უცხოური ვალუტის გაცვლის კორექტირებები	(2,507)	(2,507)
სხვა არა ფულადი ქმედებანი	813	813
წმინდა დავალიანება 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	270,280	270,280

33 ფინანსური რისკების მართვა

ჯგუფში რისკების მართვა ხორციელდება ფინანსურ რისკებთან, საოპერაციო რისკებთან და სამართლებრივ რისკებთან დაკავშირებით. ჯგუფი აკონტროლებს რისკების იდენტიფიცირებას, შეფასებასა და შემცირებას შიდა მართვის პროცესების მეშვეობით, რისკის ინსტრუმენტების და ჯგუფის ფინანსურ შედეგებზე, გრძელვადიან მიზნებზე და რეპუტაციაზე რისკის გავლენის შემცირების პროცესების გამოყენებით.

რისკების მართვის პასუხისმგებლობა განაწილებულია ჯგუფის ყველა დონეზე, სამეთვალყურეო საბჭოდან და მმართველი მენეჯმენტიდან (აღმასრულებელი ხელმძღვანელობა) ქვემოთ, თითოეული ბიზნეს ერთეულის მენეჯერამდე და რისკის ოფიცრამდე. რისკის მართვის ფუნქცია განაწილებულია რისკის მართვის შემდეგ ერთეულებს შორის: სამეთვალყურეო საბჭო, დირექტორატი, აუდიტის კომიტეტი, აქტივებისა და პასივების მართვის კომიტეტი (“ალკო”), რისკის მართვის დეპარტამენტი, სახაზინო დეპარტამენტი და საკრედიტო კომიტეტი. ბანკის სამეთვალყურეო საბჭო ზოგადად პასუხისმგებელია რისკის მართვის სტრუქტურების ზედამხედველობაზე. ბანკის უმაღლესი მართვის ორგანოს სახით სამეთვალყურეო საბჭო აწესებს ზოგად მდგომარეობას და პრინციპებს რისკის მართვისადმი, ბანკის რისკის პროფილის შეფასების მეშვეობით და რისკის მართვის სტრუქტურის ადეკვატურობის და ეფექტურობის მიხედვით, ადგენს რისკის ინდივიდუალურ სტრატეგიებს, რისკის მიმართ მიდრეკილებას და მისი კონტროლის სისტემას. ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს

მიერ დამტკიცებული რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს ძირითადი სახის რისკებს, აკისრებს პასუხისმგებლობას კონკრეტული რისკების მართვაზე, და ადგენს შიდა კონტროლის პროცედურების შესრულების მოთხოვნას. რისკების მართვის პოლიტიკა და პროცედურები ითვალისწინებს ჯგუფის წინაშე არსებული რისკების განსაზღვრას, ანალიზსა და მართვას, რისკის შესაბამისი ლიმიტებისა და რისკის კონტროლის მექანიზმების დაწესებას, და რისკის დონეებზე და ლიმიტების დაცვაზე მუდმივი მონიტორინგის განხორციელებას. რისკის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ექვემდებარება რეგულარულ გადასინჯვას საბაზრო პირობებში, პროდუქტებსა და მომსახურებაში, და საუკეთესო პრაქტიკაში მომხდარი ცვლილებების ასახვის მიზნით. მმართველი საბჭო განსაზღვრავს შესაბამის პროცედურებს ყველა რისკის მართვისათვის, დამახასიათებელი შესაბამისი ბიზნეს-მმართველობისათვის, ბიზნესის სტრუქტურირების მიზნით რისკის კუთხით, უზრუნველყოფს შესაბამისი მოვალეობების გამოყენას და ადეკვატურ პროცედურებს, განსაზღვრავს შესაბამისი თანამშრომლების მოვალეობებს. მმართველი საბჭო პასუხისმგებელია რისკის შემცირების ღონისძიებების განხორციელებასა და მონიტორინგზე და იმის უზრუნველყოფაზე, რომ ჯგუფმა საქმიანობა განახორციელოს რისკის დადგენილი პარამეტრების ფარგლებში. ფინანსური რისკი მოიცავს საბაზრო რისკს (მათ შორის სავალუტო რისკი, საპროცენტო განაკვეთის რისკი და სხვა ფასების რისკებს), საკრედიტო და ლიკვიდობის რისკებს. ფინანსური რისკის მართვის უმთავრესი ფუნქცია მოიცავს ლიმიტების დაწესებას და შემდგომ იმის უზრუნველყოფას, რომ რისკისაღმდ მიდრეკილება რჩება დაწესებული ლიმიტების ფარგლებში. საოპერაციო და სამართლებრივი რისკების მართვის ფუნქცია უზრუნველყოფს შიდა რეგულაციების გამართულ ფუნქციონირებას, რათა შეამციროს საოპერაციო და სამართლებრივი რისკები.

როგორც პორტფელის, ასევე ტრანსაქციების დონეზე საკრედიტო რისკების მართვა ხორციელდება საკრედიტო კომიტეტების მიერ. გადაწყვეტილების ეფექტურად მიღების ხელშეწყობის მიზნით, ჯგუფმა დაადგინა საკრედიტო კომიტეტების იერარქია რისკის სახეობისა და მოცულობიდან გამომდინარე.

საბაზრო და ლიკვიდობის რისკების მართვა ხორციელდება აქტივ-პასივების მართვის კომიტეტის სახაზინო და რისკების მართვის დეპარტამენტებთან კოორდინირებულად. სახაზინო დეპარტამენტი აკონტროლებს ფინანსურ და არაფინანსურ რისკებს, რეგულარული შეხვედრების ჩატარებით თავის ოპერატიულ ქვედანაყოფებთან რათა მიიღოს ექსპერტების შეფასებები ექსპერტიზის სფეროებში, ლიკვიდურობის ყოველდღიური გეპების კონტროლისთვის, საპროცენტო განაკვეთის რისკის კონტროლისათვის და სავალუტო რისკების კონტროლის და მართვისათვის.

ბანკმა დააწესა რისკის აღების და მართვის პრინციპები, რომლებიც ასახულია შიდა რეგულაციებში და დაუყოვნებლივ გამოიყენება ორგანიზაციაში. ეს ძირითადი პრინციპები შემდეგია:

- გონივრული რისკის აღება და ყოვლისმომცველი შეფასება და გარემოს კონტროლი;
- მონიტორინგის და ანგარიშგების ეფექტური და ადეკვატური სისტემა;
- რისკის რაოდენობრივი შეფასება შესაბამისი მეთოდოლოგიების გამოყენებით ბანკის მოცულობის და სირთულის შესაბამისად;
- ნორმატიული მოთხოვნების და მარეგულირებელი პრინციპების მიღება და განხორციელება და საუკეთესო პრაქტიკების გამოყენება საერთაშორისო სტანდარტების მეშვეობით;
- რისკების ეფექტური მართვის განხორციელება შესაბამისი რისკების იერარქიის გამოყენებით, დამოუკიდებელი ბიზნეს საქმიანობისგან, რათა ადგილი არ ჰქონდეს ინტერესთა კონფლიქტს;
- რისკების მართვის ზედამხედველობა ახალი აქტივობების დანერგვის მეშვეობით, ბიზნეს-ხაზების ან პროდუქტების.

როგორც შიდა, ასევე გარე რისკ-ფაქტორების განსაზღვრა და მართვა ხორციელდება ჯგუფის ორგანიზაციული სტრუქტურის მასშტაბით. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა რისკის რუკების შედგენას, რომლებიც გამოიყენება რისკ-ფაქტორების სრული სპექტრის განსაზღვრისას და წარმოადგენს მიმდინარე რისკის შემცირების პროცედურებთან დაკავშირებით გარანტიის ღონის განსაზღვრის საფუძველს.

საკრედიტო რისკი. საკრედიტო რისკი ნიშნავს ბანკის ფინანსური ზარალის რისკს იმ შემთხვევაში, თუ კლიენტი ან კონტრაგენტი დროულად ვერ შეასრულებს თავის სახელშეკრულებო ვალდებულებებს. საკრედიტო რისკი გამომდინარეობს ჯგუფის მიერ კონტრაგენტებზე გაცემული სესხებიდან და ასევე ჯგუფის მიერ კონტრაგენტებთან განხორციელებული სხვა ოპერაციებიდან, რომლებიც ფინანსურ აქტივებს წარმოშობს.

საკრედიტო რისკის მიმართ ჯგუფის მაქსიმალური მგრძნობიარობა აისახება ფინანსური მდგომარეობის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში წარმოდგენილი ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებებში. აქტივებისა და პასივების შესაძლებელი ურთიერთთანხვედრის გაღწევა პოტენციური რისკის შემცირების მიზნით უმნიშვნელოა. გარანტიებთან და კრედიტის გაცემის ვალდებულებებთან დაკავშირებით, მაქსიმალური საკრედიტო რისკი შემოიფარგლება ვალდებულებების თანხით. საკრედიტო რისკის შერბილება ხდება უზრუნველყოფით და კრედიტის დაცვის სხვა ზომებით, რის თაობაზეც ინფორმაცია წარმოდგენილია მე-10 განმარტებით შენიშვნაში.

ჯგუფი მის მიერ აღებული საკრედიტო რისკის დონეებს განსაზღვრავს ერთი მსესხებლის ან მსესხებელთა ჯგუფების გეოგრაფიული ან მრეწველობის დარგების მიხედვით აღებული რისკის მოცულობაზე ლიმიტების დადგენით. საკრედიტო რისკის ლიმიტის დონე პროდუქტის და მრეწველობის სექტორების მიხედვით ექვემდებარება ყოველწლიურ ან უფრო ხშირ გადახედვას. ჯგუფში შექმნილია რამდენიმე საკრედიტო კომიტეტი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ფიზიკურ პირ მსესხებლებთან დაკავშირებით საკრედიტო ლიმიტების დამტკიცებაზე:

- უმაღლესი საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 300 ათას აშშ დოლარზე ზემოთ. გარდა ამისა, ხსენებული კომიტეტი პასუხისმგებელია ქვედა დონის კომიტეტებისთვის სახელმძღვანელო მითითებების მიცემაზე;
- უმცირესი საკრედიტო კომიტეტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 100-300 ათას აშშ დოლარის ფარგლებში;
- რისკების მართვის დეპარტამენტი განიხილავს და ამტკიცებს ლიმიტებს 100 ათას აშშ დოლარამდე;
- საცალო დამტკიცების ჯგუფი – ამტკიცებს სესხებს 20 ათას აშშ დოლარზე ქვემოთ. კომიტეტები პასუხისმგებელნი არიან ზემოაღნიშნული ლიმიტების ფარგლებში შემაჯავლი ყველა სასესხო განაცხადის განხილვაზე: განაცხადებისა საბანკო სესხებზე, გარანტიებზე, ოვერდრაფტებზე, და მათი შესაფერისობის, მოცულობის, მიზნობრიობის, სესხის გაცემისა და დაფარვის პირობებისა და გრაფიკის შეფასებაზე. სესხის/კრედიტის მიღების შესახებ განაცხადებებს აღგენენ შესაბამისი კლიენტების მენეჯერები და შემდეგ აწვდიან საკრედიტო დეპარტამენტს. საკრედიტო დეპარტამენტის საკრედიტო ანალიტიკოსების მიერ მომზადებული დასკვნები ეფუძნება სტრუქტურულ ანალიზს, სადაც ყურადღება გამახვილებულია კლიენტის ბიზნესის მდგომარეობასა და ფინანსურ შედეგებზე. სესხის მიღების შესახებ განაცხადებებს საკრედიტო კომიტეტი განიხილავს საკრედიტო დეპარტამენტის წარდგინების საფუძველზე. კონკრეტული რისკებიდან გამომდინარე, ინდივიდუალურ გარიგებებს ასევე განიხილავს ჯგუფის იურიდიული, ბუღალტრული აღრიცხვის და საგადასახადო დეპარტამენტები, საკრედიტო კომიტეტის მიერ მათ დამტკიცებამდე. 300 ათას ლარზე ზემოთ საკრედიტო განაცხადების შემთხვევაში, რისკების მართვის დეპარტამენტი ამზადებს დასკვნას საკრედიტო განაცხადის საკრედიტო კომიტეტში წარდგენამდე. ჯგუფი ახორციელებს ინდივიდუალური საკრედიტო რისკების ქვეყის უწყვეტ მონიტორინგს და რეგულარულად აფასებს კლიენტების კრედიტუნარიანობას. ეს შემოწმება ეფუძნება კლიენტის ყველაზე უფრო გვიანდელ ფინანსურ ანგარიშებსა და მსესხებლის შესახებ ამ უკანასკნელის მიერ მოწოდებულ ან ჯგუფის მიერ სხვაგვარად მოპოვებულ სხვა ინფორმაციას. უზრუნველყოფის მიმდინარე ღირებულებას რეგულარულად აფასებენ ან დამოუკიდებელი შემფასებელი კომპანიები ან ჯგუფის სპეციალისტები. საბაზრო ფასებში უარყოფითი ცვლილებების შემთხვევაში, მსესხებელს ჩვეულებრივ მოეთხოვება დამატებითი უზრუნველყოფის წარმოდგენა. საცალო სესხის მიღების შესახებ განაცხადებებს განიხილავს ბანკის საცალო სესხების განყოფილება კრედიტის შეფასების მეთოდებისა და მონაცემთა გადამოწმების პროცედურების გამოყენებით. გარდა ინდივიდუალური კლიენტის ანალიზისა, მთელ საკრედიტო პორტფელს აფასებს უმაღლესი საკრედიტო კომიტეტი კრედიტის კონცენტრაციისა და საბაზრო რისკების თვალსაზრისით. საკრედიტო რისკების მონიტორინგის განხორციელების მიზნით, რისკების მართვის დეპარტამენტის თანამშრომლები ამზადებენ რეგულარულ ანგარიშებს სტრუქტურისებრი ანალიზის საფუძველზე, რა დროსაც ყურადღება მახვილდება კლიენტის სამეურნეო და ფინანსურ მომგებიანობაზე. გაუარესებული კრედიტუნარიანობის მქონე კლიენტებთან დაკავშირებული ნებისმიერი მნიშვნელოვანი რისკის შესახებ ანგარიში უფროს საკრედიტო კომიტეტს წარედგინება თვეში ერთხელ და სამეთვალყურეო საბჭოს მიერ განიხილება კვარტალში ერთხელ. ჯგუფის რისკების მართვის დეპარტამენტი განიხილავს დაუფარავი სესხების ვადიანობის ანალიზს და შემდგომ ვადაგადაცილებული ნაშთების ანალიზს ახორციელებს. ამიტომ მენეჯმენტის აზრით სათანადოა საკრედიტო რისკის შესახებ ვადიანობისა და სხვა ინფორმაციის წარმოდგენა ისე, როგორც ეს ასახულია მე-10 განმარტებით შენიშვნაში. მენეჯმენტი საკრედიტო რისკის კონცენტრაციების მონიტორინგსა და დეკლარირებას ახორციელებს იმ ანგარიშების მიღებით, რომლებშიც ასახულია ერთ მსესხებელთან, მსესხებლების ერთ ჯგუფთან, დაკავშირებული მხარის კონცენტრაციებთან და მსხვილი მსესხებლების ჯგუფის კონცენტრაციებთან დაკავშირებული. იხილეთ მე-10 განმარტებით შენიშვნა. ჯგუფი იყენებს შემდეგ ზომებს საკრედიტო რისკის შეფასებისთვის და მართვისათვის: საკრედიტო რისკების მართვის შესაბამისი გარემოს დაარსება. ბაზისბანკში ეს მიღწეულია წერილობითი საკრედიტო პოლიტიკის და საკრედიტო სახელმძღვანელოთი, დაკავშირებული მიზნობრივ ბაზრებთან, შერეულ პორტფელთან, ფასიან და არაფასიან პირობებთან, ლიმიტების სტრუქტურებთან, ხელმძღვანელობის დამტკიცებასთან და გამონაკლისების დამუშავებასთან და ანგარიშთან.
- ოპერირება მყარი კრედიტის გაცემის პროცესის ქვეშ. ბაზისბანკში ეს მოიცავს გარკვეული რაოდენობის ელემენტების განხილვას კრედიტის გაცემაში, მათ შორის, მარგამ არ შემოიფარგლება: მოვალეობების გამიჯვნა სესხის წარმოშობის, დამტკიცების, გაცემის და მონიტორინგის პროცესებს და პროცედურებს შორის; მსესხებლის ფინანსური მდგომარეობის გონივრული ანალიზი; უზრუნველყოფის საკმარისობის კონსერვატიული შეფასება (მაგალითად სესხის თანხის შეფარდება ღირებულებასთან).

33 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- შესაბამისი საკრედიტო ადმინისტრირების, პროცედურების და მონიტორინგის პროცესების უზრუნველყოფა. ეს მოიცავს ძირითადი საკითხების რეგულარულ მონიტორინგს ინდივიდუალური მსესხებლის მდგომარეობაზე. ეს ფაქტორები მოიცავს მსესხებლის ან კონტრაგენტის მიმდინარე ფინანსურ მდგომარეობას, შესაბამისობას არსებულ შეთანხმებებთან, უზრუნველყოფის დაფარვას მსესხებლის მიმდინარე მდგომარეობის შესაბამისად, საკონტრაქტო გადახდების გადაცილებას. აგრეთვე ის მოიცავს კრედიტის დონეების მონიტორინგს საკრედიტო პორტფელში სპეციფიურ მსესხებლებზე, რისკის კონცენტრირების აცილების მიზნით. მსგავს კონცენტრაციებს ადგილი აქვთ, როდესაც ერთ კონტრაგენტზე არსებობს პირდაპირი და არა პირდაპირი კრედიტების მაღალი დონე, დაკავშირებული კონტრაგენტების ჯგუფები, ან გარკვეული დარგის და ეკონომიკის სექტორის. საბოლოოდ, ბაზისბანკი იყენებს და სამომავლოდ განავითარებს საკრედიტო ადმინისტრირების, პროცედურების და მონიტორინგის პროცესებს, რომლებიც მოიცავენ ძირითად არეალებს სტრესს ტესტირების პროცესში, რათა დაეხმაროს ბანკს საკრედიტო რისკების გამოფენაში და შეაფასოს მისი უნარიანობა გაუმკლავდეს მსგავს ცვლილებებს.
- პორტფელის ხარისხის შესაბამისი ანგარიშგების უზრუნველყოფა: პორტფელის ხარისხი და საკრედიტო ლიმიტები, განსაზღვრული საკრედიტო პოლიტიკით მოყვება კრედიტის რისკების მართვას, როგორც მაკონტროლებელი ფუნქცია და წარედგინება ბანკის ხელმძღვანელობას პორტფელის ანგარიშის მეშვეობით. პორტფელის ანგარიშში მოიცავს ინფორმაციას პორტფელის განაწილებაზე სარეიტინგო კლასების მიხედვით, დაგვიანებულ თანხებზე და გავლენას სექტორების მიხედვით.

არასაბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების საკრედიტო რისკი განისაზღვრება, როგორც იმ ზარალის განცდის შესაძლებლობა, რომელიც გამოწვეულია ფინანსური ინსტრუმენტის სხვა მხარის მიერ თავისი ვალდებულებების ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეუსრულებლობით. როგორც პირობით ვალდებულებებთან, ასევე საბალანსო ფინანსურ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით ჯგუფი იყენებს იმავე საკრედიტო პროცედურებს კრედიტების დამტკიცების დადგენილი პროცედურების, რისკების კონტროლის დადგენილი ლიმიტებისა და მონიტორინგის პროცედურების მეშვეობით.

საბაზრო რისკი. ჯგუფი განიცდის საბაზრო რისკის მიმართ მგრძნობიარობას. საბაზრო რისკი გამოდინარეობს (ა) საპროცენტო რისკში, (ბ) ვალუტაში და (გ) წილობრივ ფინანსურ ინსტრუმენტებში არსებული ღია პოზიციებიდან, რომლებზეც ზეგავლენას ახდენს ბაზარზე მიმდინარე ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები. მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს დასაშვებ რისკის ლიმიტზე, რომელიც ყოველდღიური კონტროლის საგანია. ამასთან, ამ მიდგომის გამოყენება არ გამოირიცხავს ზარალს ამ ლიმიტების მიღმა ბაზარზე უფრო მნიშვნელოვანი ცვლილებების შემთხვევაში.

სავალუტო რისკი. სავალუტო რისკთან მიმართებაში მმართველობა აწესებს ლიმიტებს რისკის დონეზე ვალუტების ჭრილში და მთლიანობაში როგორც “ოვერნაითის” აგრეთვე დღის პოზიციებზე, რომლებიც იყოფებიან ყოველდღიური ზედამხედველობის ქვეშ.

ღია სავალუტო პოზიციამ შეიძლება გამოიწვიოს მნიშვნელოვანი ზარალი სხვაობის მოცულობიდან და საპროცენტო განაკვეთის ცვლილებიდან გამომდინარე. სავალუტო რისკთან დაკავშირებით, მენეჯმენტი აწესებს ლიმიტებს სავალუტო რისკის დონეზე და მთლიანობაში ერთდღიან და რამდენიმე დღიან პოზიციებზე, რომელთა მონიტორინგიც ყოველდღიურად ხორციელდება.

ზოგად ღია სავალუტო პოზიციებზე ლიმიტები დგინდება ამ რისკის მინიმუმამდე შესამცირებლად იმდენად, რამდენადაც ასეთმა ცვლილებამ შეიძლება უარყოფითი გავლენა იქონიოს ბანკის შემოსავლებზე, კაპიტალზე და კრედიტუნარიანობაზე. ღია სავალუტო პოზიცია იანგარიშება და ნარჩუნდება ყოველდღიურად, რაიმე დარღვევის შემთხვევაში, ბანკმა უნდა განახორციელოს დაბალანსების ოპერაციები ამ პარამეტრის დამტკიცებულ ფარგლებში მოსაყვანად. ზოგადი ღია სავალუტო პოზიციები არის კონსოლიდირებული საბალანსო და გარესაბალანსო პოზიციები, რომლებიც სეზონის მიერ დადგენილ ფარგლებში უნდა თავსდებოდეს. სეზონის მიერ დადგენილი ლიმიტი შეადგენს საზედამხედველო კაპიტალის 20%-ს.

ამასთან “ALCO” აწესებს ღია სავალუტო პოზიციის რამდენიმე დღიან და ერთ დღიან ლიმიტებს ყველა ან ცალკეული ვალუტებისთვის, რომელთა ფარგლებშიც ბანკმა უნდა განახორციელოს საქმიანობა. ასეთ ლიმიტებს “ALCO” პერიოდულად განიხილავს საბაზრო პირობებზე რეაგირების მიზნით. ბანკის შიდა ლიმიტები მნიშვნელოვნად დაბალია სეზონის მიერ დადგენილ ლიმიტებზე. მიმდინარე ლიმიტი ტოლია საზედამხედველო კაპიტალის 5%-ს. ჯგუფი ახორციელებს მონიტორინგს ICAAP-ის ფარგლებში მისი სავალუტო რისკის მიდრეკილებისადმი, დანამდვილების დონე 99%-ა 10 დღიანი ფლობის პერიოდში.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ჯგუფის უცხოური ვალუტის გადაცვლის კურსის რისკი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს:

33 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

ათას ლარში	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით			2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით		
	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულ ებები	წმინდა პოზიცია	ფულადი ფინანსური აქტივები	ფულადი ფინანსური ვალდებულ ებები	წმინდა პოზიცია
ქართული ლარი	437,991	(225,755)	212,236	357,249	(175,036)	182,213
აშშ დოლარი	731,642	(730,753)	889	558,625	(555,110)	3,515
ევრო	65,693	(65,509)	184	24,051	(24,010)	41
სხვა	632	(586)	46	415	(420)	(5)
სულ	1,235,958	(1,022,603)	213,355	940,340	(754,576)	185,764

ზემოთ წარმოდგენილ ანალიზში მოცემულია ფულადი აქტივები და ვალდებულებები. ინვესტიციები კაპიტალში და არაფულად აქტივებში მნიშვნელოვან სავალუტო რისკს არ იწვევს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია მოგების ან ზარალის და კაპიტალის მგრძნობიარობა ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გამოყენებული ძირითადი სავალუტო კურსების მიმართ ფუნქციონალურ ვალუტასთან შედარებით, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

ათას ლარში	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
	ზეგავლენა მოგებაზე ან ზარალზე	ზეგავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (2016: 20%-ით გამყარება)	178	596
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება (2016: 20%-ით გაუფასურება)	(178)	(596)
ევროს 20%-ით გამყარება (2016: 20%-ით გამყარება)	37	7
ევროს 20%-ით გაუფასურება (2016: 20%-ით გაუფასურება)	(37)	(7)

ეს რისკი გაანგარიშებული იყო ჯგუფის შესაბამისი სუბიექტის საოპერაციო ვალუტის გარდა სხვა ვალუტაში დენომინირებულ ფულად ბალანსებთან დაკავშირებით. საანგარიშო პერიოდის ბოლოს სავალუტო რისკის მიმართ ჯგუფის რისკი არ ასახავს წლის განმავლობაში არსებულ ტიპურ რისკს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ნაჩვენებია მოგების ან ზარალის და კაპიტალის საშუალო მგრძნობიარობა წლის განმავლობაში გამოყენებული ძირითადი სავალუტო რისკის მიმართ ქართულ ლართან შედარებით, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში:

33 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით
ათას ლარში	ზეგავლენა მოგებაზე ან ზარალზე	ზეგავლენა მოგებაზე ან ზარალზე
აშშ დოლარის 20%-ით გამყარება (2016: 20%-ით გამყარება)	34	87
აშშ დოლარის 20%-ით გაუფასურება (2016: 20%-ით გაუფასურება)	(34)	(87)
ევროს 20%-ით გამყარება (2016: 20%-ით გამყარება)	(1)	(2)
ევროს 20%-ით გაუფასურება (2016: 20%-ით გაუფასურება)	1	(2)

საპროცენტო განაკვეთის რისკი. ჯგუფზე ზემოქმედებას ახდენს მის ფინანსურ პოზიციაზე და ფულადი სახსრების მოძრაობაზე საბაზრო საპროცენტო განაკვეთების დომინანტურ დონეებში მომხდარი ცვლილებები. ამგვარი ცვლილებების შედეგად საპროცენტო მარეები შეიძლება გაიზარდოს, მაგრამ მოულოდნელი მოვლენების შემთხვევაში შეიძლება შემცირდეს ან გამოიწვიოს ზარალი. მენეჯმენტი ახორციელებს საპროცენტო განაკვეთის გადაფასებით გამოწვეული სხვაობის დონის ყოველთვიურ მონიტორინგს, და მასზე აწესებს ლიმიტებს.

ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში შეჯამებულია ჯგუფის მგრძნობიარობა საპროცენტო რისკების მიმართ. ცხრილში ბანკის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ჯამური თანხები ასახულია საბალანსო ღირებულებით და კატეგორიებად დაყოფილია სახელშეკრულებო საპროცენტო განაკვეთის გადაფასების დღის ან დაფარვის დღის მიხედვით, რომელიც უფრო მაღე დადგა.

	მოთხოვნამდ და 1 თვეზე ნაკლები ვადით	1-დან 6 თვემდე ვადით	6-დან 12 თვემდე ვადით	1 წელზე მეტე ვადით	უპროცენ ტო	სულ
ათას ლარში						
2017 წლის 31 დეკემბერი						
მთლიანი ფინანსური აქტივები	306,156	172,509	192,159	382,545	135,395	1,188,764
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	353,803	311,399	136,949	31,548	182,057	1,015,756
წმინდა საპროცენტო მგრძნობიარობის გები 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	(47,647)	(138,890)	55,210	350,997	(46,662)	173,008
2016 წლის 31 დეკემბერი						
მთლიანი ფინანსური აქტივები	86,185	81,894	107,729	436,815	189,928	902,551
მთლიანი ფინანსური ვალდებულებები	81,927	239,590	130,489	52,854	246,120	750,980
წმინდა საპროცენტო მგრძნობიარობის გები 2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	4,258	(157,696)	(22,760)	383,961	(56,192)	151,571

33 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

პროცენტუანი აქტივებისა და ვალდებულებების უმეტესობა ნაჩვენებია ფიქსირებული განაკვეთებით, ხოლო ნასესხები სახსრების ნაწილი ეფუძნება მცოცავ საპროცენტო განაკვეთებს. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, თუ საპროცენტო განაკვეთები ამ დღეს 200 საბაზისო პუნქტით დაბალი (2016: 200 საბაზისო პუნქტით დაბალი) იქნებოდა, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში, წლის მოგება იქნებოდა 277 ათასი (2016: 440 ათასით მაღალი) ლარით უფრო მეტი, ძირითადად ცვალებად პროცენტუან ვალდებულებებზე დაბალი საპროცენტო ხარჯის შედეგად 943 ათასი ლარით, რაც აღემატება საპროცენტო შემოსავლის დაწევას მცურავ განაკვეთიანი სესხებიდან 666 ათასი ლარით (2016: ძირითადად ცვალებად პროცენტუან ვალდებულებებზე დაბალი საპროცენტო ხარჯის შედეგად).

თუ საპროცენტო განაკვეთები 200 საბაზისო პუნქტით მაღალი (2016: 200 საბაზისო პუნქტით მაღალი) იქნებოდა, ყველა სხვა ცვლადის მუდმივობის პირობებში, მოგება იქნებოდა 277 ათასი (2016: 440 ათასით დაბალი) ლარით უფრო ნაკლები, ძირითადად ცვალებად პროცენტუან ვალდებულებებზე მაღალი საპროცენტო ხარჯის შედეგად. (2016: ძირითადად ცვალებადი საპროცენტო ვალდებულებების მაღალი საპროცენტო ხარჯების შედეგად).

ჯგუფი ახორციელებს თავისი ფინანსური ინსტრუმენტების საპროცენტო განაკვეთების მონიტორინგს. ქვემოთ წარმოდგენილ ცხრილში ასახულია ანგარიშგების შესაბამის დღეს არსებული საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთები ძირითად ვალუტებთან დაკავშირებით მენეჯმენტის საკვანძო პერსონალის მიერ განხილული ანგარიშების საფუძველზე. ფასიანი ქაღალდებისათვის საპროცენტო განაკვეთები წარმოდგენილია შემოსავლიანობის შეფარდებით დაფარვასთან საანგარიშო თარიღისთვის არსებული საბაზრო კოტირებასთან:

წლიურ %-ში	2017			2016		
	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	ლარი	აშშ დოლარი	ევრო
აქტივები						
ფულადი ეკვივალენტები	2,0%	1,0%	-	5,1%	0,1%	-
სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრები	-	1,0%	-0,6%	-	0,3%	-0,4%
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	4,0%	-	-			
კლიენტებზე გაცემული სესხები და ავანსები	11,8%	8,7%	7,1%	10,2%	9,9%	8,5%
ობლიგაციები ამორტიზირებული ღირებულებით	8,0%	-	-	8,4%	-	-
გამოსყიდვადი დებიტორული დავალიანება	-	-	-	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	-	-	-	-	-
ვალდებულებები						
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები	7,4%	-	-	7,4%	3,5%	-
კლიენტთა ანგარიშები	7,0%	3,1%	1,9%	6,8%	3,7%	3,1%
- მიმდინარე და ანგარიშსწორების ანგარიშები	7,3%	3,4%	0,9%	6,3%	3,7%	0,6%
- ვადიანი დეპოზიტები	6,5%	3,0%	2,0%	7,3%	3,7%	3,3%
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	-	-	-	-	-
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხი სახსრები	-	5,0%	3,8%	-	6,0%	-

ნიშანი “-“ ზედა ცხრილში ნიშნავს, რომ ჯგუფს არ აქვს შესაბამისი აქტივები ან ვალდებულებები შესაბამის ვალუტაში. ჯგუფი განიცდის წინასწარი დაფარვის რისკს ფიქსირებად ან ცვალებადი საპროცენტო განაკვეთიანი სესხების გაცემისას, მათ შორის იპოთეკა, რომლებიც ანიჭებენ მსესხებელს უფლებას კრედიტების ვადამდელ დაფარვაზე. ჯგუფის წლევანდელი მოგება და კაპიტალი მიმდინარე პერიოდის ბოლოს არ განიცდის ცვლილებების მნიშვნელოვან გავლენას ვადამდელი განაკვეთებისგან, რადგან მსგავსი სესხები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით და ვადამდელი გადახდის უფლება არის ტოლი ან ახლოს სესხების ამორტიზირებულ ღირებულებასთან და კლიენტებზე გასაცემ ავანსებზე (2016: არ შეიმჩნევა მნიშვნელოვანი გავლენა). საპროცენტო განაკვეთის რისკის მართვა რეგულირდება ბანკის პოლიტიკის პასივების და აქტივების მართვით (“ALM”). რისკის მართვის დეპარტამენტი რეგულარულად ადგენს ანგარიშს საპროცენტო მგრძნობელობის გეპზე გადაფასების პერიოდებისათვის. ანგარიში გამოიყენება საპროცენტო განაკვეთების ცვლილების გავლენის შეფასებისთვის ბანკის მოგებაზე. ანგარიშში ჩადებული სტრესების (გამოხატული ძირითად პუნქტებში) რაოდენობას ადგენს რისკის მართვის დეპარტამენტი, რომელიც ეყრდნობა დაკვირვების ქვეშ მყოფ საპროცენტო განაკვეთის რყევებს შესაბამის ვალიუტებში. ბანკის მოგებაზე პოტენციური დასაშვები გავლენის საზღვარი განსაზღვრულია საწესდებო კაპიტალის 1%-მდე.

სს “ბაზისბანკის ჯგუფი”

ბანკის ინდივიდუალური და ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

33 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

გეოგრაფიული რისკის კონცენტრაცია. 2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ათას ლარში	საქართველო	ჩინეთი	ევრო	არა-ევრო	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულადი ეკვივალენტები	61,121	1	78,448	7	139,576
სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრები	130,824	-	-	-	130,824
სხვა ბანკებიდან მისაღები თანხები	15,094	-	-	-	15,094
კლიენტებზე გაცემული ავანსები და სესხები	757,874	-	-	-	757,874
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	63	-	-	-	63
დაფარვამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები	143,903	-	-	-	77,250
სხვა ფინანსური აქტივები	1,429	-	-	-	1,429
სულ ფინანსური აქტივები	1,110,308	1	78,448	7	1,188,764
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები	59,982	-	-	-	59,982
კლიენტთა ანგარიშები	533,096	144,724	-	-	677,820
სხვა ნასესხები სახსრები	9	-	158,358	111,913	270,280
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,674	-	-	-	7,674
სულ ფინანსური ვალდებულებები	600,761	144,724	158,358	111,913	1,015,756
საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია	509,547	(144,723)	(79,910)	(111,906)	173,008
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	105,777	2,347	-	-	108,124

აქტივები, ვალდებულებები და საკრედიტო ხასიათის ვალდებულებები ზოგადად ეფუძნება იმ ქვეყანას, სადაც კონტრაგენტი მდებარეობს. კონტრაგენტის გადასახდელი ნაშთები კომპანიების მიმართ/მიერ საბოლოოდ კონტროლდება ობიექტის მიერ, რომელიც მდებარეობს ჩინეთში და შეტანილია გრაფაში “ჩინეთი”.

33 ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

2016 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების გეოგრაფიული კონცენტრაცია წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

ათას ლარში	საქართველო	ჩინეთი	ეგუო	არა-ეგუო	სულ
ფინანსური აქტივები					
ფული და ფულადი ეკვივალენტები	65,272	171	7,976	267	73,686
სებ-ში განთავსებული სავალდებულო ფულადი სახსრები	105,421	-	-	-	105,421
კლიენტებზე გაცემული ავანსები და სესხები	594,289	-	-	-	594,289
სარეალიზაციოდ ხელმისაწვდომი საინვესტიციო ფასიანი ქაღალდები	63	-	-	-	63
დაფარვამდე მფლობელობაში არსებული ინვესტიციები	128,441	-	-	-	128,441
სხვა ფინანსური აქტივები	651	-	-	-	651
სულ ფინანსური აქტივები	894,137	171	7,976	267	902,551
ფინანსური ვალდებულებები					
სხვა ბანკებში განთავსებული სახსრები	64,659	-	-	-	64,659
კლიენტთა ანგარიშები	409,425	152,845	-	-	562,270
ბანკებიდან და სხვა ფინანსური ინსტიტუტებიდან ნასესხები სახსრები	20	-	90,655	30,855	121,530
სხვა ფინანსური ვალდებულებები	2,521	-	-	-	2,521
სულ ფინანსური ვალდებულებები	476,625	152,845	90,655	30,855	750,980
საბალანსო ფინანსური ინსტრუმენტების წმინდა პოზიცია	417,512	(152,674)	(82,679)	(30,588)	151,571
კრედიტთან დაკავშირებული ვალდებულებები	50,368	12,775	-	-	63,143

ლიკვიდობის რისკი. ლიკვიდობის რისკი არის იმის რისკი, რომ სუბიექტს გაუძნელდება ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული ვალდებულებების შესრულება. ჯგუფმა თავის ხელმისაწვდომ ფულად რესურსებზე უნდა შეასრულოს ყოველდღიური მოთხოვნები ერთდღიან დეპოზიტებთან, მიმდინარე ანგარიშებთან, ვადადამდგარ დეპოზიტებთან, სესხების ათვისებასთან, გარანტიებთან, მარჟასთან და ნაღდი ფულით დაფარულ წარმოებულ ინსტრუმენტებთან დაკავშირებით. ჯგუფი არ ინახავს ნაღდი ფულის რესურსებს ყველა ამ საჭიროების დასაკმაყოფილებლად, რადგან, როგორც გამოცდილება აჩვენებს, ვადადამდგარი სახსრების რეინვესტირების დონის პროგნოზირება შესაძლებელია მაღალი სიზუსტით. ლიკვიდურობის რისკის მართვას აწარმოებს ჯგუფის აქტივ/პასივების კომიტეტი.

ჯგუფი მართავს ლიკვიდობის რისკებს აქტივ-პასივების მართვის პოლიტიკის და ლიკვიდობის მართვის რეგულაციის და წესების შესაბამისად, რომელიც ამუშავებს ლიკვიდობის მართვის პროცესს. აქტივ-პასივების მართვის კომიტეტი პასუხს აგებს აქტივ-პასივების მართვის პოლიტიკის შემუშავებაზე და ლიკვიდობის მართვის რეგულაციის და წესების შესრულებაზე, ლიკვიდობის დღიურ მართვაზე პასუხისმგებელია სახაზინო დეპარტამენტი.

